რელიგიურობა, ემპათია და სხვისი პოზიციის მიღება, როგორც წინარწმენის პრედიქტორები

ირინა ვარდანაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ირინა ვარდანაშვილი

აბსტრაქტი

წინარწმენა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა როგორც მსოფლიოში, ასევე, კონკრეტულად ქართულ საზოგადოებაში. ფსიქოლოგიაში და სხვა სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული მრავალი კვლევა ამტკიცებს, რომ რელიგიურობა და წინარწმენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თუმცა, ამ საკითხის გარშემო კონსისტენტური მონაცემები ჯერ კიდევ არ არსებობს. 528 სტუდენტისგან შეგროვებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, წინამდებარე სადოქტორო კვლევამ ამ პრობლემის გადაჭრის გზები დასახა. კერძოდ, მან აჩვენა, რომ ამ არათანმიმდევრული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს იმის არგათვალისწინება, თუ რელიგიურობის რომელ ასპექტზე კეთდება აქცენტი რელიგიურობის გაზომვისას. წინამდებარე კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები განსხვავებულად არიან დაკავშირებული წინარწმენასთან. ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ ამ არათანმიმდევრული მონაცემების ერთ-ერთი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ემპათიის, როგორც მოდერატორი ცვლადის არგათვალისწინება, ტრაექტორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ემპათიის რაციონალური განზომილება (სხვისი პოზიციის მიღება) მოდერატორის როლს ასრულებს წინარწმენასა და რელიგიურ უმცირესობებს შორის კავშირში. კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია, ასევე, სოციალური დისტანციის სკალის რთული ფაქტორული სტრუქტურის გამოვლენა. კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური დისტანციის სკალას აქვს განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის მიმართ იზომება სოციალური დისტანცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, ემპათია, რელიგიურობა, სოციალური დისტანციის სკალა

Abstract

Prejudice is one of the major problems not only in Georgian society, but in the whole world. Numerous studies carried out in psychology and other social sciences indicate that religiosity and prejudice are closely interrelated. However, scientific literature does not provide consistent data about the subject. Basing on the data obtained from survey results of 528 students, the present research proposes certain solutions to the issue in question. The study shows that different dimensions of religiosity are differently related to prejudice. It also demonstrates that one of the reasons of the inconsistent results might be dismissing empathy as a moderator variable in such studies. As revealed by path analysis, the rational dimension of empathy (perspective taking) has moderating effect in relationship between religiosity and more sensitive prejudice to religious minorities. Additionally, one of the important findings of the study is revealing complicated factor structure of the social distance scale: the factor structure of the scale is different for various minority groups.

Keywords: Prejudice, empathy, religiosity, social distance scale

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო ჯავახიშვილს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე. მისი მხარდაჭერის გარეშე ამ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა.

ასევე მადლობას მინდა ვუთხრა ეკერდის კოლეჯის ფსიქოლოგიის პროფესორს მარკ დევისს ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსის სკალის ადაპტაციასთან დაკავშირებით გაწეული დახმარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს ანა მაყაშვილს და ნინო ბუწაშვილს, რომელთა დახმარების გარეშეც ძალიან გამიჭირდებოდა ამ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და შინაარსობრივად და ტექნიკურად გამართვა.

სარჩევი

1. შესავალი ----------1
2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ----------5
2.1. წინარწმენა ----------5
2.1.1. წინარწმენის კვლევის ისტორიული მიმოხილვა ----------5
2.1.2. წინარწმენის თანამედროვე თეორიები ----------10
2.1.2.1. სოციალური დომინანტობის თეორია ----------10
2.1.2.2. მემარჯვენე ავტორიტარობა ----------13
2.1.2.3. სოციალური იდენტობის მიდგომა ----------14
2.1.2.4. ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია ----------17
2.2. რელიგიურობა ----------19
2.3. ემპათია ----------28
2.4. საკითხის დასმა ----------31
2.4.1. ძირითადი საკვლევი საკითხები ----------32
3. მეთოდოლოგია ----------34
3.1. სქემა ----------34
3.2. შერჩევა ----------34
3.3. ინსტრუმენტები ----------35
3.3.1. დამოუკიდებელი ცვლადი: რელიგიურობა ----------35
3.3.2. დამოკიდებული ცვლადი: წინარწმენა ----------37
3.3.3. შუალედური ცვლადი: ემპათია ----------40
3.4. პროცედურა ----------41
3.5. მონაცემების ანალიზი ----------42
4. შედეგები ----------43
4.1. ინსტრუმენტების ვალიდაციის შედეგები ----------43
4.1.1. სოციალური დისტანციის სკალა ----------43
4.1.2. პიროვნების რეაქტიულობის ინდექსი ----------45
4.2. აღწერითი სტატისტიკა----------47

4.2.1. შერჩევის მახასიათებლები----------47
4.2.2. დამოუკიდებელი ცვლადი ----------47
4.2.2.1. რელიგიური პრაქტიკის განზომილება----------47
4.2.2.2. რელიგიურობის შედეგების განზომილება----------48
4.2.2.3. რელიგიური პარტიკულარიზმი----------49
4.2.2.4. რელიგიური გამოცდილება----------50
4.2.3. შუალედური ცვლადები----------51
4.2.4. დამოკიდებული ცვლადი----------51
4.3. დასკვნითი სტატისტიკა----------53
4.3.1. საკვლევი კითხვა 1----------53
4.3.2. საკვლევი კითხვა 2----------55
4.3.3. საკვლევი კითხვა 3----------56
4.3.4. საკვლევი კითხვა 4----------60
4.3.5. საკვლევი კითხვა 5----------63
5. შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია----------68
5.1. სოციალური დისტანციის სკალის ფაქტორული სტრუქტურა----------68
5.1.1. წინარწმენა „ვის მიმართ?“----------68
5.1.1.1. რელიგიური უმცირესობაბი----------69
5.1.1.2. სექსუალური უმცირესობები----------71
5.1.1.3. ეთნიკური უმცირესობები----------72
5.1.1.4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები----------73
5.1.2. წინარწმენა „რა სახის“?----------76
5.2. კვლევის შედეგების ანალიზი----------77
5.2.1. რელიგიურობის როლი წინარწმენის არსებობაში----------77
5.2.2. ემპათია, როგორც წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი ---86
5.2.3. ემპათია, როგორც მოდერატორი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში----------89
5.2.4. კვლევის ძირითადი მიგნებები----------90

6. დასკვნა და რეკომენდაციები----------92
7. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები----------94
8. ბიბლიოგრაფია----------95
9. დანართი----------106

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 4.3.1.1: MANOVA. სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს. სრული მოდელის მაჩვენებელები---------54

ცხრილი 4.3.1.2: MANOVA. სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორების მიხედვით ----------54

ცხრილი 4.3.2.1: MANOVA. სექსუალური უმცირესობების და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანციის სკალის მაჩვენებლებს შორის სხვაობების განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს. სრული მოდელის მაჩვნებელები----------56

ცხრილი 4.3.2.2: MANOVA. სექსუალური უმცირესობების და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანციის სკალის მაჩვენებლებს შორის სხვაობების განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს სექსუალური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანციის ორი განსხვავებული ფაქტორის მიხედვით----------56

ცხრილი 4.3.3.1: კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის პირველი დონის ფაქტორებს და ემპათიურ შფოთვასა და სხვისი პოზიციის მიღების უნარს შორის----------57

ცხრილი 4.3.3.2: კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორებს და ემპათიურ შფოთვასა და სხვისი პოზიციის მიღების უნარს შორის----------58

ცხრილი 4.3.3.3: მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები----------59

ცხრილი 4.3.4: მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - რელიგიური მიკუთვნებულობა, სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები----------61

ცხრილი 4.3.5.1: კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის პირველი დონის ფაქტორებს და რელიგიურობის განსხვავებულ განზომილებებს შორის-----64

ცხრილი 4.3.5.2: კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორებს და რელიგიურობის განსხვავებულ განზომილებებს შორის-----65

ცხრილი 4.5.3.3: მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - რელიგიურობის განზომილებები. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები----------66

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 4.2.2.1: რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის სიხშირე----------48

გრაფიკი 4.2.2.2: რელიგიის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე ----------48

გრაფიკი 4.2.2.3: რელიგიური პარტიკულარიზმი----------49

გრაფიკი 4.2.2.4: იტყოდით, რომ გაქვთ სულიერი ცხოვრებაც - ის, რაც სცილდება ინელექტუალურ, ემოციურ თუ მატერიალურ ცხოვრებას ? ----------50

გრაფიკი 4.2.3: ემპათიური ზრუნვა და სხვისი პოზიციის მიღების მაჩვენებლები სქესის მიხედვით---------- ----------51

გრაფიკი 4.2.4.1: სოციალური დისტანციის სკალა ----------52

გრაფიკი 4.2.4.2: სოციალური დისტანციის სკალა ----------53

სურათების ჩამონათვალი

სურათი 2.3: საკვლევი ცვლადების სქემატური გამოსახულება ----------31

სურათი 2.4.1.1: მოდერაციის ნავარაუდევი მოდელი ----------32

სურათი 2.4.1.2: რელიგიურების განზომილებებსა და წინარწმენას შორის ნავარაუდევი მიმართება ----------33

სურათი 4.1: სოციალური დისტანციის სკალის სტრუქტურა ----------46

სურათი 4.2: ტრაექტორიული ანალიზი ----------62

1. შესავალი

წინარწმენა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია არა მარტო სოციალურ ფსიქოლოგიაში, არამედ ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში. თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში სულ უფრო მეტი ინტერესი შეიმჩნევა ე.წ. „ფარული დისკრიმინაციის“ (Oskamp, Schultz, 2005) და „იმპლიციტური წინარწმენის" მიმართ (Arkes, Tetlock, 2004; Quillian, 2008), რაც იმას ნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ღია გამოხატვამ ამ კულტურებში იკლო, თუმცა, ის არ გამქრალა და გადაიზარდა იმპლიციტურ ფორმებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები ნაკლებად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებებს უმცირესობების მიმართ, თუმცა, ეს დამოკიდებულებები მაინც არსებობს, რაც ბევრი არასასურველი შედეგის მომტანია (Dovidio et al, 2002).

საქართველოში წინარწმენის კვლევის აქტუალობას მრავალი ფაქტორი ადასტურებს. მაშინ, როდესაც დასავლურ კულტურებში სულ უფრო მეტად იკვეთება ე.წ. „ფარული დისკრიმინაციის“ პრობლემა, საქართველოში ეს ასე არაა. ე.წ. „ფარული დისკრიმინაცია“ ჩვენს რეალობაში პრაქტიულად არ არსებობს. დისკრიმინაციის ღია ფორმები ჩვენს საზოგადოებაში არათუ დასჯადი, არამედ ხშირ შემთხვევაში წახალისებულიც კია და კანონდებლობაში შეტანილი ცვლილებები ანტიდისკრიმინაციული კანონის სახით, ვითარებას ამ ეტაპზე ვერ ცვლის (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014).

ქართულ კულტურაში ღია დისკრმინაციის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. სხვადასხვა კვლევა ადასტურებს ქართველების არატოლერანტობას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკიდურესად არაშემწყნარებლური დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში რელიგიურ მოტივებთანაა დაკავშირებული (კეკელია და სხვები, 2013).

2011 წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ქართულ მედიაში გამოქვეყნებული სიუჟეტების კონტენტ ანალიზს მოიცავდა, ცხადყო, რომ მედია საშუალებებით ძალიან ხშირად ვრცელდება სექსუალური უმცირესობების მიმართ ნეგატიური გამონათქვამები. სექსუალური და გენდერული იდენტობა, ამ კვლევის მიხედვით, პოლიტიკური სპეკულაციის ნაწილს წარმოადგენს (MDF, 2011).

ასევე, ევროპის კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საქართველოსთან დაკავშირებულ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნა ის, რომ საქართველოში რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება გაზრდილია. პოლიტიკურ გამოსვლათა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტიის წევრები მიმართავენ სიძულვილის ენას უმცირესობათა ხსენებული ჯგუფების მიმართ (EPN, 2016). რამდენადაც პოლიტიკოსები საკუთარ გამოსვლებში, როგორც წესი, ცდილობენ შეასრულონ საზოგადოების დაკვეთა, აქედანაც ჩანს, რომ ქართულ საზოგადოებაში უმცირესობების, და განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების მიმართ არაშემწყნარებლური დამოკიდებულება წახალისებულია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი, ვინც ეთანხმებოდა დებულებას „ჰომოსექსუალობა ყოველთვის გამართლებულია“, 1996 წელს პოპულაციის 1.7%-ს შეადგენდნენ, 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 0%-მდე დაეცა (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2016). ესეც მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტობა უკიდურესად დაბალია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინარწმენა გარკვეულწილად ყველას გვახასიათებს. წინარწმენის სამიზნე შეიძლება იყოს განსხვავებული გარეგნობის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანი, ეს შეიძლება იყოს ცხოველი, მწერი ან სულაც საჭმელი. პრაქტიკულად შეუძლებელია არსებობდეს ადამიანი, რომელიც წინარწმენისგან ბოლომდე იქნება დაცლილი. როგორც გორდონ ოლპორტი ამტკიცებს, წინარწმენა ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია (Allport, 1954). შესაბამისად, რაც არ უნდა ვეცადოთ თავი დავაღწიოთ მათ, რაღაც დოზით, ეს მაინც

ყველა ჩვენგანში იარსებებს. საქმე იმაშია, რომ როგორც არონსონი აღნიშნავს, ჩვენთვის ადვილია სხვისი წინარწმენის გაკრიტიკება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის ჩვენს წინარწმენასთან არ მოდის თანხვედრაში. გაცილებით უფრო რთულია ჩვენი საკუთარი წინარწმენის დანახვა და აღიარება (არონსონი, 2014; Aronson, 2012). შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც წინარწმენის პროვოცირებას და გამძაფრებას იწვევენ.

კლასიკური (Allport, Ross, 1967) და შედარებით თანამედროვე (Price, Herek, 1999; Scheepers et al., 2002) კვლევები ადასტურებს, რომ წინარწმენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამაძლიერებელი ფაქტორი არის პიროვნების რელიგიურობის დონე. ამ საკითხის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ქართულ რეალობაში, სადაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც CRRC-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვედბის მიხედვით, ნებისმიერ სხვა ინსტიტუტზე მეტი ნდობა აქვს ქართულ საზოგადოებაში (CRRC, 2013; CRRC, 2014; CRRC, 2015), მხარს არ უჭერს გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას (საშობაო ეპისტოლე, 2014). მართლაც, კვლევები საქართველოში ადასტურებს, რომ რაც უფრო მეტია პიროვნების რელიგიურობის დონე, მით უფრო არაშემწყნარებლურადაა განწყობილი ის განსხვავებული რელიგიის მქონე ეთნიკური უმცირესობის მიმართ (კერძოდ, აზერბაიჯანელების და თურქების) (CRRC, 2012; CRRC, 2013; CRRC, 2014; CRRC, 2015).

პიროვნების რელგიურობა ხშირ შემთხვევაში განიხილება, როგორც მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტი. ერთ-ერთი ასეთი მიდგომით, რელიგიურობა შედგება განსხვავებული განზომილებებისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად არის ჩართული პიროვნება რელიგიურ რიტუალებში, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიას თავის ცხოვრებაში და ა.შ. შესაბამისად, ამ მიდგომის მიხედვით, რელიგიურობა შედგება ხუთი განსხვავებული კომპონენტისგან: ეს არის რელიგიის რიტუალური კომპონენტი, ანუ რამდენად ახორციელებს ადამიანი რელიგიით გათვალისწინებულ რიტუალებს (პრაქტიკის განზომილება), რწმენითი კომპონენტი,

რამდენად აქვს ადამიანს თავისი რელიგიით გათვალისწინებული დოქტრინალური რწმენები და სჯერა საკუთარი რელიგიის ექსკლუზიური ჭეშმარიტების (რწმენის განზომილება), მნიშვნელოვნების კომპონენტი, რამხელა მნიშვნელობა აქვს რელიგიას ადამიანის ცხოვრებაში (შედეგის განზომილება), ტრანსცენდენტული კომპონენტი, რამდენად გრძნობს ადამიანი ზებუნებრივ ძალასთან შინაგან კავშირს (გამოცდილების განზომილება) და ცოდნის კომპონენტი, რამდენად კარგად იცის ადამიანმა წმინდა წერილი (ცოდნის განზომილება). რელიგიურობის ამ კომპონენტებზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

გარდა რელიგიურობისა, წინარწმენასთან მიმართებაში, წინამდებარე ნაშრომის საკვლევი ცვლადია პიროვნების ემპათია, კერძოდ მისი ორი კომპონენტი - პიროვნების ემპათიური ზრუნვა და სხვისი პოზიციის მიღების უნარი. არსებობს მრავალი კვლევა, სადაც დასტურდება, რომ სხვისი პოზიციის მიღების და ემპათიის უნარი მნიშვნელოვნად ამცირებს პიროვნების მიერ უარყოფითი დამოკიდებულებების გამოხატვას გარე ჯგუფების და უმცირესობების მიმართ (Pettigrew,Tropp, 2008; Shih et al, 2009; Galinski, Moskowits, 2000).

წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს, შეიძლება თუ არა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული წინააღმდეგობრივი მონაცემები რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ აიხსნას ა) რელიგიურობის ცნების დაშლით მის შემადგენელ ნაწილებად, მისი განსხვავებული განზომილებების გაზომვით და მათი სათითაოდ დაკავშირებით პიროვნების წინარწმენასთან; ბ) რელიგიურობასა და წინარწმენას შორის მოდერატორი ცვლადის - ემპათიის შემოტანით, რომელიც შესაძლოა, მოქმედებდეს ამ ორი ცვლადის ურთიერთკავშირზე.

2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. წინარწმენა

წინარწმენა, ეს არის უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფის წევრების მიმართ ამ ჯგუფის წევრობიდან გამომდინარე (Dovidio, Gaertner,2010). წინარწმენის მეცნიერულ შესწავლას ძალიან დიდი ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ წინარწმენის კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა გორდონ ოლპორტის 1954 წლის პუბლიკაციამ „წინარწმენის ბუნება“. როგორც ოლპორტი განმარტავს, წინარწმენა ეს არის „მცდარ და მოუქნელ განზოგადებაზე დაფუძნებული ანტიპატია. ის შეიძლება არსებობდეს შეგრძნების დონეზე და შეიძლება იყოს გამოხატული. ის შეიძლება მიმართული იყოს მთლიანად ჯგუფის ან ამ ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენლის მიმართ“ (Allport, 1954).

წინარწმენის შედარებით თანამედროვე განმარტებას გვთავაზობს არონსონი. მისი სიტყვებით, წინარწმენა არის „რამით გამორჩეული ჯგუფის მიმართ მტრული ან ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც დაფუძნებულია მცდარი ან არასრულყოფილი ინფორმაციიდან მიღებულ განზოგადებაზე. წინარწმენას აქვს კოგნიტური, ემოციური და ქცევითი კომპონენტი“ (Aronson, 2012). არონსონის ეს განმარტება უფრო ნათლად წარმოაჩენს წინარწმენის ბუნებას და მის სამ - კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით კომპონენტს.

წინარწმენის გამომწვევი მიზეზები მეცნიერებში დიდი ხნის განმავლობაში იწვევდა მძაფრ კამათს. წინარწმენის გამომწვევი ფაქტორების გაერთიანება ორ დიდ ჯგუფშია შესაძლებელი - სიტუაციური და პიროვნული ფაქტორები.

2.1.1. წინარწმენის კვლევის ისტორიული მიმოხილვა

თუ მივადევნებთ თვალს წინარწმენის კვლევის განვითარების დინამიკას, ვნახავთ, რომ კვლევა დაიწყო ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან. თუ გადავხედავთ

1920-იანი წლებიდან 1950-იან წლებამდე არსებულ კვლევებს და სტატიებს წინარწმენის შესახებ, ვნახავთ, რომ ამ პერიოდის კვლევებში წინარწმენა წარმოდგენილია, როგორც ფსიქოპათოლოგია, რომელსაც ჭირდება მკურნალობა. დოვიდიო ამ პერიოდს გამოყოფს, როგორც წინარწმენის კვლევის პირველ ტალღას. (Dovidio, 2001).

ბუნებრივია, რამდენადაც წინარწმენა ამ პერიოდში პათოლოგიად განიხილებოდა და დაავადებასთან იგივდებოდა, წინარწმენის ახსნას ძირითადად პიროვნული ფაქტორებით ცდილობდნენ. წინარწმენასთან მიმართებაში პიროვნული ფაქტორების როლის მძაფრად წინ წამოწევა ჰოლოკოსტმაც გამოიწვია. ფსიქოლოგები დაფიქრდნენ იმაზე, თუ პიროვნების როგორ ტიპს ახასიათებს ის სტერეოტიპები და წინარწმენა, რაც ასეთი სასტიკი ქმედებებისკენ უბიძგებს მას.

ძირითადად, პიროვნული ფაქტორები ფსიქოდინამიკურ თეორიების მიგნებებს იყენებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე თეორია ეკუთვნით თეოდორ ადორნოს და მის კოლეგებს (Adorno, et al, 1950). მათ შეიმუშავეს ავტორიტარი პიროვნების ცნება და გამოყვეს კოგნიტური მახასიათებლები, რაც ავტორიტარ პიროვნებებს ახასიათებთ. ესენია რიგიდულობა, ორაზროვნების არატანა, აბსტრაქტული აზროვნების შეზღუდულობა და განზოგადებისკენ ზედმეტი მიდრეკილება. ისინი სამყაროს შავ-თეთრ ფერებში უყურებენ და შესაბამისად, მიდრეკილნი არიან გარე ჯგუფის წევრები აღიქვან არასრულფასოვნად (Dovidio et al, 2003; Dovidio et al, 2004; Dovidio et al, 2011).ძალიან დიდი ყურადღება დაეთმო პიროვნების ავტორიტარული ნიშნების საზომი ინსტრუმენტების შემუშავებას და დახვეწას. ეს ემსახურებოდა წინარწემენებისკენ პიროვნულად მიდრეკილი ადამიანების გამოვლენას და ამ პრობლემის მოგვარების მთელი ძალისხმევის მათკენ მიმართვას, მათ „განკურნებას“, ხოლო სხვა ადამიანები ბუნებრივად იცხოვრებდნენ სამართლიანობის პრინციპებით, რამდენადაც მათ არ ექნებოდათ წინარწმენისკენ პიროვნული მიდრეკილება (Dovidio, 2001).

რომ შევაჯამოთ, საკმაოდ დიდი ძალისხმევა დაიხარჯა პიროვნების ავტორიტარობისა და წინარწმენის ურთიერთკავშირის კვლევაზე, თუმცა, ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ კორელაციურ ხასიათს ატარებს და ცალსახად არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ პიროვნების ავტორიტარობა მისი წინარწმენის მიზეზია (Aronson, 2011). თუმცა, მკვლევართა ნაწილი ამ ორ ცვლადს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე მიუთითებს და ამტკიცებს, რომ პიროვნების ავტორიტარობა წინარწმენის პრედიქტორად შეიძლება ჩაითვალოს (McFarland, 2010).

პიროვნულ ფაქტორებზე ორიენტირებული ამ პერიოდის კიდევ ერთი თეორია ხაზს უსვამს ე.წ. „განტევების ვაცის“ ფენომენს. ეს თეორია გულისხმობს, რომ ძირითად მოთხოვნილებებზე საზოგადოების მიერ დაწესებული შეზღუდვების შედეგად დაგროვილი ფსიქიკური ენერგია გამოსავალს პოულობს სხვების მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში და ინდივიდის მიერ წინარწმენის გამოხატვას კათარზისის ფუნქცია გააჩნია (Dovidio et al, 2011). დოლარდმა და მისმა კოლეგებმა (1939) ასევე შემოგვთავაზეს განტევების ვაცის თეორიის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი. ისინი თვლიან, რომ დაგროვილი ენერგია აგრესიად გარდაიქმნება და მისი მიმართვა ხდება უდანაშაულო სამიზნე ობიექტზე, თუ შფოთვის რეალური წყარო ძლიერია და ძალაუფლება გააჩნია (Berkovitz, 1989). გლიკმა (2005) გააკრიტიკა ეს თეორია და აჩვენა, რომ სტერეოტიპების მსხვერპლი ხშირად წარმატებული და არა სუსტი და მოწყვლადი უმცირესობები ხდებიან (Glick, 2005).

ავტორიტარი პიროვნების თეორია და „განტევების ვაცის“ თეორია წარმოადგენს წინარწმენის კვლევის პირველი ტალღის ძირითად თეორიებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე, პიროვნულ ფაქტორებზე აკეთებს აქცენტს და წინარწმენას პათოლოგიად განიხილავს.

წინარწმენის კვლევის მეორე ტალღა, რომელიც 1950-იანი წლებიდან დაიწყო და 1990-იან წლებამდე გაგრძელდა, ხასიათდებოდა რადიკალურად განსხვავებული მიდგომებით. ამ ტალღის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მის ფარგლებში

ჩატარებულ კვლევებს და შემუშავებულ თეორიებს საფუძვლად უდევს პრინციპი, რომ წინარწმენა არის ნორმა და არა პათოლოგია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინარწმენა საზოგადოების ბუნებრივი მახასიათებელია. სოციალიზაცია და სოციალურ ნორმებთან დაკავშირებული პროცესები წარმოშობს და აძლიერებს წინარწმენას (Dovidio, 2001).

ამ ტალღის ფარგლებში შეიქმნა წინარწმენის არაერთი საინტერესო თეორია. ოლპორტი (1954) იყო პირველი, ვინც წინარწმენა არა პათოლოგიად, არამედ ადამიანის გონებისთვის ნორმალურ და ჩვეულ მოვლენად წარმოაჩინა. მისი აზრით, წინარწმენის წყარო არის სოციალური კატეგორიზაცია. მისი სიტყვებით, წინარწმენის წყარო არის ადამიანის მიდრეკილების შედეგი, მოახდინოს მოვლენების და საგნების კატეგორიზაცია და შესაბამისად, აღიქვას ადამიანები არა ინდივიდებად, არამედ რომელიმე ჯგუფის წევრებად. ოლპორტს ეკუთვნის ასევე კონტაქტის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ინტერპერსონალური კონტაქტები აუმჯობესებს ჯგუფთაშორის ურთიერთობებს (Allport, 1954). სწორედ ოლპორტის მოსაზრებებზე დაყრდნობით შემოგვთავაზა ტაიფელმა [1] (1969) თავისი ცნობილი შრომა „წინარწმენის კოგნიტური ასპექტები“, სადაც ის ამტკიცებს, რომ წინარწმენა ასახავს ადამიანების მცდელობას, გაიაზრონ და დაალაგონ სოციალური გარემოს მახასიათებლები (Tajfel, 1970; Tajfel, 1971). ტაიფელის ზემოხსენებულმა შრომამ წინარწმენის საკითხში „კოგნიტურ რევოლუციას“ გაუხსნა კარი (Dovidio, 2009), თუმცა თვითონ ტაიფელმა შეცვალა კვლევის პროფილი და შექმნა სოციალური იდენტობის თეორია (Tajfel & Turner, 1979; Tajfel, 1981). ამ თეორიის მიხედვით, საკუთარ ჯგუფთან ძლიერი იდენტიფიკაცია ავტომატურად იწვევს სხვა ჯგუფების დისკრიმინაციას და საკუთარი ჯგუფის მიმართ გადაჭარბებულად დადებითი დამოკიდებულების განვითარებას (Dovidio, 2009). ტაიფელს ეკუთვნის მინიმალური ჯგუფების პარადიგმაში მიკერძოების არსებობის დამადასტურებელი კვლევაც. სრულიად შემთხვევით კრიტერიუმებზე დაფუძნებული ჯგუფისადმი მიკუთვნება საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადამიანს გასჩენოდა დადებითი დამოკიდებულებები

[1] ზოგიერთ წყაროში მოხსენიებულია, როგორც ტაჯფელი.

საკუთარი ჯგუფის წევრების და უარყოფითი დამოკიდებულებები სხვა ჯგუფის წევრების მიმართ (Dovidio, 2001).

მეორე ტალღის ფარგლებში განხილული კიდევ ერთი საკითხია ჯგუფური კონფლიქტი. ქრონოლოგიურად ეს მიდგომა შეიძლება პირველ და მეორე ტალღებს შორის გარდამავალ ეტაპადაც კი განვიხილოთ (Dovidio, 2001). ეს მიდგომა გულისხმობს შეჯიბრს შეზღუდული რესურსების მოსაპოვებლად. ამის ნათელი მაგალითია შერიფის და მისი კოლეგების მიერ 1954 წელს ჩატარებული ბანაკის ექსპერიმენტი, სადაც ჯერ ბიჭების ორ ჯგუფს შორის ხელოვნური კონკურენციის გაჩენის შედეგად მათ შორის წინარწმენის გაჩენა და მტრობის გაღვივება გამოიწვიეს, ხოლო შემდეგ, საერთო მიზანი დაუსახეს და ამით ეს მტრობა და წინარწმენა გაანეიტრალეს და შეამსუბუქეს (Sherif et al, 1954; Sherif 1956; Sherif, Sherif, 1961; Sherif, 1966). სწორედ ამ ექსპერიმენტზე დაყრდნობით შეიქმნა რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორია (Campbell, 1965; Sherif, 1966), რომელიც ამტკიცებს, რომ აღქმული ჯგუფური კონკურენცია რესურსებზე უბიძგებს ჯგუფს, შეზღუდოს სხვა ჯგუფების წვდომა ამ რესურსებზე, რისი თანმდევი მოვლენაცაა ამ გარე ჯგუფების სტერეოტიპიზაცია და მათ მიმართ წინარწმენის ჩამოყალიბება (Dovidio, 2011).

როგორც უკვე აღინიშნა, წინარწმენის კვლევის მეორე ტალღა ხასიათდება თეორიებით, რომლებმაც აქცენტი წინარწმენის პიროვნული ბუნებიდან მის სოციალურ ბუნებაზე გადაიტანეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვამ, თუ „ვინ არის წინარწმენის მატარებელი“ დაკარგა აქტუალობა, რამდენადაც წინარწმენა ნებისმიერი საზოგადოების ნორმალურად ფუნქციონირების თანმდევ მოვლენად წარმოჩინდა.

დოვიდიო გამოყოფს წინარწმენის კვლევის მესამე ტალღასაც, რომელიც უკვე 1990-იანი წლებიდან იღებს სათავეს და ხაზს უსვამს წინარწმენის მრავალგანზომილებიან ასპექტს. ის ხასიათდება ახალი ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებით ლატენტური წინარწმენის გამოსაკვლევად. ასევე, თუ ადრეული კვლევები ორიენტირებული იყო წინარწმენის მქონეთა

დამოკიდებულებებზე და ბუნებაზე, მესამე ტალღაში ყურადღება მიექცა წინარწმენის სამიზნე პირთა რეაქციებს და ადაპტაციის საკითხებსაც. ამ ტალღაში აქცენტები დაისვა ინტერპერსონალურ და ჯგუფთაშორის კონტექსტზეც (Dovidio, 2001).

ის ძირითადი თეორიები, რომლებიც ისტორიულად გამოიყენებოდა წინარწმენის ასახსნელად, ახლაც აქტუალურია.

2.1.2. წინარწმენის თანამედროვე თეორიები

წინარწმენის თანამედროვე თეორიებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია (როგორც ფართოდ გავრცელებული და გაზიარებული): პიროვნული თეორიებიდან სოციალური დომინანტობის თეორია, მემარჯვენე ავტორიტარობა და სოციალური იდენტობის მიდგომა, ხოლო სიტუაციური თეორიებიდან - ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია.

2.1.2.1. *სოციალური დომინანტობის თეორია.* სოციალური დომინანტობის თეორია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა წინარწმენის თანამედროვე კვლევებში. ის ეკუთვნის ფელიცია პრატოს და ჯიმ სიდანიუსს. წინარწმენის სხვა ადრინდელი თეორიებისგან განსხვავებით, სოციალური დომინანტობის თეორია მიიჩნევს, რომ წინარწმენა და დისკრიმინაცია განსხვავებული ასპექტების ანალიზის შედეგად უნდა იქნას გაგებული, რაც მოიცავს კულტურულ იდეოლოგიებს, ინსტიტუციურ პრაქტიკებს, ადამიანების ურთიერთობებს ჯგუფს შიგნით და ჯგუფს გარეთ, ადამიანების ფსიქოლოგიურ პრედისპოზიციებს და მამაკაცის და ქალის ევოლუციურ ფსიქოლოგიას (Pratto, Sidanius, Levin, 2006; ჯავახიშვილი, ქევხიშვილი, 2006; ასლანიშვილი, ბოჭორმელი, ჯავახიშვილი, 2006).

როგორც ვხედავთ, სოციალური დომინანტობის თეორია წინარწმენის კომპლექსური კვლევისკენ იხრება. წინარწმენის ადრეული თეორიების აბსოლუტური უმრავლესობა წინარწმენის ახსნას ცდილობდა ინდივიდის ან სოციუმის ბუნების ერთ ცალკეულ ასპექტზე დაყრდნობით. სოციალური

დომინანტობის თეორია კი ცდილობს საკუთარ ჩარჩოში გაითვალისწინოს განსხვავებული თეორიული მიდგომები. სოციალური დომინანტობის თეორია ამტკიცებს, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ჯგუფური იერარქიის სამი თვისებრივად განსახვავებული სისტემა. პირველი არის ასაკობრივი სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ ზრდასრულებს აქვთ ბავშვებზე არაპროპორციული ძალაუფლება. მეორე არის სქესობრივი სისტემა, სადაც კაცებს აქვთ ბევრად დიდი ძალაუფლება, ვიდრე ქალებს. მესამე არის „არბიტრაჟული“ სისტემა, სადაც ჯგუფები სოციალურად კონსტრუირდება, და ზოგიერთ ასეთ ჯგუფს აქვს ბევრად დიდი ძალაუფლება, ვიდრე სხვებს. ასეთი ჯგუფების მაგალითებია ეროვნება, რასა, ეკონომიკური კლასი, რელიგია და ა.შ. პრატო და სიდანიუსი ამ სამ განსხვავებულ სისტემას საზოგადოების ტრიმორფულ ფორმას უწოდებენ (Pratto, Sidanius, Levin, 2006).

სოციალური დომინანტობის თეორიის ფარგლებში, როგორც უკვე აღინიშნა, მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იერარქიის სისტემა გულისხმობს სოციალურად კონსტრუირებული ინსტიტუტების მიხედვით დაყოფილ არსებობას. სწორედ ამ ბოლო შემთხვევაში მოსდევს ჯგუფებს შორის დაპირისპირებას ყველაზე დამანგრეველი შედეგები, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება ჯგუფის სრულიად განადგურებით დასრულდეს.

იმისთვის, რომ მოხდეს დომინანტური ჯგუფის მიერ დაქვემდებარებული ჯგუფის დისკრიმინაცია, საზოგადოება იყენებს ე.წ. „ლეგიტიმაციის მითებს“. „ლეგიტიმაციის მითები“ არის საზოგადოებაში გაზიარებული ღირებულებები, დამოკიდებულებები, რწმენები, სტერეოტიპები და იდეოლოგიები. ლეგიტიმაციის მითები იყოფა ორად - იერარქიის გამაძლიერებელ მითებად და იერარქიის დამთრგუნველ მითებად. იერარქიის გამაძლიერებელი მითები მოიცავს დაქვემდებარებული ჯგუფების შევიწროების ინტელექტუალურ გამართლებას. ამის ნათელი მაგალითებია რასიზმი, ნაციონალიზმი, მეფეთა ხელშეუხებელი უფლებები, ასევე სიღარიბის შინაგანი ატრიბუცია. ამის საწინააღმდეგოდ, იერარქიის

შემასუსტებელი ლეგიტიმაციის მითების მაგალითია დემოკრატიული სისტემები, სოციალიზმი, კომუნიზმი და ა.შ. (Sidanius et al 2004). ლეგიტიმაციის მითებზე დაყრდნობით, უკვე ინსტიტუციურ დონეზე, იქმნება დაქვემდებარებული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული ქცევის საფუძველი. მაგალითად, იერარქიის გამაძლიერებელ ლეგიტიმაციის მითად შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიის ოფიციალური პოზიცია იმაზე, რომ ჰომოსექსუალობა არის ცოდვა, რაც გზას უხსნის ჰომოსექსუალების დისკრიმინაციას, როგორც ინსტიტუციურ (ეკლესიის მხირიდან), ისე ინდივიდუალურ დონეზე.

სოციალური დომინანტობის ორიენტაციის კონსტრუქტი გულისხმობს, თუ რამდენად ძლიერია პიროვნების მიმღებლობა ისეთი იდეოლოგიებისა, რომლებიც ამართლებს უთანასწორობას და იერარქიას. ეს, გარკვეულწილად, გამოწვეულია ადამიანის სურვილით, საკუთარი ჯგუფი იყოს დომინანტური. ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით, მიდრეკილნი არიან, გამოავლინონ ეს სურვილი დაქვემდებარებული ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციულ ქცევებში. ასეთი ადამიანები საკუთარ დისკრიმინაციულ ქცევებს ლეგიტიმაციის მითების საშუალებით ამართლებენ (Pratto, Sidanius, Levin, 2006).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები, რომლებიც სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, უფრო მეტად არიან მიდრეკილი მოწონდეთ იერარქიული საზოგადოება. შესაბამისად, ისინი უფრო მეტად იზიარებენ იერარქიის გამაძლიერებელ ლეგიტიმაციის მითებს, ვიდრე დაბალი სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მქონე ადამიანები.

უამრავი კვლევა ადასტურებს სოციალური დომინანტობის ორიენტაციასა და წინარწმენას შორის მაღალ დადებით კავშირს (Prato et al, 1994; Sidanius et al 2004; Prato, Sidanius, Levin, 2006)

სოციალური დომინანტობის ორიენტაციის კონსტრუქტი ერთგვარად მოგვაგონებს მემარჯვენე ავტორიტარობის კონსტრუქტს, თუმცა მემარჯვენე ავტორიტარობა სოციალური დომინანტობის ორიენტაციისგან დამოუკიდებელი, სრულიად განსხვავებული კონსტრუქტია. მემარჯვენე ავტორიტარობას წინარწმენის თანამედროვე კვლევებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

2.1.2.2. *მემარჯვენე ავტორიტარობა.* მემარჯვენე ავტორიტარობის ცნება, შიძლება ითქვას, რომ ადორნოს ავტორიტარული პიროვნების ცნების ხელახალი გადააზრებაა. მემარჯვენე ავტორიტარობის ცნება ეკუთვნის რობერტ ალტემაიერს.

ალტემაიერის აზრით, მემარჯვენე ავტორიტარობა სამი ურთიერთდაკავშირებული კლასტერისგან შედგება. ესენია ავტორიტარული მორჩილება, ავტორიტარული აგრესია და კონვენციონალიზმი (Altemeyer, 1981; Altemeyer, 1988; Altemeyer, 1998).

ავტორიტარული მორჩილება გულისხმობს პიროვნების მიდრეკილებას, დაემორჩილოს ავტორიტეტებს. ეს ავტორიტეტები განსაზღვრულია იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც ცხოვრობს ეს პიროვნება. ავტორიტარული აგრესია მიმართულია იმ ადამიანებისკენ, რომლებიც ჯგუფურ ნორმებს არღვევენ. კონვენციონალიზმი არის ტრადიციებისა და სოციალური ნორმების უპირობო აღიარება და დაცვა, ასევე რწმენა, რომ საზოგადოების ყველა სხვა წევრი უნდა მისდევდეს ამ ტრადიციებსა და ნორმებს(Altemeyer, 1981, Altemeyer, 1988).

მრავალი კვლევა ამტკიცებს, რომ მემარჯვენე ავტორიტარობა ძლიერ დადებით კორელაციაშია წინარწმენასთან და დისკრიმინაციულ ქცევასთან. რაც უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს პიროვნებას მემარჯვენე ავტორიტარობის სკალაზე, მით მაღალია ალბათობა, რომ ის იქნება დისკრიმინაციული გარე ჯგუფების მიმართ (Altemeyer, 1988; Laythe et al, 2001; Mavor, Louis, Laythe, 2011).

მემარჯვენე ავტორიტარობა და სოციალური დომინანტობის ორიენტაცია ხშირად ერთად მოიხსენიება, რამდენადაც ორივე წინარწმენის ამხსნელ პიროვნულ

ფაქტორებს განეკუთვნება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი კონსტრუქტი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან და მხოლოდ სუსტად ან ზომიერად კორელირებს ერთმანეთთან. სიდანიუსმა და პრატომ იკვლიეს ეს კავშირი 700 ცდის პირზე. მათი კვლევის მიხედვით, ამ ორ ცვლადს შორის კორელაციის კოეფიციენტი არის 0,47. (Sidanius, Pratto, 1999)

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური დომინანტობის ორიენტაცია და მემარჯვენე ავტორიტარობა მედლის ორი მხარეა - სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები ძალაუფლებას მოწყურებული ლიდერები უფრო ხდებიან, ხოლო მემარჯვენე ავტორიტარობის მაღალი მაჩვენებლი მქონე ინდივიდები - მორჩილი მრევლი (Altemeyer, 1988). მაკფარლანდის თქმით, ამ ორი ნიშნის კომბინაცია წინარწმენის ძალიან ძლიერი პრედიქტორია. ის ამ კომბინაციას უწოდებს „მომაკვდინებელ კავშირს“. სწორედ ამ ფრაზით აღწერს ის სოციალური დომინანტობის ორიენტაციისა და მემარჯვენე ავტორიტარობის ერთობლივ ეფექტს წინარწმენაზე (Mcfarland, 2010).

მემარჯვენე ავტორიტარობისა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციის მიმოხილვით მეტ-ნაკლებად ამოვწურე წინარწმენის თანამედროვე კვლევებში დომინირებული პიროვნული ფაქტორები, რომლებიც ადამიანის პიროვნულ თვისებებს ემყარება.

2.1.2.3. *სოციალური იდენტობის მიდგომა.* რაც შეეხება თანამედროვე კვლევებში დომინირებულ პიროვნულ ფაქტორებს, რომლებსაც უფრო სოციალური ხასიათი აქვს, განვიხილავ დღეს გავრცელებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიდგომას - სოციალური იდენტობის თეორიას, რომელზეც ზემოთ, ისტორიულ რაკურსში, უკვე ვისაუბრე. თუმცა, სოციალური იდენტობის თეორიას, უფრო სწორად სოციალური იდენტობის მიდგომას, რომელშიც გაერთიანებულია სოციალური იდენტობის თეორია და მისი მონათესავე თვით-კატეგორიზაციის თეორია, დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წინარწმენის თანამედროვე კვლევებში და შესაბამისად, უფრო დეტალურ ჩაღრმავებას საჭიროებს.

სოციალური იდენტობის თეორია პირველად ტაიფელმა შემოიტანა. სოციალური იდენტობის თეორიას საფუძვლად დაედო მინიმალური ჯგუფების პარადიგმა. 1970-იან წლებში ტაიფელმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ექსპერიემენტების სერია, სადაც შემთხვევითი ნიშნებით შექმნილ ჯგუფებად დაყოფილ ადამიანებს უნდა გაენაწილებინათ გარკვეული რესურსები სხვა ადამიანებს შორის, რომლებიდან ზოგი ეკუთვნოდა მათ ჯგუფს და ზოგი - არა. აღმოჩნდა, რომ რაც უნდა ტრივიალური ყოფილიყო ჯგუფებად დაყოფის პრინციპი (მაგალითად მონეტის აგდება), ინდივიდები მაინც მიდრეკილნი იყვნენ მეტი რესურსი მიეკუთვნებინათ საკუთარი ჯგუფის წევრებისთვის, ვიდრე გარე ჯგუფის წევრებისთვის (Turner et al, 1994; Turner, 1999; Turner, Reynolds, 2001).

ეს აღმოჩენა ნიშნავს იმას, რომ ინდივიდების მხოლოდ ჯგუფებად დაყოფის ფაქტი იწვევს შიდაჯგუფურ ფავოროტიზმს და გარეჯგუფურ ანტაგონიზმს.თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეიძლება ცოტა გადაჭარბებული მტკიცებაც იყოს. ბრიუერი ამტკიცებს, რომ მინიმალური ჯგუფების ექსპერიმენტებში შიდა ჯგუფის რეიტინგის მომატება ხდება გარე ჯგუფის რეიტინგის შემცირების გარეშე. ანუ, ბუნებრივია შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი, თუმცა გარე ჯგუფურ ანტაგონიზმის განვითარებას დამატებითი ფაქტორები ჭირდება (Brewer, 2007).

ტაიფელის მოსაზრება მდგომარეობდა იმაში, რომ ჯგუფზე მიკუთვნებულობა განსაზღვრავს ჩვენს რაობას და იმას, თუ როგორ აღვიქვამთ სხვებს. ტაიფელის აზრით, ერთადერთი ახსნა იმისა, რომ ასეთი, აზრისაგან დაცლილი ჯგუფებისადმი მიკუთვნეულობა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები საკუთარ თავს ჯგუფის წევრობით განსაზღვრავენ (Reicher, Spears, Haslam, 2010).

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ საკუთარ თავს ჯგუფთან ვაიგივებთ და ჩვენი ჯგუფის ბედი ჩვენს საკუთართან იგივდება, თუმცა, ამას აქვს მეორე მხარეც. იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ, ნაწილობრივ განსაზღვრავს ის, თუ ვინ არ ვართ. შესაბამისად, ჩვენ ვცდილობთ განვასხვავოთ ის ჯგუფები, რომელთა წევრადაც თავს

ვთვლით, იმ ჯგუფებისგან, რომელთა წევრებიც არ ვართ. სწორედ ამის შედეგია ჯგუფშიდა ფავოტირიტიზმი და ჯგუფგარე ანტაგონიზმი (Reicher, Spears, Haslam, 2010)..

სოციალური იდენტობის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის ისტორიაში. მან გადო ხიდი ინდივიდუალურსა და სოციალურს შორის და აჩვენა, თუ როგორ შეიძლება სოციალურმა რეალობამ მართოს ინდივიდების ქცევა, თუმცა, ის ვერ პასუხობს კითხვას, თუ როგორ და რატომ ხდება სოციალური იდენტობის კონსტრუირება. აქ დასახმარებლად მოდის სოციალური იდენტობის მიდგომის მეორე წამყვანი თეორია - თვითკატეგორიზაციის თეორია (Reicher, Spears, Haslam, 2010)..

თვით-კატეგორიზაციის თეორია ეკუთვნის ტაიფელის მოწაფეს ჯონ ტერნერს. ისინი ერთად მუშაობდნენ სოციალური იდენტობის თეორიაზე, თუმცა, შემდეგ ტერნერმა აქცენტი კოგნიტურ ასპექტზე გადაიტანა და ახალ, თუმცა მონათესავე თეორიას დაუდო სათავე. ეს თეორია ხსნის იმ მექანიზმებს, თუ რა განაპირობებს ჯგუფურ იდენტობას და ჯგუფის აღქმას შიდა ჯგუფად (Turner, Reynolds, 2001).

თვით-კატეგორიზაციის თეორია გულისხმობს იმას, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ინდივიდების ერთობლიობა აღიქმება ჯგუფად, თუ მათ შორის აღქმული განსხვავებები ნაკლებია, ვიდრე განსხვავებები მათსა და სხვა ჯგუფებს შორის (Turner, Reynolds, 2001).

თვითკატეგორიზაციას თან სდევს გარკვეული პროცესები. ესენია დეპერსონალიზაცია, თვით-სტერეოტიპიზაცია და სოციალური ზეგავლენა (Reicher, Spears, Haslam, 2010)..

დეპერსონალიზაცია და თვითსტერეოტიპიზაცია გულისხმობს იმას, რომ ჯგუფს მიკუთვნებული ინდივიდები აღარ აღიქმებიან და ფასდებიან საკუთარი ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით. ისინი აღიქმებიან ჯგუფის

წევრებად, რომელთანაც არიან მიკუთვნებული და მიეწრებათ იგივე თვისებები, რაც ჯგუფის სხვა წევრების უმეტესობას ახასიათებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით-კატეგორიზაციის თეორია გულისხმობს საკუთარი თავის დეპერსონალიზაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვაზე „ვინ ვარ მე“, ვპაპუხობთ იმ ჯგუფის მახასიათებლების ფარგლებში, რომელსაც თავს მივაკუთვნებთ (Reicher, Spears, Haslam, 2010)..

სწორედ აქედან იღებს სათავეს სოციალური ზეგავლენა. ხშირად არის შემთხვევა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში არ ვიცით ჩვენს ჯგუფში გაბატონებული ქცევის მოდელი. შესაბამისად, ამ დროს ვეძებთ პასუხს კითხვაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ჩვენი შიდა ჯგუფის ტიპური წევრი, ანუ როგორია ჩვენი ჯგუფის სტერეოტიპი კონკრეტულ სიტუაციაში (Turner, Reynolds, 2001).

სოციალური იდენტობის მიდგომა საკმაოდ კარგად ასაბუთებს წინარწმენის წარმოშობის მექანიზმს და მათ გარდაუვალობას ჯგუფებად დაყოფილ საზოგადოებებში.

2.1.2.4. *ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია.* ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია ეკუთვნის სტივენს და სტივენს. ეს თეორია გულისხმობს, რომ წინარწმენის მთავარი განმაპირობებელი საფრთხის არსებობაა. პიროვნებისთვის ჯგუფის წევრობა და ჯგუფზე მიკუთვნებულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, როდესაც ერთი ჯგუფის წევრები თვლიან, რომ შესაძლოა მეორე ჯგუფის წევრებმა მათ ჯგუფს ზიანი მიაყენონ, წარმოიშვება საფრთხის განცდა (Stephen et al, 2000).

პირველად ვარიანტში სტივენმა და სტივენმა გამოყვეს საფრთხის ოთხი ტიპი. ესენია რეალისტური საფრთხე, სიმბოლური საფრთხე, ჯგუფთაშორისი შფოთვა და ნეგატიური სტერეოტიპები (Stephen et al, 2000).

რეალისტური საფრთხე მოიცავს იმ ფიზიკურ, ანუ რეალურ საფრთხეს, რომელიც შეიძლება გარეჯგუფის წარმომადგენლებმა მოგვაყენონ. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც ჯგუფის წევრებს ფიზიკურად შეზღუდავს, ან მისი ფიზიკური განადგურების საფრთხეს შეიცავს. (Stephen et al, 2000, Stephen et al, 2002; Stephen et al, 2005).

სიმბოლური საფრთხე მოიცავს გარეჯგუფისგან წამოსულ არამატერიალურ საფრთხეებს. ეს შეიძლება იყოს მსოფლმხედველობის, მორალის, ნორმების, სტანდარტების შეცვლის საფრთხე (Stephen et al, 2000, Stephen et al, 2002; Stephen et al, 2005).

ჯგუფთაშორისი შფოთვა დაფუძნებულია იმაზე, რომ შესაძლოა, ჯგუფთაშორისმა ურთიერთობამ პიროვნებისთვის უარყოფითი შედეგები მოიტანოს, ხოლო ნეგატიური სტერეოტიპები დაფუძნებულია შიშზე, რომ ჯგუფთაშორისი ურთიერთობა ნეგატიურ შედეგებს იქონიებს მთლიანად ჯგუფზე (Stephen et al, 2000).

მოგვიანებით მოხდა საფრთხის ამ ოთხი ტიპის გადახედვა და ორ ტიპზე დაყვანა - რეალისტურ და სიმბოლურ საფრთხეებზე. ახალ ვარიანტში რეალისტური საფრთხე განმარტებულია, როგორც საფრთხე, რომელიც ემუქრება ჯგუფის ძალაუფლებას, რესურსებს და ზოგად კეთილდღეობას; ხოლო სიმბოლური საფრთხე არის საშიშროება, რომელიც ჯგუფის რელიგიას, ღირებულებებს, რწმენებს, იდეოლოგიას, ფილოსოფიას, მორალს ან მსოფლმხედველობას ემუქრება (Stephen, Ybarra, Morisson, 2009).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია აქცენტს აკეთებს აღქმულ საფრთხეზე. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად რეალურია საფრთხე. აღქმულ საფრთხეს აქვს უარყოფითი შედეგები მიუხედავად ამ საფრთხის რეალურობისა (Stephen, Ybarra, Morisson, 2009).

აღქმული საფრთხის არსებობა იწვევს გარე ჯგუფების მიმართ წინარწმენის გაჩენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება იმ გარე ჯგუფების სტერეოტიპიზაცია,

რომლებიც შიდა ჯგუფისთვის გარკვეულ სიმბოლურ თუ რეალისტურ საფრთხეს წარმოადგენენ (Stephen et al, 2000).

ბუნებრივია, რომ წინარწმენის არსებობა ცალსახად უარყოფითი მოვლენაა და ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია, შესაბამისად არსებობს უამრავი კვლევა იმის შესახებ, თუ რა იწვევს წინარწმენის გაძლიერებას და შემცირებას (Dovidio, Gaertner ,2010; Galinski, Moskowits, 2000; Dovidio et al, 2004; Pettigrew, Tropp, 2008). როგორც უკვე აღინიშნა, ეს შემამცირებელი და გამაძლიერებელი ფაქტორები შეიძლება იყოს პიროვნული და სიტუაციური. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პიროვნულ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ პიროვნების რელიგიურობა, თუმცა, თუ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით, პიროვნების რელიგიურობაში შეიძლება სიტუაციური ფაქტორების ელემენტებიც ვიპოვოთ.

2.2. რელიგიურობა

წინამდებარე კვლევაში რელიგიურობა განიხილება, როგორც რამდენიმე ფაქტორისგან შემდგარ კონსტრუქტი. იმ ფაქტის სასარგებლოდ, რომ რელიგიურობა მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტია, ძალიან ბევრი რამ მეტყველებს. რელიგიურობისადმი ასეთ მიდგომას საფუძველი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ეყრება და თანამედროვე კვლევებშიც მრავლადაა შემთხვევები, სადაც რელიგიურობას არა ერთ, არამედ რამდენიმე განსხვავებულ სკალაზე აფასებენ (ჩიტაშვილი, 1998).

პიროვნების რელიგიურობა ძალიან კომპლექსური თვისებაა და მისი კვლევა საკმაო ჩაღრმავებას მოითხოვს. უილიამ ჯემსი რელიგიურობის ფსიქოლოგიის კვლევის პიონერად ითვლება. ის ერთმანეთისგან განასხვავებდა ინსტიტუციურ რელიგიას და პიროვნულ რელიგიას. ინსტიტუციური რელიგია გულისხმობს რელიგიურ დაჯგუფებას, რომელიც საზოგადოების კულტურის განუყოფელი ნაწილია. პიროვნული რელიგია კი ადამიანის ზებუნებრივ გამოცდილებას

გულისხმობს და კულტურისგან დამოუკიდებლად განიცდება (Hood et al, 2009; Walborn, 2014).

ჯემსის შემდეგ რელიგიურობის თემას სხვა მეცნიერებიც შეეხნენ. ზიგმუნდ ფროიდმა, კარლ იუნგმა, ალფრედ ადლერმა, ერიხ ფრომმა და სხვა ბევრმა მკვლევარმა საკუთარი წვლილი შეიტანა რელიგიურობის ფსიქოლოგიის კვლევაში (Spilk, Ladd, 2013).

რელიგიურობის ფსიქოლოგიის კვლევაში გადადგმული ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი ეკუთვნის გორდონ ოლპორტს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა რელიგიურობის - როგორც მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტის კვლევის საკითხში. მან პიროვნების რელიგიურობა ორ განზომილებად გაყო. პირველი - ეს არის ე.წ. შინაგანი რელიგიურობა, რომელიც აუთენტურია და თვითკმარი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაგანი რელიგიურობისთვის არ არსებობს სხვა გარე მიზანი. ეს არის ჭეშმარიტი შინაგანი რწმენა, რომელსაც არ აქვს უტილიტარული დანიშნულება. მეორე განზომილება არის ე.წ. გარეგანი რელიგიურობა. გარეგანი რელიგიურობა გულისხმობს იმას, რომ ადამიანი ცდილობს რელიგია გამოიყენოს სხვა, გარე მიზნების მისაღწევად, მაგალითად სოციალური სტატუსის გასამყარებლად(Allport, Ross, 1967).

ოლპორტის მიერ პირველად შემუშავებული განზომილებები შემდგომში მრავალი მეცნიერისგან დაექვემდებარა გადახედვას და შესწორებებს. ერთ-ერთი ასეთი შესწორება ეკუთვნის კირკპატრიკს (1989), რომელმაც აჩვენა, რომ გარეგანი რელიგიურობა, თავის მხრივ, კიდევ ორ ნაწილად იყოფა. ეს არის „პიროვნულად გარეგანი“ და „სოციალურად გარეგანი“ განზომილებები. „პიროვნულად გარეგანი განზომილება გულისხმობს იმას, რომ რელიგიის უტილიტარული მიზანი პიროვნულ გამორჩენაში მდგომარეობს, მაგალითად, სამოთხეში მოხვედრა. „სოციალურად გარეგანი“ რელიგიურობის შემთხვევაში კი, მიზანი სოციალურ გამორჩენაშია, მაგალითად სოციალური სტატუსის ამაღლება (Kirkpatrick, Hood 1990).

ამას გარდა, ბატსონმა (1976) ივარაუდა, რომ რელიგიურობის გარეგან და შინაგან სახეებად დაყოფა არ იყო სრულყოფილი და არ ითვალისწინებდა რელიგიურობის ზრდასრულ, მომწიფებულ ფორმას, რომელიც კრიტიკულ ანალიზზეა დაფუძნებული და მოქნილობით ხასიათდება. ბატსონმა რელიგიურობის ამ მესამე განზომილებას უწოდა „ძიებითი". „ძიებითი" ორიენტაციის მქონე პირებს შემდეგი მახასიათებლები აქვთ: ა) ეგზისტენციალური კითხვებისთვის მზაობა, მათი კომპლექსურობის შემცირების გარეშე; ბ) თვით-კრიტიკულობა და რელიგური ეჭვების პოზიტიური აღქმა; გ) ცვლილებებისადმი ღიაობა. ეს მიდგომა შემდგომში საკმაოდ ბევრმა მეცნიერმა გააკრიტიკა იმ მიზეზით, რომ ის უფრო აგნოსტიციზმის საზომად გამოდგებოდა, ვიდრე პიროვნების რელიგიური ორიენტაციის სკალად (Jaume et al, 2013).

რელიგიურობის განსხვავებული მიდგომით კვლევას გვთავაზობენ სხვა ავტორები. ერთ-ერთი მიდგომა შემოგვთავაზეს სტარკმა და გლოკმა (1965). მათ რელიგიურობა ხუთფაქტორიან კონსტრუქტად წარმოადგინეს. თავდაპირველად ამ ავტორებმა გამოყვეს იდეოლოგიური, რიტუალური, ინტელექტუალური, გამოცდილებითი და შედეგობრივი განზომილებები, თუმცა, მოგვიანებით (1968) ისინი უკვე იყენებენ შემდეგ ტერმინებს: პრაქტიკა, რწმენა, გამოცდილება, ცოდნა და შედეგები. ისინი თვლიდნენ, რომ შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს მაღალი მაჩვენებელი რელიგიურობის ერთ განზომილებაში, ხოლო დაბალი მაჩვენებელი - სხვა განზომილებაში (Glock, Stark, 1965; Clayton, Gladden, 1974). ამ მიდგომის მთავარი მიგნება არის ის, რომ მოხდა განზომილებათა განსაზღვრული რაოდენობის იდენტიფიცირება, რომლებიც პრაქტიკულად სრულად ფარავენ რელიგიური ცხოვრების განსხვავებულ ასპექტებს (Huber, Huber, 2012). რელიგიურობის სტარკის და გლოკის მიერ შემუშავებულ მრავალგანზომილებიან მოდელზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

რელიგიურობის კვლევაში საინტერესო მიდგომას გვთავაზობს ასევე დევიდ ვულფი. მან ადამიანები რელიგიურობის მიხედვით ოთხ კლასტერად დაყო. ეს

კლასტერები ორი ბიპოლარული განზომილების კომბინაციაზეა დაფუძნებული. ეს განზომილებებია: 1. ზებუნებრივის ინკლუზია - ექსკლუზია; 2. პირდაპირი-სიმბოლური ინტერპრეტაცია. შესაბამისად, გამოიყოფა ადამიანთა ოთხი ტიპი.

1. ისინი, ვისაც ჯერა ზებუნებრივის და პირდაპირ იგებს საღვთო წერილის სწავლებებს, ყველანაირი გადატანითი მნიშვნელობების გარეშე;
2. ისინი, ვისაც არ ჯერა ზებუნებრივის, პირდაპირ იგებს საღვთო წერილს და თვლის,რომ ის არამეცნიერულია;
3. ისინი, ვისაც ჯერა ზებუნებრივის და საღვთო წერილს სიმბოლურ დატვირთვას აძლევს;
4. ისინი, ვისაც არ ჯერა ზებუნებრივის, მაგრამ საღვთო წერილი გადატანილი მნიშვნელობით ესმის და თვლის, რომ გარკვეული სიბრძნე არის გადმოცემული ამ წყაროებით (Wulff, 1997).

რაც შეეხება რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირს, ზემოთ განხილული წინარწმენის თეორიული ჩარჩოებიდან რამოდენიმეს შეიძლება მოერგოს. ის ეხმიანება როგორც სოციალური იდენტობის და მემარჯვენე ავტორიტარობის, ასევე ჯგუფური კონფლიქტის და ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიებსაც.

რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის კვლევა ჯერ კიდევ ოლპორტმა დაიწყო. როგორც უკვე აღვნიშნე, სწორედ ოლპორტმა და როსმა შეიმუშავეს რელიგიურობის ორი განზომილების - გარეგანი და შინაგანი რელიგიურობის საზომი სკალა (Allport, Ross, 1967). მათი აზრით, რამდენადაც შინაგანი რელიგიურობა ჩამოყალიბებული და მომწიფებული დამოკიდებულებაა, ხოლო გარეგანი რელიგიურობა მოუმწიფებლობასთან ასოცირდება და გულისხმობს რელიგიის სხვა მიზნების მისაღწევად გამოყენებას, შინაგანი რელიგიურობა უარყოფით, ხოლო გარეგანი რელიგიურობა დადებით კორელაციაში უნდა იყოს წინარწმენის არსებობასთან (Allport, Ross, 1967).

რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირზე ჩატარებულია უამრავი კვლევა, რომლებიც წინააღმდეგობრივ შედეგებს აჩვენებს. კვლევათა დიდი ნაწილის მიხედვით, რელიგიურობა წინარწმენის არსებობის დადებითი პრედიქტორია, თუმცა არსებობს კვლევები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს (Herek, 1987; Price, Herek, 1999; Brambilla, 2013; Scheepers et al, 2002).

ლოგიკურია, ბევრი მკვლევარი ცდილობდა გადაეჭრა არაერთგვაროვანი მონაცემების პრობლემა სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით. რელიგიურობის შინაგან და გარეგან რელიგიურობად დაყოფა და ხსენებული წინააღმდეგობრივი მონაცემების ამით ახსნა არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც არ არსებობს ერთგვაროვანი მონაცემები იმის შესახებ, რომ შინაგანი რელიგიურობის მქონე პირებს ნაკლები წინარწმენა აქვთ, ვიდრე გარეგანი რელიგიურობის მქონე ადამიანებს. (Herek, 1987; Price, Herek, 1999).

ასევე, ბატსონის მიერ ახალი, „ძიებითი“ ორიენტაციის შემოტანაც არ აღმოჩნდა ის, რაც სრულად ახსნიდა რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის ბუნებას. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ჩანს, რომ კვლევები არ იძლება კონსისტენტურ მონაცემებს „ძიებითი“ განზომილების და რელიგიურობის ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობისას (Walborn, 2014).

ამ წინააღმდეგობრივი მონაცემების ახსნის ერთ-ერთი მცდელობა არის არა მხოლოდ რელიგიურობის შინაგანი და გარეგანი სახეების, არამედ იმის გათვალისწინება, თუ ვის მიმართ იზომება წინარწმენა. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რელიგია ქადაგებს შემწყნარებლობას გარკვეული ჯგუფის მიმართ, შინაგანი რელიგიურობის მქონეთ ნაკლები წინარწმენა ექნებათ ამ ჯგუფის წევრების მიმართ, ვიდრე გარეგანი რელიგიურობის მქონე პირებს. მაგალითად, ეს ეხება რასობრივ ან ეთნიკურ წინარწმენას. სხვაგვარადაა საკითხი, როცა რელიგია ქადაგებს არაშემწყნარებლურ დამოკიდებულებას გარკვეული ჯგუფის მიმართ. ამ შემთხვევაში, შინანაგნი რელიგიურობის მქონე პირები არანაკლებად ძლიერი წინარწმენით იქნებიან განწყობილი ამ ჯგუფის წევრების მიმართ. მეტიც, შეიძლება,

შინაგანი რელიგიურობის მქონე ადამიანებმა მეტი წინარწმენაც კი გამოავლინონ, ვიდრე გარეგანი რელიგიურობის მქონე პირებმა (Hunsberger, Jackson, 2005). ამის ძალიან კარგი მაგალითია ჰომოსექსუალების მიმართ დამოკიდებულება. რამდენადაც ქრისტიანული რელიგია (კერძოდ, კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა) ჰომოსექსუალობას მიიჩნევს მიუღებლად და მას ცოდვის სტატუსს აძლევს, შინაგანი რელიგიურობის მქონე პირები, რომლებსაც კარგად აქვთ გათავისებული ის, თუ რას ასწავლის საკუთარი რელიგია, უარყოფითად იქნებიან განწყობილი ჰომოსექსუალების მიმართ. რაც შეეხება გარეგანი რელიგიურობის მქონე პირებს, მათთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ გარშემომყოფები, ვიდრე ის, თუ რას ასწავლით საკუთარი რელიგია. შესაბამისად, ისინი გაიმეორებენ წინარწმენის იმ პატერნებს, რაც საზოგადოებაშია დამკვიდრებული. ანუ, თუ საზოგადოებაც და ეკლესიაც თანაბრადაა გაჯერებული წინარწმენით ჰომოსექსუალების მიმართ, შინაგანი და გარეგანი რელიგიურობის მქონე ადამიანები მსგავს დამოკიდებულებას გამოვლენენ მათ მიმართ. თუ, ვთქვათ, საზოგადოებაა განწყობილი უარყოფითად, ხოლო ეკლესია - დადებითად, მაშინ, გარეგანი რელიგიურობის მქონენი იქნებიან შეპყრობილი წინარწმენით ჰომოსექსუალების მიმართ, მაგრამ შინაგანი რელიგიურობის მქონენი - არა.

არსებობს კვლევები, რომლებიც რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირს იკვლევს ვულფის რელიგიურობის მოდელზე დაყრდნობით. ამ კვლევებიდან ჩანს, რომ რელიგიური ადამიანები არ ხასიათდებიან არარელიგიურებზე მეტი წინარწმენით, თუ ისინი, ვულფის მიერ გამოყოფილი ოთხი კლასტერიდან ერთ-ერთ - სიმბოლური ინტერპრეტაციის კლასტერს განეკუთვნებიან (Balkin, levitt, 2009).

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანი პირდაპირ არ იგებს საღვთო წერილს და გარკვეული კრიტიკული ინტერპრეტაციის ჭრილში ატარებს მას, მისი რელიგიურობა უფრო ნაკლებ გავლენას მოახდენს მის მიერ წინარწმენის გამოვლენაზე, ვიდრე იმ ადამიანების შემთხვევაში, რომლებსაც წმინდა წერილი

პირდაპირ ესმით და შესაბამისად, ნაკლებად უქვემდებარებენ კრიტიკულ ანალიზს.რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის კვლევაში ასევე ძალიან ხშირად ფიგურირებს გლოკის და სტარკის მიერ მოგვიანებით 1965 წელს შემუშავებული მიდგომა (Scheepers et al, 2002). ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ ამ მოდელის სტრუქტურას და მის განზომილებებს, ასევე კვლევების შედეგებს ამ განზომილებებისა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გლოკის და სტარკის მოდელში რელიგიურობა ხუთი განზომილებისგან შედგება. ესენია რელიგიური პრაქტიკა, რელიგიური რწმენა, რელიგიურობის შედეგები, რელიგიური გამოცდილება და რელიგიური ცოდნა.

რელიგიური პრაქტიკა. სტარკის და გლოკის (1965) მიხედვით, ეს ფაქტორი შედგება ორი ნაწილისგან: გარკვეული რელიგიური თემის წევრობა და რიტუალებზე დასწრება (Stark, Glock, 1965). ამ ფაქტორის წინარწმენასთან დამოკიდებულებასთან მიმართებაში არსებობს წინააღმდეგობრივი მონაცემები, თუმცა, ცალსახაა, რომ პიროვნებებს, რომლებიც არც ერთი რელიგიური მიმდინარეობის წევრად არ თვლიან თავს, ნაკლებად ახასიათებთ წინარწმენა (Scheepers et al, 2002).

რელიგიური რწმენა. სტარკის და გლოკის მიხედვით, ეს განზომილება მოიცავს დოქტრინალურ რწმენებს(რწმენათა ერთობლიობა, რომელიც გარკვეული რელიგიური სწავლების განუყოფელი ნაწილია) და რელიგიურ პარტიკულარიზმს (იმის რწმენა, რომ ხსნა მხოლოდ მის რელიგიაშია შესაძლებელი) (Stark, Glock, 1965). ეიზინგამ და სხვებმა (1988) მრავალი კვლევის მიმოხილვის შედეგად დაადგინეს, რომ დოქტრინალური რწმენა აშკარა დადებით კავშირშია წინარწმენასთან, თუმცა ამის მიზეზები, მათი თქმით, საკმაოდ ბუნდოვანია (Scheepers et al, 2002). შეპერსი და სხვები აღნიშნავენ, რომ ეს დამოკიდებულება შესაძლოა განპირობებული იყოს დოქტრინალური რწმენის რელიგიურობის რომელიმე სხვა კომპონენტთან კორელაციით, მაგალითად რელიგიურ პარტიკულარიზმთან, რომელიც, მანამდე

არსებული კვლევების მიხედვით, ნამდვილად არის წინარწმენის დადებითი პრედიქტორი (Scheepers et al, 2002).

რელიგიური გამოცდილება. სტარკის და გლოკის მიხედვით, რელიგიური გამოცდილება გულისხმობს რელიგიის იმ ასპექტს, როდესაც ადამიანი გრძნობს კავშირს ზებუნებრივ ძალასთან (Glock, Stark, 1965). რელიგიურობის ამ ასპექტის წინარწმენასთან კავშირი შედარებით ბუნდოვანია, თუმცა, შეპერსის და სხვების ვარაუდით, ეს განზომილება უნდა ამცირებდეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენას (Scheepers et al, 2002).

რელიგიურობის შედეგები. ეს განზომილება სტარკის და გლოკის თანახმად განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში(Stark, Glock, 1965). რამდენადაც ძალიან ბევრი კვლევა არსებობს იმის შესახებ, რომ შინაგანი რელიგიური ორიენტაციის მქონე პიროვნებებს ნაკლებად ახასიათებთ წინარწმენა, ვიდრე გარეგანი ორიენტაციის მქონე პირებს (Fulton et al, 1999), საინტერესოა, რა შედეგს მოგვცემს რელიგიურობის ამ განზომილების დაკავშირება წინარწმენის არსებობასთან.

რელიგიური ცოდნა. რელიგიური ცოდნის განზომილება გულისხმობს იმას, თუ რამდენად კარგად იცის ადამიანმა წმინდა წერილი. რამდენადაც ბევრი მკვლევარი ადასტურებს, რომ ამ განზომილებასა და წინარწმენას შორის არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს რაიმე სახის კავშირი(Scheepers et al, 2002), წინამდებარე კვლევაში ეს განზომილება არ არის ნაკვლევი.

საქართველოში რელიგიურობის ფსიქოლოგიური კუთხით კვლევას არც ისე დიდი ისტორია აქვს. ეს ალბათ ბუნებრივიცაა იმის ფონზე, რომ საბჭოთა მმართველობის დროს ამ საკითხით დაინტერესება, მსუბუქად რომ ვთქვათ, არც ისე პოპულარული იყო. ამ კუთხით ყველაზე მეტად აღსანიშნავია მარინე ჩიტაშვილის მიერ 1990-იანი წლებში ჩატარებული კვლევების სერია, რომლებმაც რელიგიურობას და სხვადასხვა პიროვნულ მახასიათებელს შორის კავშირები დაადგინა. ოლპორტისა

და როსის გარეგანი და შინაგანი რელიგიურობის საკვლევი სკალების გამოყენებით, ამ კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული საზოგადოება მიეკუთვნება ე.წ. „პრორელიგიურების“ ჯგუფს. ამ ჯგუფს ახასიათებს დადებითი პასუხები ურთიერთგამომრიცხავ კითხვებზე, და, შესაბამისად, მაღალი მაჩვენებელი აქვს ორივე - გარეგან და შინაგან სკალებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ რეალობაში გარეგან და შინაგან სკალებზე არსებული კითხვები მკვეთრად არ გაიმიჯნა დამოუკიდებელ ფაქტორებად და გარკვეულმა კითხვებმა ორბუნებოვანი სახე გამოავლინა (ჩიტაშვილი, 1998). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. “პრორელიგიურები” უფრო მეტად არიან მიდრეკილი წინარწმენის ქონისკენ, ვიდრე გარეგანი და შინაგანი რელიგიური ორიენტაციის მქონე პირები. ამ ჯგუფს ცალსახად ახასიათებს სამყაროს დიქოტომიური ხედვა, ანუ ე.წ. შავ-თეთრი აზროვნება. ისინი გარე ჯგუფების წევრებს საერთოდ არ თვლიან სრულფასოვან ინდივიდებად (Allport, 1968).

2001 წელს ჩატარებულმა კვლევამ რელიგიური ორიენტაციის მქონე პირთა სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებელბის შესახებ აჩვენა, რომ ეკლესიური მართლმადიდებლები ნაკლებად ტოლერანტები არიან, ვიდრე არაეკლესიური მართლმადიდებლები. ეკლესიურ მართლმადიდებლებში მოიაზრებიან პირები, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან საეკლესიო მსახურებებს, აქვთ კონტაქტი მოძღვართან და ასრულებენ საეკლესიო რიტუალებს. არაეკლესიური მართლმადიდებლები კი არიან პირები, რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ მორწმუნედ, თუმცა ეკლესიაში მხოლოდ გამორჩეულ დღესასწაულებზე დადიან. (ჯავახიშვილი, მამამთავრიშვილი, 2001).

ქართულ საზოგადოებაში რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირზე მოგვიანებით ჩატარებული კვლევა სტუდენტებზე აჩვენებს, რომ რელიგიურობასა და წინარწმენას შორის ცალსახად დადებითი კორელაციაა. კვლევაში რესპონდენტები საკუთარ რელიგიურობას აფასებდნენ 10 ქულან სკალაზე, ხოლო სხვადასხვა ჯგუფის მიმართ წინარწმენა იზომებოდა ბოგარდუსის სკალის გამოყენებით. (ვარდანაშვილი,

ჯავახიშვილი, 2016). თუმცა, ამ კვლევაში არ არის სიღრმისეულად შესწავლილი ამ კავშირის ბუნება და მოდერატორი ცვლადის არსებობის შესაძლებლობა.

2.3. ემპათია

ემპათია, ეს არის ადამიანის რეაქცია სხვა ადამიანების გამოცდილებაზე. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ემპათია ხშირად განიხილება, როგორც მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტი (Davis, 1983).

რამდენადაც სხვის გამოცდილებაზე რეაქციებს შეიძლება რადიკალურად განსხვავებული სტრუქტურა და ხასიათი ჰქონდეს, ეს მიდგომა საკმაოდ პოპულარულია ფსიქოლოგიურ კვლევებში.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში მოაზროვნეები გამაყოფდნენ ასეთი რეაქციების ორ მსხვილ კლასს. პირველი, ეს არის კოგნიტური, ინტელექტუალური რეაქცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნარი, გაიაზრო და გაიგო სხვა ადამიანის პოზიცია, მისი პოზიციიდან შეხედო მოვლენებს. მეორე მსხვილი კლასი არის ემოციური. ეს არის სხვა ადამიანის განცდებში ემოციური თანამონაწილეობა. მას შემდეგ ეს დაყოფა საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ფსიქოლოგიაში და ემპათიის განსაზღვრება, როგორც წესი, ისტორიულად ეყრდნობოდა ამ ორი კლასიდან ერთ-ერთს, თუმცა, არ ახდენდა მათ ინტეგრაციას (Davis, 1983).

მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში გაძლიერდა მოძრაობა, რომ მომხდარიყო ამ ორი მიმართულების ერთ კონსტრუქტში გაერთიანება. გაჩნდა მოსაზრება, რომ ემპათიის საფუძვლიანი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მისი კოგნიტური და ემოციური კომპონენტის ერთად გამოკვლევით (Davis, 1983).

სწორედ ამ მოძრაობის ნაწილია დევისის შრომა, რომელმაც ემპათია ოთხი განზომილებისგან შემდგარ კონსტრუქტად წარმოაჩინა.

დევისის მიხედით, ემპათია შედგება შემდეგი ოთხი განზომილებისგან:

1. სხვისი პოზიციის მიღება - სხვისი ფსიქოლოგიური თვალსაზრისის სპონტანურად მიღების ტენდენცია;

2. ფანტაზია - პიროვნების ტენდენცია, მოახდინოს წიგნის, ფილმის ან თამაშის პერსონაჟის გრძნობების და მოქმედებების წარმოსახვის მეშვეობით საკუთართან გაიგივება;

3. ემპათიური ზრუნვა - აფასებს „სხვაზე ორიენტირებულ“ გრძნობებს, სხვისი უბედურებით შეშფოთებას და ემპათიას.

4. პიროვნული სტრესი - ზომავს „საკუთარ თავზე ორიენტირებულ“ გრძნობებს და შფოთვას დაძაბულ სიტუაციებში (Davis, 1983).

წინარწმენასთან მიმართებაში განსაკუთრებით საინტერესოა სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა. ემპათიური ზრუნვის სავარაუდო უარყოფითი კავშირი წინარწმენასთან არ საჭიროებს განსაკუთრებულ არგუმენტაციას, რამდენადაც ეს განზომილება ემპათიის ემოციური მხარეა და რაც უფრო მეტად აქვს ადამიანს უნარი, ემოციურად გაიგოს სხვისი გრძნობები, მით უფრო შემწყნარებელი იქნება ის განსხვავებულის მიმართ. რაც შეეხება სხვისი პოზიციის მიღების უნარს, არსებობს მოსაზრება, რომ ის მჭიდრო კავშირშია მორალურ განსჯასთან, რამდენადაც იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ სხვისი ქცევის მიზეზებზე, ამისთვის მისი პოზიციის მიღება არის საჭირო (Timmerman, 2014). იმავე ლოგიკით შეიძლება ვისაუბროთ წინარწმენაზე. თუ ჩვენ შევძლებთ, რომ მოვლენებს შევხედოთ გარე ჯგუფის წარმომადგენლის პოზიციიდან, ამან უნდა შეასუსტოს ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ. უამრავი კვლევა ამტკიცებს, რომ სხვისი პოზიციის მიღების და ემპათიური ზრუნვის მაღალი მაჩვენებელი წინარწმენის არსებობის უარყოფითი პრედიქტორია(Pettigrew,Tropp, 2008; Shih et al, 2009; Galinski, Moskowits, 2000).

გალინსკიმ და კუმ აჩვენეს, რომ სხვისი პოზიციის მიღების უნარი დაბლა წევს სტერეოტიპიზაციის და შიდა ჯგუფური ფავორიტიზმის მაჩვენებლებს (Galinski, Ku, 2004).

შიმ და სხვებმა ექსპერიმენტული დიზაინით იკვლიეს სხვისი პოზიციის მიღების კავშირი წინარწმენასთან და აღმოაჩინეს, რომ გარე ჯგუფის წევრის პოზიციის მიღება არ მხოლოდ ამ ჯგუფის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებს ამცირებს, არამედ, ამ ჯგუფის სხვა კონკრეტული წევრების მიმართ დამოკიდებულებასაც აუმჯობესებს. ამასთან, ეს ვრცელდება მხოლოდ იმ გარე ჯგუფის წევრებზე, რომლის პოზიციაც ჰქონდა მიღებული ცდის პირს (Shih et al, 2009).

ვესკიომ და სხვებმა ასევე იკვლიეს სხვისი პოზიციის მიღების კავშირი წინარწმენასთან და აჩვენეს, რომ ის ცდის პირები, რომელთაც მიაღებინეს სამიზნე ჯგუფის წევრის პოზიცია და შემდეგ გაუზომეს ამ ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებები, ბევრად უკეთესად აფასებდნენ ამ ჯგუფს, ვიდრე საკონტროლო პირობის ცდის პირები (Vescio, Sechrist, Paolucci, 2003).

სიდანიუსმა და პრატომ იკვლიეს სოციალური დომინანტობის ორიენტაციის კავშირი ემპათიურ შფოთვასა და სხვისი პოზიციის მიღების უნართან. კორელაციის კოეფიციენტი ემპათიურ შფოთვასთან იყო -0.31, ხოლო სხვისი პოზიციის მიღების უნართან ეს მაჩვენებელი უდრიდა -0.18-ს (Sidanius, Pratto, 1999). ეს შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სოციალური დომინანტობის ორიენტაცია წინარწმენის ძლიერი დადებითი პრედიქტორია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით დადგინდა, რომ ემპათიის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კომპონენტიდან სხვისი პოზიციის მიღების უნარს და ემპათიურ შფოთვას აქვს კავშირი წინარწმენასთან. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ემპათიის განზომილებებიდან გამოვყავი ხსენებული ორი კომპონენტი და ვიკვლიე, რამდენად ამცირებს ამ პიროვნული ნიშნების მაღალი მაჩვენებელი

წინარწმენის არსებობის რისკს და რამდენად ასრულებენ ისინი მოდერატორის როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში.

2.4. საკითხის დასმა

კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გაარკვიოს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის წინააღმდეგობრივი მონაცემების სავარაუდო მიზეზები.

ამისთვის კვლევა იყენებს სამ განსხვავებულ მიდგომას: 1) პიროვნების რელიგიურობა წარმოვადგინე, როგორც მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტი და ვივარაუდე, რომ რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები განსხვავებულად იქნებოდნენ დაკავშირებული წინარწმენის არსებობასთან. 2) წინარწმენა ვიკვლიე ერთმანეთისგან განსხვავებული უმცირესობათა ჯგუფების მიმართ და ვივარაუდე, რომ რელიგურობის განზომილებებსა და წინარწმენას შორის კავშირი განსხვავებული იქნებოდა ამ უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის შემთხვევაში. 3) შემოვიტანე მოდერატორი ცვლადი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის ემპათიის სახით და ვივარაუდე, რომ რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირი ემპათიით იქნებოდა გაშუალებული.

კვლევაში გამოყენებული ცვლადები დეტალურად შგიძლიათ იხილოთ სურათ 2.3-ზე.

სურათი 2.3. საკვლევი ცვლადების სქემატური გამოსახულება



2.4.1. ძირითადი საკვლევი საკითხები

ძირითადი საკვლევი კითხვების გარდა, წინამდებარე კვლევა სვამს დამატებით კითხვებსაც, რომელთა დასმა აუცილებელია შემდგომში ძირითადი საკვლევი კითხვების დასასმელად. საბოლოო ჯამში, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს გაარკვიოს:

1) არის თუ არა პიროვნების რელიგიურობა წინარწმენის დადებითი პრედიქტორი?
2) განსხვავდება თუ არა ამ კავშირის სიძლიერე უმცირესობათა შემდეგ ორ კატეგორიას შორის: ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური მოტივებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი (მაგალითად რელიგიური და სექსუალური უმცირესობები) და ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართ რელიგიას ნეიტრალური ან დადებითი დამოკიდებულება აქვს (მაგალითად შშმ პირები)?
3) არის თუ არა სხვისი პოზიციის მიღებისა და ემპათიური ზრუნვის უნარები წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი?
4) ასრულებს თუ არა სხვისი პოზიციის მიღების უნარი და ემპათიური ზრუნვა მოდერატორის როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის? (ჰიპოთეტური მოდელის სქემა იხილეთ სურათზე 2.4.1.1)

სურათი 2.4.1.1. მოდერაციის ნავარაუდევი მოდელი



5) რელიგიურობის რომელი კომპონენტები ასრულებს მნიშვნელოვან როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში და მათგან რომელი რა სახით ზემოქმედებს ამ კავშირზე? (ჰიპოთეტური მოდელის სქემა იხილეთ სურათზე 2.4.1.2)

სურათი 2.4.1.2. რელიგიურების განზომილებებსა და წინარწმენას შორის ნავარაუდევი მიმართება



3. მეთოდოლოგია

3.1. სქემა

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია კვაზიექსპერიმენტული სქემა, რადგან რელიგიურობა ატრიბუტული ცვლადია და მისი მანიპულაცია ვერ ხერხდება. სქემის ტიპიდან გამომდინარე, გარეშე ცვლადების გაკონტროლების მიზნით, კვლევის ფარგლებში მოვაგროვე ცდის პირების მაქსიმალურად ამომწურავი დემოგრაფიული მონაცემები, ანუ ინფორმაცია იმ ცვლადების შესახებ, რომლებსაც შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა დამოკიდებულ ცვლადზე - წინარწმენაზე. ესენია სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა და მშობლების განათლების დონე.

3.2. შერჩევა

შერჩევა შედგება 18-დან 25 წლამდე ასაკის სხვადასხვა უნივერსიტეტის ეთნიკურად ქართველი 528 სტუდენტისგან. ამ ასაკობრივი ჯგუფის შერჩევა გამოწვეულია იმით, რომ:

ა. ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიური კვლევები, განსაკუთრებით, სოციალურ ფსიქოლოგიაში, სტუდენტებზე ტარდება, როგორც ყველაზე ხელმისაწვდომ შერჩევაზე,

ბ. კითხვარის ადმინისტრირება მოხდა ინტერნეტით, ხოლო ამ ასაკობრივ ჯგუფს აქვს ყველაზე უფრო მაღალი წვდომა ინტერნეტზე. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები გამოირიცხა ანალიზიდან.

შერჩევაში მოხვდნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაკუთვნებენ თავს, ან არც ერთი რელიგიური მიმდინარეობის წევრად არ თვლიან საკუთარ თავს.

3.3. ინსტრუმენტები

3.3.1. დამოუკიდებელი ცვლადი: რელიგიურობა

რელიგიურობის გასაზომი განსხვავებული კითხვარები არსებობს. რამდენადაც კვლევის მიზანი იყო პიროვნების რელიგიურობის მაქსიმალური დივერსიფიკაცია და იმის კვლევა, რელიგიურობის რომელი განზომილება რა სახის კავშირშია წინარწმენასთან, ვარჩიე ისეთი საზომის გამოყენება, რომელიც წარმოაჩენდა რელიგიურობის კომპლექსურ ბუნებას და მის განსხვავებულ განზომილებებს.

ამასთან ერთად, ვიკვლიე ადამიანის ზოგადი მიკუთვნებულობა რელიგიური მიმდინარეობისადმი. ეს იზომებოდა კითხვით, თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებს თავს რესპონდენტი. კითხვას ჰქონდა რამდენიმე შესაძლო პასუხი, მათ შორის „არც ერთი“. რამდენადაც კვლევა მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე და ისეთ პირებზე ჩატარდა, რომლებიც არც ერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ თავს, სხვა რელიგიის წარმომადგენელთა პასუხები ამოღებულ იქნა ანალიზიდან.

მას შემდეგ, რაც პიროვნება დაადასტურებდა, რომ ის არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ის ავსებდა სპეციალურ კითხვარს, რომელიც სტარკის და გლოკის მიერ გამოყოფილ რელიგიურობის ოთხ ფაქტორს - რელიგიური პტაქტიკა, რელიგიური რწმენა, რელიგიურობის შედეგები, რელიგიური განზომილება - ზომავს. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა შეპერსის და მისი კოლეგების მიერ 2002 წელს შემუშავებული კითხვარი, რომელშიც მცირედი შესწორებები შევიდა.

რელიგიური პრაქტიკის განზომილება. რელიგიური პრაქტიკის განზომილება გვიჩვენებს იმას, თუ რამდენადაა ჩართული ადამიანი თავისი რელიგიის პრაქტიკულ - რიტუალურ - ნაწილში. რელიგიური პრაქტიკის განზომილება გავზომე შემდეგი ორი კითხვით:

1. ბავშვის ნათლობის, ქორწილისა თუ პანაშვიდების გარდა, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ ცერემონიალს?

2. რამდენად ხშირად ლოცულობთ?

ორივე კითხვას ჰქონდა 8 სავარაუდო პასუხი, სადაც 1 ნიშნავდა „არასდროს“ და 8 - თითქმის ყოველ დღე. ამ ორი კითხვის კომბინირებით მიიღება რელიგიური პრაქტიკის განზომილების ქულა.

რწმენის განზომილება. რწმენის განზომილების პირველი კომპონენტის - დოქტრინული რწმენების გასაზომად გამოვიყენე დოქტრინული დებულებები. მაგალითად, იესო ქრისტე არის ღმერთი). ცდის პირმა შვიდქულიან ლიკერტის სკალაზე შეაფასა, რამდენად ეთანხმება ან არ ეთანხმება კონკრეტულ დებულებას. დოქტრინული რწმენების დებულებებს არ აღმოაჩნდათ დისკრიმინაციის საკმარისი მაჩვენებელი. ისინი ხასიათდებოდნენ ძალიან დაბალი ვარიაბილობით. ამიტომ, გადავწყვიტე ამ ქვესკალის ანალიზიდან ამოღება. შესაბამისად, შემდგომ ანალიზში, რელიგიური რწმენის განზომილებაში მხოლოდ რელიგიური პარტიკულარიზმის ქვეგანზომილება იქნება განხილული.

რელიგიურ პარტიკულარიზმი, რომელიც ზომავს ადამიანის რწმენას, რომ მხოლოდ მისი რელიგია შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, გავზომე 2 დებულებით:

1. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია
2. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, თუმცა ზოგიერთ სხვა რელიგიაშიც შეიძლება მოიძებნოს გარკვეული სიბრძნე.

ეს დებულებებიც შვიდქულიან ლიკერტის სკალაზეფასდებოდა, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“ და 7 – „სრულიად ვეთანხმები“.

შედეგის განზომილება. ეს განზომილება გვიჩვენებს იმას, თუ რა როლს თამაშობს რელიგია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში. ის გაიზომა ორი კითხვით:

1. ჩემი რელიგიური რწმენა დიდ გავლენას ახდენს ჩემს ყოველდღიურცხოვრებაზე.

2. ჩემი რელიგიური რწმენა დიდ გავლენას ახდენს ჩემ მიერ მნიშვნელოვანიგადაწყვეტილებების მიღებაზე.

ეს დებულებებიც შვიდქულიან ლიკერტის სკალაზე შეფასდა, სადაც 1 ნიშნავს „არავითარ გავლენას არ ახდენს“, ხოლო 7 – „ძალიან დიდ გავლენას ახდენს“.

შედეგის განზომილების ქულა ამ ორი კითხვის კომბინირებით მიიღება.

გამოცდილების განზომილება. გამოცდილების განზომილების გასაზომად ცდის პირს დავუსვით კითხვა მის ინდივიდუალურ სულიერ გამოცდილებაზე:

იტყოდით, რომ გაქვთ სულიერი ცხოვრებაც - ის, რაც სცილდება ინტელექტუალურ, ემოციურ თუ მატერიალურ ცხოვრებას?

ეს კითხვაც, სხვების მსგავსად, შვიდქულიან ლიკერტის სკალაზეა შეფასებული, სადაც 1 ნიშნავს „ნამდვილად არა“, ხოლო 7 – „ნამდვილად კი“.

ამრიგად, დამოუკიდებელი ცვლადის, ანუ, რელიგიურობის ორი დონის მაჩვენებლები იზომება ამ კვლევაში. პირველი დონის მაჩვენებელია ის, პიროვნება მართლმადიდებელი ქრისტიანია თუ, არ მიაკუთვნებს თავს არც ერთ რელიგიას. მეორე დონეზე, მათ ვინც მართლმადიდებელი ქრისტიანია, ესმებათ დამატებითი კითხვები რელიგიურობის განსხვავებული განზომილებების გასაზომად. ამ კითხვებზე პასუხის შედეგად ვიღებთ 4 ქულას: რელიგიური პრაქტიკის, რელიგიური პარტიკულარიზმის, რელიგიურობის შედეგების და რელიგიური გამოცდილების.

3.3.2. დამოკიდებული ცვლადი: წინარწმენა

წინარწმენის გასაზომად იყენებენ სხვადასხვა საზომს. საზომების ნაწილი იმპლიციტურ წინარწმენას ზომავს, ნაწილი - ექსპლიციტურს. საქართველოში იმპლიციტური წინარწმენის გაზომვის საჭიროება არ დგას. საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, რომ საზოგადოებაში წინარწმენის ქონა არ აღიქმება უარყოფით თვისებად და, შესაბამისად,

წინარწმენების დაფარვა ქართულ საზოგადოებაში არ არის აქტუალური (CRRC, 2013; CRRC, 2014; CRRC, 2015). აქედან გამომდინარე, მართებულად ჩავთვალე წინამდებარე კვლევაში ექსპლიციტური საზომის გამოყენება. ექსპლიციტური საზომებიდან ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის მოდიფიცირებული ვარიანტი შევარჩიე იმიტომ, რომ ბოგარდუსის სკალა წინარწმენის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საზომია დღესდღეობით და ამასთან, ის წინარწმენის ქცევით კომპონენტზე აკეთებს აქცენტს. (Bogardus, 1925; Bogardus, 1933; Bogardus, 1938; Bogardus, 1940). სკალის მოდიფიცირებულ ვარიანტში შეცვლილია დებულებების ფორმულირება, გარდა ამისა, გატმანის სკალის ნაცვლად გამოვიყენე ლიკერტის 5 ქულიანი სკალა, რომლითაც შევაფასებინე რესპონდენტებს სოციალური დისტანციის ამსახავი თითოეული დებულება.

ეს დებულებებია:

1. მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად;
2. მივიღებდი მეგობრად;
3. მივიღებდი სამსახურში უფროსად;
4. მივიღებდი მეზობლად;
5. ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი;
6. მივიღებდი ნაცნობად;
7. მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად.

როგორც უკვე აღვნიშნე, თითოეული ეს დებულება ფასდებოდა ხუთქულიან ლიკერტის სკალაზე.

აღნიშნული სკალის მეშვეობით გავზომე დამოკიდებულებები ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების და შშმ პირების მიმართ. თითოეული ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება გაიზომა ორი წარმომადგენლის მაგალითზე:

ეთნიკური უმცირესობები - სომეხი, ბერძენი;

რელიგიური უმცირესობები - კათოლიკე, მუსლიმი;

სექსუალური უმცირესობები - გეი, ლესბოსელი;

შშმ პირები - ეტლით მოსარგებლე პირები, შიზოფრენიით დაავადებულები.

მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა შერჩევისას ვხელმძღვანელობდი შემდეგი პრინციპით: ეს ჯგუფი მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო აღქმული ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ ნიშნის მიხედვით, რომლის წარმომადგენლადაც უნდა შემერჩია. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების განხილვისას, თავი შევიკავე რუსების და აზერბაიჯანელების შერჩევისგან, რამდენადაც, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური და რელიგიური მოტივები დაემატებოდა ეთნიკურობას. რუსების შერჩევისგან თავშეკავება დამატებით განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ადრე ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართველების რუსების მიმართ დამოკიდებულება რთული სპეციფიკით ხასიათდება. თბილისში მცხოვრები რუსების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ თბილია, ხოლო რუსეთში მცხოვრები რუსების მიმართ სოციალური განწყობა მკაფიოდ უარყოფითია (ხარშილაძე, 2007). სომხების შემთხვევაში, ჩავთვალე, რომ მცირედი განსხვავება რელიგიური მიკუთვნებულობის კუთხით ვერ მოახდენდა გავლენას მათი, როგორც ეთნიკური უმცირესობის აღქმაზე.

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები შევარჩიე ორი პრინციპით. ა) მათი რელიგია მართლმადიდებლობისგან იმდენად უნდა იყოს განსხვავებული, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ცალსახად რელიგიურ უმცირესობად განიხილებოდნენ; ბ) ეს ჯგუფი უნდა იყოს ტრადიციულად დამკვიდრებული ქართულ საზოგადოებაში. მუსლიმი და კათოლიკე ამ ორ პირობას მაქსიმალურად აკმაყოფილებდა. ასევე, ამ ორი ჯგუფის შერჩევა განაპირობა საქართველოში ადრე ჩატარებულმა კვლევამ, რომლის მიხედვითაც, სოციალური დისტანცია რელიგიურ უმცირესობებს შორის ყველაზე დაბალია კათოლიკეების, პროტესტანტების და მუსლიმების მიმართ (Javakhishvili, 2005). ჩავთვალე, რომ ორი ქრისტიანული უმცირესობის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა ერთი ქრისტიანული და ერთი მუსლიმი უმცირესობის კვლევა.

რაც შეეხება სექსუალურ უმცირესობებს, აქ საკითხი უფრო მარტივად იდგა. ამ შემთხვევაში ორი ტრადიციულად ყველაზე მეტად მიღებული ქვეჯგუფი იქნა გამოყენებული.

ყველაზე რთული იყო ШШ პირების წარმომადგენელთა შერჩევა, მათი საკმაოდ მაღალი დივერსიფიკაციიდან გამომდინარე. მიზანი იყო ის, რომ კვლევას მოეცვა, როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური შეზღუდული შესაძლებლობები. შესაბამისად, შეირჩა ეტლზე მიჯაჭვული პირები და შიზოფრენიით დაავადებულები, როგორც შესაბამისი კატეგორიების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დებულებების სიიდან გამიზნულად იქნა ამოღებული დებულება „ვიქორწინებდი“, რამდენადაც ერთ-ერთ ჯგუფი, რომლის მიმართ დამოკიდებულებებიც გავზომე, სექსუალური უმცირესობების ჯგუფი იყო და ეს დებულება მათ შემთხვევაში არ იყო რელევანტური.

3.3.3. შუალედური ცვლადი: ემპათია

შუალედური ცვლადის - ემპათიის უნარის გასაზომად გამოყენებულ იქნა ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსის საზომი სკალა, რომელიც ოთხი სხვადასხვა ქვესკალისგან შედგება - სხვისი პოზიციის მიღება, ემპათიური ზრუნვა, ფანტაზია და პიროვნული სტრესი. რამდენადაც მოცემული კვლევის ფარგლებში მხოლოდ პირველი ორი ქვესკალა მაინტერესებდა, სწორედ ამ ორი ქვესკალის გასაზომი კითხვები იქნა კითხვარში შეტანილი. თითოეული ქვესკალა იზომება 7 დებულებით, რომლებიც ხუთქულიან ლიკერტის სკალაზე ფასდება. 1 ნიშნავს „საერთოდ არ მახასიათებს“, ხოლო 5 – „სრულიად მახასიათებს“. ნაწილი დებულებებისა პოზიტიურადაა ფორმულირებული, ხოლო ნაწილი - ნეგატიურად. მაგალითისთვის მოვიყვან რამოდენიმე კითხვას თითოეული ქვესკალიდან:

ემპათიური ზრუნვა:

ხშირად მიჩნდება თანაგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩემზე ნაკლებ იღბლიანია.

როდესაც ვხედავ, რომ ვიღაცას სხვა ადამიანები იყენებენ, მისი დაცვის სურვილი მიჩნდება

სხვისი პოზიციის მიღება:

ხანდახან მიჭირს სხვა ადამიანის პოზიციიდან შევხედომოვლენებს.

მჯერა, რომ ყველა საკითხს ორი მხარე აქვს დავცდილობ, ორივე მხრიდან დავინახო.

საბოლოოდ, ორი ქვესკალის კითხვების შესაბამისი დამუშავების და დაჯამების შემდეგ ვიღებთ 2 ქულას - ემპათიის და სხვისი პოზიციის მიღების ქულებს.

3.4. პროცედურა

როგორც უკვე აღვნიშნე, ეთიკის კომისიის ნებართვის მოპოვების შემდეგ, კითხვარის ადმინისტრირება მოხდა ინტერნეტის საშუალებით. ინტერნეტ-კითხვარი შედგება 3 ნაწილისგან. პირველ ნაწილში რესპონდენტები პასუხობდნენ ემპათიის და სხვისი პოზიციის მიღების სკალების კითხვებზე - სულ 14 კითხვა. მეორე ნაწილში რესპონდენტს ესმებოდა კითხვები რელიგიურობის შესახებ. ყველა რესპონდენტს ესმებოდა კითხვა იმის შესახებ, თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებს თავს. შემდეგ რესპონდენტები, რომლებიც რელიგიურ მიკუთვნებულობას აფქსირებდნენ, აგრძელებდნენ რელიგიური განზომილებების შესახებ კითხვებზე პასუხს - სულ 10 კითხვა, ხოლო დანარჩენები გადადიოდნენ შემდეგ ნაწილზე. მესამე ნაწილში რესპონდენტები აფიქსირებდნენ დამოკიდებულებებს უმცირესობათა განსხვავებული ჯგუფების მიმართ - უმცირესობათა 8 ჯგუფი, თითოეულზე 7 კითხვა - სულ 56 კითხვა.

კითხვარის შევსების საშუალო დრო იყო 25 წუთი.

3.5. მონაცემების ანალიზი

სკალების ვალიდაციისთვის გამოვიყენე სტრუქტურული განტოლების მოდელირების ტექნიკა, კერძოდ, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი, სტატისტიკური ანალიზის პროგრამა MPlus-ის მეშვეობით. სკალების ვალიდაციის შემდეგ მონაცმები დავამუშავე აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, კერძოდ, გამოვთვალე საშუალო ქულები, სტანდარტული გადახრები და სიხშირული განაწილებები სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით დამუშავების შემდეგ მონაცემები დასკვნითი სტატისტიკის გამოყენებით დავამუშავე. კერძოდ, გამოვთვალე MANOVA, კორელაციები, ჩავატარე რეგრესიული ანალიზი და ტრაექტორული ანალიზი. ამ პროცედურებისთვის გამოვიყენე, როგორც SPSS, ისე MPlus.

4. შედეგები

4.1. ინსტრუმენტების ვალიდაციის შედეგები

4.1.1. სოციალური დისტანციის სკალა - დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი

როგორ მეთოდის ნაწილში იყო აღნიშნული, კვლევის ფარგლებში 8 განსხვავებული ჯგუფის მიმართ სოციალური დისტანცია გავზომე. მიუხედავად იმისა, რომ ნავარაუდევი იყო, რომ 8 ჯგუფის მიმართ სოციალური დისტანციის სკალიდან 4 ფაქტორი გამოვიდოდა (შესაბამისად, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების და შშმ პირების მიმართ სოციალური დისტანციები), და ნავარაუდებ მოდელში კრონბახის ალფას საკმაოდ კარგი მაჩვენებელი მივიღე ($\alpha>0.9$), დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა ვერ მოახდინა მითითებული მოდელის იდენტიფიცირება. ამის გამო, საჭირო გახდა, მონაცემებისთვის პირველადი ფაქტორული ანალიზის ჩატარება. პირველადმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ჯგუფის შემთხვევაში სოციალური დისტანციის დებულებები იყოფა 2 - მეტად და ნაკლებად სენსიტიურ დებულებებად და, შესაბამისად, ისინი სხვადასხვა ფაქტორებშია კონცენტრირებული. მეტად სენსიტიურში გაერთიანდა ის დებულებები, რომლებზეც რესპონდენტები მეტად იყვნენ მიდრეკილი მაღალი სოციალური დისტანცია ეჩვენებინათ. ნაკლებად სენსიტიურში კი ის დებულებები, რომლებზეც რესპონდენტები უფრო დაბალ სოციალურ დისტანციას აჩვენებენ.

ასევე, ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების და შშმ პირების შემთხვევაში 2 განსხვავებული მოწყვლადი ჯგუფის მიმართ სოციალური დისტანციები არ გაერთიანდა ერთ ფაქტორში. პირველადი ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულ მოდელს ახლიდან ჩაუტარდა ვალიდაცია. კრონბახის ალფა ყველა ფაქტორის შემთხვევაში მაღალი აღმოჩნდა ($\alpha>0.9$). მოდელის შემდგომი ვალიდაცია გაგრძელდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის გზით. მოდელის მორგების

მაჩვენებლები კარგ მორგებად ვერ ჩაითვლებოდა: $\chi^2(1388, 528)=4032$; $p=0.000$; CFI = 0.87; TLI=0.85; RMSEA=0.06; SRMR=0.08.

ამ ინსტრუმენტის გამოყენებით ჩატარებულ ზოგიერთ კვლევაში ორმაგად ლატენტური მოდელებია გამოყენებული (Hindriks, Verkuyten, Coenders, 2014; Tseung-Wong, Verkuyten, 2015), ამის მსგავსად, აქაც დავუშვი, რომ უმცირესობების ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებების გარდა, თვითონ სოციალური დისტანციის სკალის დებულებები განსხვავებული უმცირესობების ჯგუფების მიმართ ცალკე ლატენტურ ფაქტორებად ერთიანდებოდნენ. ამიტომ, მოდელს სოციალური დისტანციის სკალის დებულებები ლატენტური ცვლადების სახით დავამატე - სულ 5 ლატენტური ფაქტორი (მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად, მივიღებდი მეგობრად, მივიღებდი სამსახურში უფროსად, მივიღებდი მეზობლად) და ნაკლებად სენსიტიური სამი დებულება ერთ ფაქტორად (ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი, მივიღებდი ნაცნობად, მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად). ამ შემთხევვაში, მოდელის მორგების მაჩვენებლები სრულიად მისაღები აღმოჩნდა: $\chi^2(1248, 528)=2288$; $p=0.000$; CFI = 0.95; TLI=0.94; RMSEA=0.04; SRMR=0.03.

აქედან გამომდინარეობს, რომ წინარწმენის ამ საზომიდან ვიღებთ საბოლოო ქულებს ორ დონეზე. პირველი დონე გამოხატავს უმცირესობის ჯგუფის ტიპს, ანუ ვპასუხობთ კითხვაზე „წინარწმენა ვის მიმართ?“. ამ დონეზე ინსტრუმენტიდან ვიღებთ ათ განსხვავებულ ქულას, რადგან ბერძნების და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ წინარწმენები არ გაიყო მეტად და ნაკლებად სენსიტიურ წინარწმენებად:

1. რელიგიური უმცირესობები (მეტად სენსიტიური წინარწმენა);
2. რელიგიური უმცირესობები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა);
3. სექსუალური უმცირესობები (მეტად სენსიტიური წინარწმენა);
4. სექსუალური უმცირესობები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა);
5. სომხები (მეტად სენსიტიური წინარწმენა);
6. სომხები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა);
7. ბერძნები;

8. შიზოფრენიით დაავადებულები (მეტად სენსიტიური წინარწმენა;

9. შიზოფრენიით დაავადებულები (ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა);

10. ეტლით მოსარგებლე პირები.

მეორე დონე გამოხატავს წინარწმენის ტიპს, ანუ პასუხობს კითხვაზე „წინარწმენა რა სახის?“. ამ დონეზე ინსტრუმენტი გვაძლევს ხუთ განსხვავებულ ქულას. ესენია:

1. მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად;
2. მივიღებდი მეგობრად;
3. მივიღებდი სამსახურში უფროსად;
4. მივიღებდი მეზობლად;
5. ნაკლებად სენსიტიური დებულებები (ტრანსპორტში მის გვერდით დავχდებოდი; მივიღებდი ნაცნობად; მივიღებდი ქვეყენაში სტუმრად).

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ თითოეული χგუფის მიმართ გაზომილი სოციალური დისტანციის სკალის თითოეული დებულება ერთდროულად ორ სხვადასხვა ფაქტორში ერთიანდება ორ განსხვავებულ დონეზე. სოციალური დისტანციიის სკალის მოდელის საბოლოო სახე სქემატურად იხილეთ სურათში 4.1.

4.1.2. პიროვნების რეაქტიულობის ინდექსი - ემპათიის და სხვისი პოზიციის მიღების სკალები - დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი

როგორც მეთოდის ნაწილში აღინიშნა, ემპათია და სხვისი პოზიციის მიღება გაიზომა დევისის ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსის სკალით. ემპათიის და სხვისი პოზიციის მიღების სკალებს ჩაუტარდათ ვალიდაცია. კრონბახის ალფა ორივე შემთხვევაში იყო დამაკმაყოფილებელი ($\alpha>0.75$). ვალიდაციის შემდგომი ეტაპი იყო დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი. მორგების მაჩვენებლები მისაღები აღმოჩნდა: $\chi^2(67, 528)=128$; $p=0.000$; CFI = 0.95; TLI=0.94; RMSEA=0.04; SRMR=0.04.შესაბამისად, ეს ინსტრუმენტი გვაძლევს ორ ქულას:

სურათი 4.1[2] სოციალური დისტანციის სკალის სტრუქტურა



[2] სტრუქტურის უკეთ აღსაქმელად, მოდელი გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. ის ნაჩვენებია მხოლოდ რელიგიური უმცირესობებისა და ეტლით მოსარგებლე პირების მაგალითზე. ასევე, სტრუქტურის უკეთ აღსაქმელად, ისრებით არაა დაკავშირებული ყველა რელევანტური ლატენტური ფაქტორი.

4.2. აღწერითი სტატისტიკა

1. ემპათიის ქულა;
2. სხვისი პოზიციის მიღების ქულა. (ჯავახიშვილი და სხვები, 2016)

4.2.1. შერჩევის მახასიათებლები

528 გამოკითხული რესპონდენტიდან 388 (73%) მდედრობითი, ხოლო 140 (27%) - მამრობითი სქესისაა. საშუალო ასაკი შეადგენდა 21.5 წელს, სტანდარტული გადახრა - 1.9. 443 (84%) რესპონდენტი თავს თვლის მართლმადიდებელ ქრისტიანად, ხოლო 85 (16%) რესპონდენტი არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს.

4.2.2. დამოუკიდებელი ცვლადი - რელიგიურობის სკალა

რელიგიურობის სკალა შედგება ოთხი განზომილებისაგან: რელიგიური პრაქტიკა, რელიგიური პარტიკულარიზმი, რელიგიურობის შედეგები და რელიგიური გამოცდილება.

4.2.2.1. რელიგიური პრაქტიკის განზომილება. იმ 443 რესპონდენტიდან, რომლებიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლიან, რელიგიურ რიტუალებზე დასწრების და ლოცვის სიხშირე - რელიგიური პრაქტიკის განზონმილების გასაზომი ორი კითხვა შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 4.2.2.1. რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის სიხშირე



მონაცემებიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (80%) რელიგიურ რიტუალებზე თვეში ერთხელ და უფრო იშვიათად ესწრება,ხოლო გამოკითხულთა 54% კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად ლოცულობს.

4.2.2.2. რელიგიურობის შედეგების განზომილება. რაც შეეხება შედეგის განზომილებას, ანუ იმას, თუ რა გავლენას ახდენს რელიგია ადამიანის ცხოვრებაზე, გაიზომა ორი კითხვით: 1. რელიგიის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე; 2. რელიგიის გავლენა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. ამ ორი კითხვის პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 4.2.2.2. რელიგიის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე



მონაცემებიდან ჩანს, რომ რელიგიის გავლენა მეტ-ნაკლებად ნორმალურად არის განაწილებული და რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ რელიგიას ზომიერი (3, 4, 5 ქულა სკალაზე) გავლენა აქვს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეც (55%) და მათ მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზეც (50%).

4.2.2.3. რელიგიური პარტიკულარიზმი. რელიგიური პარტიკულარიზმი გავზომე ორი დებულებით: 1. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია; 2. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, თუმცა სხვა რელიგიებშიც შეიძლება მოიძებნოს გარკვეული სიბრძნე. ამ ორი დებულების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 4.2.2.3. რელიგიური პარტიკულარიზმი



ორივე დებულების შემთხვევაში, მონაცემების დაახლოებით ნახევარი უკიდურეს შეფასებებშია თავმოყრილი.

4.2.2.4. *რელიგიური გამოცდილება.* ბოლოს, რელიგიური გამოცდილების განზომილება, რომელიც მხოლოდ ერთი კითხვით იზომება, შემდეგ სურათს იძლევა:

გრაფიკი 4.2.2.4. მიუხედავად იმისა, მიიჩნევთ თუ არა თავს რელიგიურ პიროვნებად, იტყოდით, რომ გაქვთ სულიერი ცხოვრებაც - ის, რაც სცილდება ინელექტუალურ, ემოციურ თუ მატერიალურ ცხოვრებას ?



როგორც ვხედავთ, განაწილება ასიმეტრიულია და პასუხების უმრავლესობა მარჯვენა მხარესაა მოქცეული.

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებელ რესპონდენტთა უმრავლესობა რელიგიური პრაქტიკისა და რელიგიურობის შედეგების განზომილებით ზომიერი რელიგიურობით ხასიათდება. რაც შეეხება რელიგიურ პარტიკულარიზმს, აქ რელიგიური რესპონდენტები უფრო პოლარიზებულნი არიან ექსტრემალურ მაჩვენებლებში, ხოლო რელიგიურობის გამოცდილების მხრივ, რესპონდენტებს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

ქვემოთ, რელიგიურობას ორ სხვადასხვა დონეზე განვიხილავ. პირველი დონე ეს არის, მიაკუთვნებს თუ არა რესპონდენტი თავს რომელიმე რელიგიურ მიმდინარეობას. მეორე დონეზე ვიკვლევ რელიგურობის ცალკეულ განზომილებებს. ამ დონეზე ანალიზი ჩაუტარდებათ მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებიც ამბობენ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. სწორედ ისინი პასუხობდნენ კითხვებს რელგიურობის განსხვავებულ განზომილებებზე.

4.2.3. შუალედური ცვლადები - ემპათიური ზრუნვა და სხვისი პოზიციის მიღების უნარი

ემპათიური ზრუნვის და სხვისი პოზიციის მიღების უნარის ჯამური მაჩვენებლები 27.1 და 24.6-ია შესაბამისად (შესაძლო მაქსიმალური 35-დან). ორივე მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია მოცემულ შერჩევაში, თუმცა, ნორმების არარსებობის გამო, ძნელია ვისაუბროთ ობიექტურ რეალობაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხვისი პოზიციის მიღების მაჩვენებლის შემთხვევაში სქესებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა, ხოლო ემპათიის მაჩვენებელი ქალებთან უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებთან (27.8 და 25.3 შესაბამისად).

გრაფიკი 4.2.3. ემპათიური ზრუნვა და სხვისი პოზიციის მიღების მაჩვენებლები სქესის მიხედვით



4.2.4. დამოკიდებული ცვლადი - სოციალური დისტანციის სკალა

სოციალური დისტანციის სკალის მაჩვენებელის მონაცემები განსხვავებულიჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 4.2.4. 1. სოციალური დისტანციის სკალა



როგორც მონაცემებიდან ჩანს, სოციალური დისტანციის სკალაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებლი შიზოფრენიით დაავადებულთა ჯგუფს აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი - ეტლზე მიჯაჭვულებს. ანუ, ყველაზე შორი დისტანცია შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ახლო დისტანცია - ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ. ასევე, საკმაოდ მაღალია დისტანციის მაჩვენებელი სექსუალური უმცირესობების შემთხვევაში.

მეორე მხრივ, თვითონ სოციალური დისტანციის სკალის შიგნით არსებული დებულებების განაწილება ასე გამოიყურება:

გრაფიკი 4.2.4.2. სოციალური დისტანციის სკალა



მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველაზე სენსიტიური არის დებულება „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“, ხოლო ყველაზე ნაკლებ სენსიტიური არის დებულებები: „ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი“, მივიღებდი ნაცნობად“, მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად“.

4.3. დასკვნითი სტატისტიკა

4.3.1. საკვლევი კითხვა 1: არის თუ არა პიროვნების რელიგიურობა წინარწმენის დადებითი პრედიქტორი?

სტატისტიკური ჰიპოთეზა: მართლმადიდებელი ქრისტიანები და ის პირები, რომლებიც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებენ თავს, განსხვავებულ სოციალურ დისტანციას ავლენენ უმცირესობათა ყველა ჯგუფის მიმართ.

ამ საკვლევ კითხვაში რელიგიურობა განიხილება, როგორც პიროვნების რელიგიური მიკუთვნებულობა რელიგიური მიმდინარეობისადმი, რომელიც გაიზომა ერთი კითხვით - რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებდა თავს რესპონდენტი. ჰიპოთეზის შესამოწმებლადშევადარე სოციალური დისტანციის სკალის

საშუალო მაჩვენებლები ორ ჯგუფში - მათში, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და მათში, ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს. შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 4.3.1.1 და 4.3.1.2.

ცხრილი 4.3.1.1. MANOVA. სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს. სრული მოდელის მაჩვნებელები.

	მნიშვნელობა	F	df	მნიშვნელოვნება (ორმხრივი)	η^2
Pillai's Trace	.152	6.584	14	.000	0.15

ცხრილი 4.3.1.2. MANOVA. სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორების მიხედვით.

დამოკიდებული ცვლადები	F	მნიშვნელოვნება (ორმხრივი)	საშუალოებს შორის სხვაობა (არც ერთი-მართლმადიდებელი ქრისტიანი)	η^2
რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	23.797	.000	-.56284	0.04
რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	12.172	.000	-.25397	0.02
სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	69.534	.000	-1.26393	0.12
სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	26.741	.000	-.66686	0.05
სომეხი (მეტად სენსიტიური)	21.757	.000	-.59271	0.04
სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	11.545	.000	-.35402	0.02
ბერძენი	15.593	.000	-.30400	0.03
შიზოფრენიით დაავადებული (მეტად სენსიტიური)	26.743	.000	-.69031	0.05
შიზოფრენიით დაავადებული (ნაკლებად სენსიტიური)	26.080	.000	-.78844	0.05
ეტლზე მიჯჭვული	7.533	.000	-.14890	0.01
მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	66.334	.000	-.82503	0.11
მივიღებდი მეგობრად	43.011	.000	-.62144	0.07
მივიღებდი სამსახურში უფროსად	40.190	.000	-.66612	0.07
მივიღებდი მეზობლად	33.834	.000	-.50072	0.06
ნაკლებად სენსიტიური დებულებები	26.938	.000	-.38946	0.05

ცხრილიდან ჩანს, რომ ნებისმიერი სახის წინარწმენის შემთხვევაში, განსხვავება მათ შორის, ვინც საკუთარ თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის და მათ, ვინც არც ერთ რელიგიას არ მიაკუთვნებს თავს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ჰიპოთეზა დადასტურდა. იმ პირებთან, ვინც არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებს თავს, წინარწმენა უფრო დაბალია, ვიდრე მართლმადიდებელ ქრისტიანებთან.

4.3.2. საკვლევი კითხვა 2: განსხვავდება თუ არა რელიგიურობის კავშირის სიძლიერე უმცირესობათა შემდეგ ორ კატეგორიას შორის: ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური მოტივებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი (რელიგიური და სექსუალური უმცირესობები) და ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართ რელიგიას ნეიტრალური ან დადებითი დამოკიდებულება აქვს (შშმ პირები)?

სტატისტიკური ჰიპოთეზა: რელიგიური ადამიანების შემთხვევაში სხვაობა წინარწმენაში სექსუალურ უმცირესობებსა და ეტლით მოსარგებლე პირებს შორის იქნება უფრო მაღალი, ვიდრე იმ პირებთან, ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვთვალე ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენას და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ წინარწმენას შორის სხვაობა თითოეული ცდის პირისთვის. შემდეგ MANOVA-ს მეშვეობით შევადარე მიღებულ ქულათა საშუალოებს შორის სხვაობა მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და იმ პირებს შორის, ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს. შედეგები მოცემულია ცხრილში 4.3.2.1 და 4.3.2.2.

ცხრილი 4.3.2.1. MANOVA. სექსუალური უმცირესობების და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანციის სკალის მაჩვენებლებს შორის სხვაობების განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს. სრული მოდელის მაჩვნებელები.

MANOVA	მნიშვნელობა	F	df	მნიშვნელოვნება (ორმხრივი)	η^2
Pillai's Trace	.106	31.204	2	.000	0.11

ცხრილი 4.3.2.2. MANOVA. სექსუალური უმცირესობების და ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანციის სკალის მაჩვენებლებს შორის სხვაობების განსხვავებები მათ შორის, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს და ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინნარეობას არ მიაკუთვნებს თავს სექსუალური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანციის ორი განსხვავებული ფაქტორის მიხედვით.

დამოკიდებული ცვლადები	F	მნიშვნელოვნება (ორმხრივი)	საშუალოებს შორის სხვაობა (არც ერთი - მართლმადიდებელი ქრისტიანი)	η^2
ჰომოსექსუალების მიმართ მეტად სენსიტიურ წინარწმენას და ეტლით მოსარგებელე პირების მიმართ წინარწმენებს შორის სხვაობა	57.768	0.00	-1.11503	0.1
ჰომოსექსუალების მიმართ ნაკლებად სენსიტიურ წინარწმენას და ეტლით მოსარგებელე პირების მიმართ წინარწმენებს შორის სხვაობა	17.968	0.00	-0.51796	0.03

ცხრილიდან ჩანს, რომ ჰიპოთეზა დადასტურდა. ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენის ორივე შემთხვევაში (მეტად სენსიტიური წინარწმენა და ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა) სხვაობა ეტლით მოსარგებლე პირებთან უფრო მაღალია მართლმადიდებელი ქრისტიანების შემთხვევაში, ვიდრე იმ პირების, ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს.

4.3.3. საკვლევი კითხვა 3: არის თუ არა სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი?

სტატისტიკური ჰიპოთეზა: იმ პირებს, რომლებიც ხასიათდებიან უფრო მაღალი ემპათიური ზრუნვით და სხვისი პოზიციის მიღების უნარით, უფრო ნაკლები მაჩვენებელი ექნებათ სოციალური დისტანციის სკალაზე ყველა ჯგუფის მიმართ.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, პირველ რიგში, შევამოწმე კორელაციური კავშირი სხვისი პოზიციის მიღებისა და ემპათიური ზრუნვის მაჩვენებლებსა და წინარწმენას შორის. შედეგებიდან ჩანს, რომ სხვისი პოზიციის მიღება სუსტ უარყოფით კორელაციაშია რელიგიური უმცირესობის მიმართ წინარწმენის მეტად სენსიტიურ ფორმასთან, სექსუალური უმცირესობების მიმართ წინარწმენასთან და ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენასთან. ემპათიური ზრუნვა სუსტ უარყოფით კორელაციაშია რელიგიური უმცირესობის მიმართ წინარწმენის ნაკლებად სენსიტიურ ფორმასთან და სომხების მიმართ წინარწმენასთან, ასევე ეტლზე მიჯაჭვულების მიმართ წინარწმენასთან. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.3.3.1.

ცხრილი 4.3.3.1.კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის პირველი დონის ფაქტორებს და ემპათიურ შფოთვასა და სხვისი პოზიციის მიღების უნარს შორის

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. სხვისი პოზიციის მიღება	-	.359**	-.135**	-.058	-.116**	-.089*	-.176**	-.123**	-.106*	-.025	-.082	-.053
2. ემპათიური ზრუნვა	.359**	-	-.065	-.118**	.041	-.021	-.154**	-.155**	-.065	.047	-.049	-.131**
3. რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	-.135**	-.065	-	.680**	.641**	.569**	.662**	.532**	.688**	.238**	.450**	.407**
4. რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	-.058	-.118**	.680**	-	.405**	.570**	.614**	.723**	.648**	.074	.405**	.487**
5. სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	-.116**	.041	.641**	.405**	-	.778**	.578**	.428**	.499**	.311**	.488**	.290**
6. სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	-.089*	-.021	.569**	.570**	.778**	-	.602**	.585**	.549**	.185**	.486**	.348**
7. სომეხი (მეტად სენსიტიური)	-.176**	-.154**	.662**	.614**	.578**	.602**	-	.792**	.648**	.216**	.475**	.442**
8. სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	-.123**	-.155**	.532**	.723**	.428**	.585**	.792**	-	.633**	.121**	.397**	.463**
9. ბერძენი	-.106*	-.065	.688**	.648**	.499**	.549**	.648**	.633**	-	.135**	.403**	.596**
10. შიზოფრენიით დაავადებული (მეტად სენსიტიური)	-.025	.047	.238**	.074	.311**	.185**	.216**	.121**	.135**	-	.524**	-.013
11. შიზოფრენიით დაავადებული (ნაკლებად სენსიტიური)	-.082	-.049	.450**	.405**	.488**	.486**	.475**	.397**	.403**	.524**	-	.232**
12. ეტლზე მიჯაჭვული	-.053	-.131**	.407**	.487**	.290**	.348**	.442**	.463**	.596**	-.013	.232**	-

**. კორელაციამნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (ორმხრივი).*
. კორელაციამნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (ორმხრივი).

რაც შეეხება სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორებს, სხვისი პოზიციის მიღების უნარი სუსტ უარყოფით კორელაციაშია ყველა დებულებასთან,

ხოლო ემპათიური ზრუნვა - ნაკლებად სენსიტიურ დებულებებთან. შედეგები იხილეთ ცხრილში 4.3.3.2.

ცხრილი 4.3.3.2.კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორებს და ემპათიურ შფოთვასა და სხვისი პოზიციის მიღების უნარს შორის

	1	2	3	4	5	6	7
1. სხვისიპოზიციისმიღება	-	.359**	-.131**	-.143**	-.139**	-.124**	-.099*
2. ემპათიური ზრუნვა	.359**	-	.000	-.059	-.060	-.084	-.097*
3. მივიღებდიჩემიშვილისპედაგოგად	-.131**	.000	-	.819**	.803**	.712**	.663**
4. მივიღებდიმეგობრად	-.143**	-.059	.819**	-	.824**	.862**	.819**
5. მივიღებდისამსახურშიუფროსად	-.139**	-.060	.803**	.824**	-	.764**	.708**
6. მივიღებდიმეზობლად	-.124**	-.084	.712**	.862**	.764**	-	.910**
7. ნაკლებადსენსიტიურიდებულებები	-.099*	-.097*	.663**	.819**	.708**	.910**	-

**. კორელაციამნიშვნელოვანია 0.01 დონეზე(ორმხრივი).

*. კორელაციამნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (ორმხრივი).

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სხვისი პოზიციის მიღება უმრავლეს შემთხვევაში და ემპათიური ზრუნვა ზოგიერთ შემთხვევაში უარყოფითად არის დაკავშირებული წინარწმენასთან.

შემდეგ ეტაპზე, გაკეთდა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი თითოეულ დამოკიდებულ ცვლადთან მიმართებაში. ცხრილში 4.3.3.3. წარმოდგენილია რეგრესიული ანალიზის შედეგები. ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კოეფიციენტები.

ცხრილი 4.3.3.3. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები.

	R^2	სხვისი პოზიციისმიღება			ემპათიური ზრუნვა		
		B	Beta	T	B	Beta	T
რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.02	-0.03	-0.14	-3.124	-	-	-
რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.01	-	-	-	-0.02	-0.12	-2.716
სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.02	-0.04	-0.15	-2.690	-	-	-
სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.01	-0.02	-0.09	-2.059	-	-	-
სომეხი (მეტად სენსიტიური)	0.04	-0.03	-0.14	-3.034	-0.03	-0.10	-2.276
სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	0.02	-	-		-0.03	-0.16	-3.606
ბერძენი	0.01	-0.02	-0.11	-2.453	-	-	-
ეტლზე მიჯჭვული	0.02	-	-	-	-0.01	-0.13	-3.021
მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	0.02	-0.03	-0.13	-3.020	-	-	-
მივიღებდი მეგობრად	0.02	-0.03	-0.14	-3.324	-	-	-
მივიღებდი სამსახურში უფროსად	0.02	-0.03	-0.14	-3.220	-	-	-
მივიღებდი მეზობლად	0.02	-0.02	-0.12	-2.867	-	-	-
ნაკლებად სენსიტიური დებულებები	0.01	-	-	-	-0.01	-0.01	-2.282

როგორც შედეგებიდან ჩანს, ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა. სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა ერთდროულად წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი მხოლოდ სომხების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაშია. დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ ერთ-ერთი ცვლადია წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი, გარდა შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ წინარწმენისა, სადაც არც ერთი ეს ცვლადი არ არის წინარწმენის პრედიქტორი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ R^2 ყველა შემთხვევაში საკმაოდ დაბალია და ყველაზე უკეთეს შემთხვევაში (მეტად სენსიტიური წინარწმენა სომხების მიმართ) ვარიაბილობის მხოლოდ 4%-ს ხსნის.

4.3.4. საკვლევი კითხვა 4: ასრულებს თუ არა სხვისი პოზიციის მიღების და ემპათიის უნარები მოდერატორის როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში?

სტატისტიკური ჰიპოთეზა: რელიგიურობასა და წინარწმენას შორის დადებითი კავშირი შესუსტებულია ემპათიისა და სხვისი პოზიციის მიღების უნარით.

პირველი საკვლევი კითხვის მსგავსად, აქაც რელიგიურობაში იგულისხმება რესპონდენტის რელიგიური მიკუთვნებულობა, რომელიც ერთი კითხვით გაიზომა.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, პირველ რიგში, გაკეთდა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი თითოეული დამოკიდებული ცვლადისთვის, რათა დადგენილიყო, რამდენად შეუძლია თითოეულ ამ ცვლადს ერთმანეთთან კომბინაციაში (რელიგიური მიკუთვნებულობა, სხვისი პოზიციის მიღება, ემპათია) წინარწმენის წინასწარმეტყველება. ანალიზის შედეგები ნაჩვენებია ცხრილში 4.3.4. ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ ის კოეფიციენტები, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, წინარწმენის წინასწარმეტყველებას ახდენენ რელიგიური მიკუთვნებულობა და სხვისი პოზიციის მიღება. ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, ზოგჯერ ემპათიური ზრუნვა გადმოინაცვლებს მნიშვნელოვანი პრედიქტორის ადგილზე, ხოლო შიზოფრენიით დაავადებულებთან მხოლოდ რელიგიური მიკუთვნებულობაა მნიშვნელოვანი პრედიქტორი.

ცხრილი 4.3.4. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - რელიგიური მიკუთვნებულობა, სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები.

	R^2	რელიგიური მიკუთვნებულობა			სხვისი პოზიციის მიღება			ემპათია		
		B	Beta	T	B	Beta	T	B	Beta	T
რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.07	0.54	0.2	4.697	-0.03	-0.12	-2.845	-	-	
რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.04	0.27	0.16	3.67				-0.02	-0.13	-2.946
სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.13	1.24	0.34	8.190	-0.03	-0.09	-2.266	-	-	
სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.05	0.67	0.22	5.171	-	-		-	-	
სომეხი (მეტად სენსიტიური)	0.08	0.59	0.2	4.686	-0.03	-0.12	-2.623	-0.03	-0.12	-2.718
სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	0.05	0.38	0.16	-3.844				-0.03	-0.16	3.649
ბერძენი	0.04	0.29	0.16	3.797	-0.01	-0.1	-2.208			
შიზოფრენიით დაავადებული (მეტად სენსიტიური)	0.05	0.69	0.22	5.171	-	-		-	-	
შიზოფრენიით დაავადებული (ნაკლებად სენსიტიური)	0.05	0.79	0.22	5.107	-	-		-	-	
ეტლზე მიჯაჭვული	0.03	0.16	0.13	2.941	-	-		-0.01	-0.14	-3.200
მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	0.12	0.81	0.33	7.984	-0.02	-0.11	-2.622	-	-	
მივიღებდი მეგობრად	0.09	0.6	0.27	6.379	-0.02	-0.13	-2.987	-	-	
მივიღებდი სამსახურში უფროსად	0.09	0.65	0.26	6.163	-0.02	-0.12	-2.886	-	-	
მივიღებდი მეზობლად	0.07	0.49	0.24	5.652	-0.02	-0.11	-2.543	-	-	
ნაკლებად სენსიტიური დებულებები	0.06	0.4	0.23	5.354	-	-		-0.02	-0.11	-2.593

R^2 ერთის გარდა ყველა შემთხვევაში შედარებით დაბალია. ყველაზე მაღალი ის არის სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, სადაც რელიგიურობა და სხვისი პოზიციის მიღება ვარიაბილობის 13%-ს ხსნის. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ეტლზე მიჯაჭვული პირების მიმართ წინარწმენას, სადაც რელიგიურობა და ემპათია ვარიაბილობის მხოლოდ 3%-ს ხსნის.

ასეთი შედეგის მიღების შემდეგ, გადავედი უშუალოდ ჰიპოთეზის შემოწმებაზე და შევამოწმე მოდელი, ანუ ვუპასუხე კითხვას, არის თუ არა რელიგიური მიკუთვნებულობის გავლენა წინარწმენაზე სხვისი პოზიციის მიღების ან/და ემპათიის

უნარით გაშუალებული. ამისთვის ჩატარდა ტრაექტორიის ანალიზი სტატისტიკური პროგრამა MPlus-ის გამოყენებით.

ტრაექტორიის ანალიზმა გამოავლინა მოდერაციული კავშირი მხოლოდ ერთ შემთხვევაში: რელიგიური უმცირესობის მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, რელიგიური მიკუთვნებულობის გავლენას და წინარწმენას შორის, სხვისი პოზიციის მიღების უნარი დგას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვისი პოზიციის მიღების უნარი არბილებს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირს რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში. სხვა ყველა შემთხვევაში ეს ორი ცვლადი დამოუკიდებლად ზემოქმედებს წინარწმენაზე და ერთმანეთთან ინტერაქციაში არ შედის. მოდელს აქვს კარგი მორგება: $\chi^2(31, 528)=54$; $p=0.007$; CFI = 1.00; TLI=0.99; RMSEA=0.04; SRMR=0.03. მოდელის შესახებ ზუსტი ინფორმაცია იხილეთ სურათ 4.2-ში[3].

სურათი 4.2. ტრაექტორიული ანალიზი



ჰიპოთეზა ამ შემთხვევაშიც ნაწილობრივ დადასტურდა. მხოლოდ სხვისი პოზიციის მიღების უნარი აღმოჩნდა მოდერატორი ცვლადი რელიგიურობასა და

[3] სიმარტივისთვის ვიზუალურად ნაჩვენებია მხოლოდ ის ნაწილი, სადაც დაფიქსირდა მოდერაცია.

წინარწმენას შორის და ისიც, მხოლოდ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში.

4.3.5. საკვლევი კითხვა 5: რელიგიურობის რომელი კომპონენტები ასრულებს მნიშვნელოვან როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში და მათგან რომელი რა სახით ზემოქმედებს ამ კავშირზე?

სტატისტიკური ჰიპოთეზა: რელიგიურობის თითოეული კომპონენტი ყველა სახის წინარწმენის პრედიქტორია.

ამ საკვლევ კითხვაში უკვე საუბარია რელიგიურობის ოთხგანზომილებიან მოდელზე, რომლებიც სპეციალური კითხვარის მეშვეობით გაიზომა.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად საჭირო იყო ანალიზი ჩატარებულიყო მხოლოდ იმ 443 რესპონდენტზე, რომლებიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევენ.

რელიგიურობის შესახებ ზემოთ განხილული კითხვარის მიხედვით გამოვიდა 4 ფაქტორი, რომლებიც მეთოდის ნაწილშია აღწერილი: რელიგიური პრაქტიკა, რელიგიურობის შედეგები, რელიგიური პარტიკულარიზმი და რელიგიური გამოცდილება. პირველ რიგში ჩატარდა კორელაციური ანალიზი იმის დასადგენად, თუ რომელი ფაქტორები კორელირებენ წინარწმენასთან განსხვავებული ჯგუფების მიმართ. შედეგები მოცემულია ცხრილში 4.3.5.1.

ცხრილიდან ჩანს, რომ რელიგიური პრაქტიკა, შედეგები და პარტიკულარიზმი დადებით კორელაციაშია თითქმის ყველა სახის წინარწმენასთან. კორელაცია არ არსებობს მხოლოდ შიზოფრენიით დაავადებული პირების შემთხვევაში, ხოლო კორელაცია ყველაზე მაღალია სექსუალურ უმცირესობასთან. რაც შეეხება გამოცდილების განზომილებას, ის სუსტ უარყოფით კორელაციაშია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების (კერძოდ სომხების) მიმართ წინარწმენასთან, ხოლო სხვა ჯგუფების მიმართ, მნიშვნელოვანი კორელაცია არ ფიქსირდება.

ცხრილი 4.3.5.1. კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის პირველი დონის ფაქტორებს და რელიგიურობის განსხვავებულ განზომილებებს შორის

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1. პრაქტიკა	-	.655**	.569**	.264**	.223**	.187**	.376**	.245**	.221**	.159**	.228**	.118**	.146**	.147**
2. შედეგები	.655**	-	.637**	.308**	.243**	.224**	.391**	.315**	.226**	.167**	.233**	.089*	.196**	.155**
3. პარტიკულარიზმი	.569**	.637**	-	.213**	.249**	.180**	.410**	.283**	.197**	.137**	.180**	.117**	.195**	.147**
4. გამოცდილება	.264**	.308**	.213**	-	-.022	-.069	.077	.018	-.049	-.069	.001	-.015	-.020	.012
5. რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	.223**	.243**	.249**	-.022	-	.680**	.641**	.569**	.662**	.532**	.688**	.238**	.450**	.407**
6. რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	.187**	.224**	.180**	-.069	.680**	-	.405**	.570**	.614**	.723**	.648**	.074	.405**	.487**
7. სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	.376**	.391**	.410**	.077	.641**	.405**	-	.778**	.578**	.428**	.499**	.311**	.488**	.290**
8. სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	.245**	.315**	.283**	.018	.569**	.570**	.778**	-	.602**	.585**	.549**	.185**	.486**	.348**
9. სომეხი (მეტად სენსიტიური)	.221**	.226**	.197**	-.049	.662**	.614**	.578**	.602**	-	.792**	.648**	.216**	.475**	.442**
10. სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	.159**	.167**	.137**	-.069	.532**	.723**	.428**	.585**	.792**	-	.633**	.121**	.397**	.463**
11. ბერძენი	.228**	.233**	.180**	.001	.688**	.648**	.499**	.549**	.648**	.633**	-	.135**	.403**	.596**
12. შიზოფრენიით დაავადებული (მეტად სენსიტიური)	.118**	.089*	.117**	-.015	.238**	.074	.311**	.185**	.216**	.121**	.135**	-	.524**	-.013
13. შიზოფრენიით დაავადებული (ნაკლებად სენსიტიური)	.146**	.196**	.195**	-.020	.450**	.405**	.488**	.486**	.475**	.397**	.403**	.524**	-	.232**
14. ეტლზე მიჯჭვული	.147**	.155**	.147**	.012	.407**	.487**	.290**	.348**	.442**	.463**	.596**	-.013	.232**	-

**. კორელაციამნიშვნელოვანია 0.01 დონეზე(ორმხრივი).

*. კორელაციამნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (ორმხრივი).

რაც შეხება სოციალური დისტანციის სკალის დამოკიდებულების სახეებს, რელიგიურობის განზომილებების კორელაცია მათთან ასახულია ცხრილში 4.3.5.2. ამ შემთხვევაშიც, პირველი სამი განზომილება (პრაქტიკა, შედეგები და პარტიკულარიზმი) დადებით კორელაციაშია ყველა ფაქტორთან, ხოლო გამოცდილების განზომილება უარყოფითად კორელირებს მხოლოდ ნაკლებად

სენსიტიურ დებულებებთან (მივიღებდი მეზობლად და სხვა ნაკლებ სენსიტიური დებულებები).

ცხრილი 4.3.5.2. კორელაციური ანალიზი სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორებს და რელიგიურობის განსხვავებულ განზომილებებს შორის

	1	2	3	4	5	6	7	8	9
1. პრაქტიკა	-	.655**	.569**	.264**	.348**	.291**	.276**	.255**	.235**
2. შედეგები	.655**	-	.637**	.308**	.338**	.327**	.288**	.317**	.286**
3. პარტიკულარიზმი	.569**	.637**	-	.213**	.344**	.335**	.295**	.268**	.248**
4. გამოცდილება	.264**	.308**	.213**	-	.059	-.007	-.008	-.024	-.025
5. მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	.348**	.338**	.344**	.059	-	.819**	.803**	.712**	.663**
6. მივიღებდი მეგობრად	.291**	.327**	.335**	-.007	.819**	-	.824**	.862**	.819**
7. მივიღებდი სამსახურში უფროსად	.276**	.288**	.295**	-.008	.803**	.824**	-	.764**	.708**
8. მივიღებდი მეზობლად	.255**	.317**	.268**	-.024	.712**	.862**	.764**	-	.910**
9. ნაკლებად სენსიტიური დებულებები	.235**	.286**	.248**	-.025	.663**	.819**	.708**	.910**	-

**. კორელაციამნიშვნელოვანია 0.01 დონეზე(ორმხრივი).

*. კორელაციამნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (ორმხრივი).

კორელაციების შემდეგ გაკეთდა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი, რათა დამენახა, რელიგიურობის რომელი განზომილებებია წინარწმენის პრედიქტორები რელიგიურ ადამიანებში. ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.5.3.3. ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ ის კოეფიციენტები, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 4.5.3.3. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორები - რელიგიურობის განზომილებები. დამოკიდებული ცვლადები - სოციალური დისტანციის სკალის განსხვავებული ფაქტორები.

ცხრილი 1.9.	R^2	პრაქტიკა			შედეგები			პარტიკულარიზმი			გამოცდილება		
		B	Beta	T	B	Beta	T	B	Beta	T	B	Beta	T
რელიგიური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.06	-	-	-	0.08	0.13	2.383	0.06	0.13	2.383	-0.09	-0.15	-3.178
რელიგიური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.07	-	-	-	0.08	0.22	4.654	-	-	-	-0.07	-0.18	-3.991
სექსუალური უმცირესობა (მეტად სენსიტიური)	0.11	0.11	0.14	2.913	-	-	-	0.15	0.25	5.021	-	-	-
სექსუალური უმცირესობა (ნაკლებად სენსიტიური)	0.08	-	-	-	0.14	0.21	3.782	0.06	0.11	2.001	-0.07	-0.1	-2.133
სომეხი (მეტად სენსიტიური)	0.05	-	-	-	0.12	0.19	3.975	-	-	-	-0.1	-0.14	-2.999
სომეხი (ნაკლებად სენსიტიური)	0.03	-	-	-	0.08	0.15	3.039	-	-	-	-0.08	-0.14	-3.006
ზერძენი	0.05	-	-	-	0.05	0.14	2.484	-	-	-	-0.04	-0.11	-2.234
შიზოფრენიით დაავადებული (მეტად სენსიტიური)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიზოფრენიით დაავადებული (ნაკლებად სენსიტიური)	0.01	-	-	-	-	-	-	0.07	0.11	2.404	-	-	-
ეტლზე მიჯჭვული	0.01	-	-		0.03	0.11	2.415	-	-		-	-	-
მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	0.07	0.08	0.15	2.951	-	-	-	0.07	0.2	3.406	-	-	-
მივიღებდი მეგობრად	0.1	-	-	-	0.08	0.17	3.175	0.07	0.17	3.212	-0.07	-0.14	-3.101
მივიღებდი სამსახურში უფროსად	0.07	-	-	-	0.07	0.13	2.409	0.07	0.16	2.848	-0.07	-0.14	-2.985
მივიღებდი მეზობლად	0.08	-	-	-	0.12	0.27	5.726	-	-	-	-0.07	-0.15	-3.303
ნაკლებად სენსიტიური დებულებები	0.07	-	-	-	0.09	0.24	5.125	-	-	-	-0.06	-0.15	-3.150

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ რელიგიურობის შედეგები ძირითად შემთხვევებში წინარწმენის დადებითი პრედიქტორი, ხოლო რელიგიური გამოცდილება - უარყოფითი პრედიქტორია. რელიგიური პრაქტიკა დადებითი პრედიქტორია სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევებში, ასევე დებულებისთვის „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“. პარტიკულარიზმი წინარწმენის პრედიქტორია რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის, სექსუალური უმცირესობის მიმართ ნაკლებად

სენსიტიური წინარწმენის და შიზოფრენიით დაავადებულთა მიმართ ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის, ასევე მეტად სენსიტიური დებულებების შემთხვევებში. რელიგიურობის განზომილებები ყველაზე ნაკლებად წინასწარმეტყველებენ წინარწმენას შშმ პირების მიმართ, ხოლო ყველაზე მეტად - სექსუალური და რელიგიური უმცირესობების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე კარგად დამოკიდებული ცვლადის ვარიაბილობას რელიგიურობის განზომილებები ხსნის სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, სადაც ეს მაჩვენებლი 11%-ია. დანარჩენ შემთხვევებში R^2 კიდევ უფრო დაბალია.

ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა. უმცირესობების განსხვავებული ჯგუფების მიმართ და წინარწმენის სახეების მიხედვით, რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები აღმოჩნდნენ წინარწმენის პრედიქტორები. პრაქტიკის, შედეგების და პარტიკულარიზმის განზომილება წინარწმენის დადებითი პრედიქტორია, ხოლო რელიგიურობის შედეგები - წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი.

5. შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია

ზემოთ განხილულია წინამდებარე კვლევის ძირითადი შედეგები. ამ ნაწილში მოცემულია შედეგების ინტერპრეტაცია და ისინი განიხილება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტენდენციების საფუძველზე.

წინარწმენა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აქტუალური პრობლემაა და მისი განხილვა აუცილებელია განსხვავებული მიდგომებით და განსხვავებული კონტექსტების ფარგლებში. მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას დავიწყებ სოციალური დისტანციის სკალის ფაქტორული სტრუქტურის ანალიზით, ხოლო შემდეგ გადავალ უშუალოდ კვლევის შედეგების ინტერპრეტაციასა და ანალიზზე.

5.1. სოციალური დისტანციის სკალის ფაქტორული სტრუქტურა

5.1.1. წინარწმენა „ვის მიმართ“?

სოციალური დისტანციის სკალის ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალური დისტანციის საზომის ფაქტორული სტრუქტურა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ უმცირესობათა რომელი ჯგუფის მიმართ იზომება სოციალური დისტანცია. თავდაპირველად იყო მოლოდინი, რომ უმცირესობათა ოთხი ჯგუფის მიმართ გაზომილი სოციალური დისტანციებიდან ოთხი განსხვავებული ფაქტორი უნდა მიგვეღო ერთგვაროვანი შიდა სტრუქტურით. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში უმცირესობათა ჯგუფებში თითოეულ ჯგუფში შემავალი ორ-ორ ქვეჯგუფს ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა აღმოაჩნდათ და შესაბამისად, განსხვავებულ ფაქტორებზე გადანაწილდა. ასევე, აღმოჩნდა რომ ზოგჯერ, ერთი კონკრეტული ქვეჯგუფის შემთხვევაშიც კი, სოციალური დისტანციის სკალის დებულებები არ აღმოჩნდა ერთგვაროვანი და ორ ფაქტორად გაიყო - მეტად სენსიტიურ

და ნაკლებად სენსიტიურ წინარწმენაად. მეტად სენსიტიური წინარწმენა გულისხმობს უფრო მაღალ სოციალურ დისტანციას, ხოლო ნაკლებად სენსიტიური - უფრო დაბალ სოციალურ დისტანციას. ეს შედეგი მსგავსია ცეუნ ვონის და ვერკაუტენის კვლევის შედეგისა, სადაც სოციალური დისტანცია ორ ლატენტურ ფაქტორად დაიყო - საჯარო დისტანციად და რომანტიულ დისტანციად (Tseung-Wong, Verkuyten, 2015)

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავ უმცირესობათა თითოეული ჯგუფის შიგნით გამოვლენილ ფაქტორულ სტრუქტურას და მოვახდენ ამ მონაცემების ინტერპრეტაციას.

5.1.1.1. რელიგიური უმცირესობები. რელიგიური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანცია ორი წარმომადგენელი ჯგუფის მიმართ სოციალური დისტანციის სკალით გაიზომა. ესენია მუსლიმები და კათოლიკეები. აღმოჩნდა, რომ ამ ორი ქვეჯგუფის მიმართ სოციალური დისტანცია ქართულ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ხასიათს ატარებს, რამდენადაც ამ ორი ჯგუფის მიმართ გაზომილ სოციალური დისტანციის სკალას ერთნაირი ფაქტორული სტრუქტურა აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში ორივე ქვეჯგუფისათვის გამოიყო მეტად სენსიტიური და ნაკლებად სენსიტიური წინარწმენა.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ საზოგადოებაში, რელიგიურ უმცირესობების მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევაში მხოლოდ კათოლიკეებისა და მუსლიმების მიმართ გაიზომა სოციალური დისტანცია. შეიძლება, სხვა რელიგიური უმცირესობის, მაგალითად, იეჰოვას მოწმეების მიმართ გაზომილ სოციალურ დისტანციას განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა აღმოაჩნდეს. თუმცა, წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, მაინც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოსთვის ტრადიციული რელიგიების წარმომადგენელ რელიგიური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანცია მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია ქართულ საზოგადოებაში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიურ სოციალურ დისტანციაში მოხვდა შემდეგი სამი დებულება: მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად, მივიღებდი მეგობრად, მივიღებდი სამსახურში უფროსად. შეიძლება ითქვას, რომ ამ დებულებების სენსიტიურობა საკმაოდ ლოგიკურია. შვილის პედაგოგს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა შვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ასევე, შვილის პედაგოგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ავტორიტეტული პიროვნება, რასაც უფრო მაღალი სტატუსის ელფერიც შეიძლება ჰქონდეს, თუ ჩვენთვის არა, ჩვენი შვილისთვის მაინც, რაც შესაძლოა, სხვა ფაქტორებთან ერთად, საკმარისი პირობა იყოს უმცირესობის წარმომადგენლის ამ ამპლუაში მიუღებლობისთვის. სამსახურში უფროსს უფრო მაღალი სტატუსი აქვს ჩვენზე და უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლზე დაქვემდებარებულის სტატუსი შეიძლება ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. რაც შეეხება მეგობრობას, რელიგიური უმცირესობის შემთხვევაში ესეც მეტ-ნაკლებად ლოგიკურია, რამდენადაც მეგობართან გვაქვს საკმაოდ მჭიდრო და ახლო ურთიერთობა და შეიძლება, აქ გარკვეულწილად შიშის ფაქტორი მოქმედებდეს, რომ მასთან მეგობრობამ ჩვენი საკუთარი რწმენა არ შეგვირყიოს.

რაც შეეხება ნაკლებად სენსიტიურ დებულებებს, ესენია - მივიღებდი მეზობლად, ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი, მივიღებდი ნაცნობად და მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგიურ უმცირესობებთან მეზობლობა, ან უფრო მეტად დისტანციური კონტაქტი ბევრად უფრო მისაღებია ქართველი სტუდენტებისთვის, ვიდრე მათთან მეგობრობა, ან მათზე დაქვემდებარებულის სტატუსი.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანცია არც ძალიან მაღალია და არც ძალიან დაბალი. ის შუალედურ პოზიციას იკავებს მაღალი და დაბალი სოციალური დისტანციების ჯგუფებს შორის და მაჩვენებლებით სომხების მიმართ სოციალურ დისტანციას მოგვაგონებს.

5.1.1.2. სექსუალური უმცირესობები. როგორც ყველა სხვა უმცირესობის ჯგუფის მიმართ დისტანცია, სექსუალური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანციაც ორი წარმომადგენელი ქვეჯგუფის მიხედვით გაიზომა. ესენია ლესბოსელი ქალები და გეი მამაკაცები. რელიგიური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანციის მსგავსად, აქაც აღმოჩნდა, რომ ქართულ საზოგადოებაში მათ მიმართ დამოკიდებულებები ერთგვაროვან ხასიათს ატარებს. წინას მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ამ ორივე ქვეჯგუფს მსგავსი ფაქტორული სტრუქტურა აღმოაჩნდა, ასევე წინა შემთხვევის მსგავსად, ორივე ქვეჯგუფისთვის გამოიყო მეტად სენსიტიური და ნაკლებად სენსიტიური დებულებები, რომლებიც ორ ფაქტორზე გადანაწილდა.

ის, რომ სექსუალური უმცირესობების ორ განსხვავებულ ჯგუფში ერთგვაროვანი ფაქტორული სტრუქტურა დაფიქსირდა, მიანიშნებს იმაზე, რომ ამ თემის წარმომადგენლების მიმართ ქართულ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

რელიგიური უმცირესობების მსგავსად, სექსუალურ უმცირესობებშიც, პირველ, მეტად სენსიტიურ ფაქტორში გაერთიანდა სამი დებულება - მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად, მივიღებდი მეგობრად, მივიღებდი სამსახურში უფროსად. ნაკლებად სენსიტიურ ფაქტორში მოხვდა დებულებები - მივიღებდი მეზობლად, ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი, მივიღებდი ნაცნობად, მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად. რელიგიური უმცირესობების მსგავსად, დებულებების ამგვარი გადანაწილება სავსებით ლოგიკურია. ფაქტია, რომ ქართულ საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობები არ აღიქმებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. შესაბამისად, მათთან მჭიდრო ურთიერთობა, ან ისეთი სენსიტიური ან/და იერარქიული ურთიერთობა, როგორიცაა შვილის პედაგოგი, ან სამსახურში უფროსი, საზოგადოების სხვა წევრებისთვის ძალიან მიუღებელია. უფრო მეტად მისაღებია ამ ჯგუფის წარმომადგენლებთან მეტად დისტანციური ურთიერთობები, როგორიც არის მეზობლობა და ა.შ.

ზოგადად რომ შევაფასო სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებები, შეიძლება ითქვას, რომ მათ მიმართ სოციალური დისტანცია ერთ-

ერთი ყველაზე მაღალია. ამ ჯგუფის მიმართ მეტად სენსიტიური დისტანციის მაჩვენებელი მხოლოდ შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ დისტანციის მაჩვენებელს ჩამორჩება, ხოლო ნაკლებად სენსიტიური დისტანციის მაჩვენებელი - დამატებით რელიგიური უმცირესობების და სომხების მიმართ მეტად სენსიტიური დისტანციის მაჩვენებლებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება ქართველ სტუდენტებში ძალიან არასახარბიელოა, რაც მთლიანად ქართულ საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებების საკმაოდ რეალური ანარეკლია.

5.1.1.3. ეთნიკური უმცირესობები. ისევე, როგორც სხვა ჯგუფების შემთხვევაში, თავდაპირველად, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაშიც, მქონდა მოლოდინი, რომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი იქნებოდა. თუმცა, კვლევამ განსხვავებული შედეგი აჩვენა. აღმოჩნდა, რომ სომხების და ბერძნების მიმართ წინარწმენას სრულიად განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა და სრულიად განსხვავებული მაჩვენებლები აქვს.

სომხების მიმართ სოციალური დისტანცია, წინა შემთხვევების მსგავსად, ორ - მეტად სენსიტიურ და ნაკლებად სენსიტიურ დისტანციებად გაიყო. თუმცა, განსხვავებით წინა შემთხვევებისგან, აქ დებულებები ამ ორ ფაქტორს შორის სხვანაირად გადანაწილდა. რელიგიური და სექსუალური უმცირესობებისგან განსხვავებით, სომხების შემთხვევაში მეტად სენსიტიური წინარწმენის დებულებებს დაემატა კიდევ ერთი - მივიღებდი მეზობლად. შესაბამისად, აქ მეტად სენსიტიური წინარწმენის ფაქტორში გაერთიანდა ოთხი დებულება - მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად, მივიღებდი მეგობრად, მივიღებდი სამსახურში უფროსად და მივიღებდი მეზობლად. ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის ფაქტორში კი გაერთიანდა დებულებები - ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი, მივიღებდი ნაცნობად და მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად.

ეს განაწილება საკმაოდ საინტერესოა. გამოდის, რომ სომხების შემთხვევაში მეზობლობაც მეტად სენსიტიურ დისტანციაში ხვდება, რაც საკმაოდ უცნაურია. შიძლება, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს ის, რომ სომხების შემთხვევაში, მეტად სენსიტიურ და ნაკლებად სენსიტიურ დისტანციებს შორის ზღვარი უფრო ნაკლებად არის გამოკვეთილი, ვიდრე სხვა ჯგუფების შემთხვევაში. სომხების შემთხვევაში ეს ორი დისტანცია უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე სხვა ყველა ჯგუფთან.

ზოგადად, სომხების მიმართ სოციალური დისტანცია რელიგიურ უმცირესობებთან ერთად შუალედურ პოზიციას იკავებს. არც ძალიან მაღალია და არც ძალიან დაბალი.

განსხვავებული სურათია ბერძნების შემთხვევაში. ბერძნების მიმართ სოციალური დისტანციის დებულებები არ გაიყო მეტად და ნაკლებად სენსიტიურ დებულებებად. ანუ, ბერძნებთან ნებისმიერი დისტანციის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად ერთნაირად მისაღებია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბერძნების მიმართ სოციალური დისტანცია ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ის მხოლოდ ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალურ დისტანციას და რელიგიური უმცირესობების მიმართ ნაკლებად სენსიტიურ დისტანციას აჭარბებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნებთან ნებისმიერი ტიპის ურთიერთობა ქართველი სტუდენტებისთვის შედარებით მისაღებია.

ეს შედეგი გარკვეულწილად ეთანხმება ჯავახიშვილის და სხვების მიერ ჩატარებულ 2012 წლის კვლევის შედეგებს, სადაც, ასევე, სომხების მიმართ სოციალური დისტანცია უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროპელების მიმართ (Javakhishvili et al, 2012; Javakhishvili et al, 2016).

5.1.1.4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ სოციალური დისტანციაც ორი წარმომადგენელი ქვეჯგუფის მიხედვით გაიზომა. ესენია ეტლით მოსარგებლე პირები და შიზოფრენიით დაავადებულები. ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, ამ

შემთხვევაშიც ამ ორი ქვეჯგუფის მიმართ სოციალურ დისტანციას განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა აქვს.

ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ საზოგადოება ძალიან განსხვავებულად აღიქვამს ფიზიკურ და მენტალურ შეზღუდულ შესაძლებლობებს. კვლევებით დასტურდება, რომ მენტალური დარღვევების მქონე პირების მიმართ სოციალური დისტანცია განსხვავებულ საზოგადოებებში საკმაოდ მაღალია (Adewuya, Makanjuola, 2005). ამას საქართველოში ჩატარებული კვლევაც ადასტურებს (Javakhishvili et al, 2017).

ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანციები არ დაიყო მეტად და ნაკლებად სენსიტიურ დებულებებად. ბერძნების მიმართ სოციალური დისტანციების მსგავსად, ყველა დებულება ერთ ფაქტორზე გადანაწილდა. ეს, ბერძნების მსგავსად, სავარაუდოდ, ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებისთვის ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ ნებისმიერი სახის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად ერთნაირად მისაღებია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ სოციალური დისტანცია ყველაზე დაბალია ყველა გაზომილ ჯგუფს შორის.

რაც შეეხება შიზოფრენიით დაავადებულებს, მათ შემთხვევაში სოციალური დისტანციის დებულებები დაიყო მეტად სენსიტიურ და ნაკლებად სენსიტიურ დებულებებად. თუმცა, სხვა ჯგუგფებისგან განსხვავებით, მეტად სენსიტიურ დებულებებში გაერთიანდა მხოლოდ ორი დებულება - მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად და მიბიღებდი სამსახურში უფროსად. ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის ფაქტორში კი გაერთიანდა დანარჩენი ხუთი დებულება - მივიღებდი მეგობრად, მივიღებდი მეზოლად, ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი, მივიღებდი ნაცნობად, მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად. ანუ, შიზოფრენიით დაავადებულები არის გაზომილ ჯგუფთაგან ერთადერთი, სადაც დებულება „მივიღებდი მეგობრად“ ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის ფაქტორში გაერთიანდა.

უნდა აღინიშნოს, რომ შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ სოციალური დისტანცია ყველა გაზომილ ჯგუფთან შედარებით ყველაზე მაღალია. შიზოფრენიით დაავადებულთა მიმართ ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის მაჩვენებელიც კი უფრო მაღალია, ვიდრე სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის მაჩვენებელი, რომელიც, თავის მხრივ, შიზოფრენიით დაავადებულთა შემდეგ ყველაზე მაღალია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ორი ქვეჯგუფიდან ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სოციალური დისტანციით ხასიათდება, ხოლო მეორე - ყველაზე მაღალი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად განსხვავებულად აღიქმება საზოგადოებაში ფიზიკური და მენტალური შეზღუდული შესაძლებლობები.

ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ფაქტორულმა ანალიზმა სოციალური დისტანციების სკალაზე გამოავლინა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი. მან, ერთი მხრივ, დაადასტურა ადრე ჩატარებული კვლევის შედეგი, რომ სოციალური დისტანციები განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ ვის მიმართ იზომება ეს დისტანცია (Verkuyten, Kninket, 2000; Javakhishvili et al, 2012), და, მეორე მხრივ, აჩვენა, რომ თვით სოციალური დისტანციის სკალას ყოველი მოწყვლადი ჯგუფისთვის განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა აქვს. სოციალური დისტანციის სკალა ორ ფაქტორად გაიყო იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც სოციალური დისტანცია არის შედარებით მაღალი (შიზოფრენიით დაავადებულები, სექსუალური უმცირესობები, რელიგიური უმცირესობები, სომხები), ხოლო იმ ჯგუფების შემთხვევაში, სადაც სოციალური დისტანციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (ეტლით მოსარგებლე პირები, ბერძნები), სოციალური დისტანციის სკალისგან ერთი მყარი ფაქტორი გამოვიდა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართ სოციალური დისტანცია დაბალია, ნებისმიერი სახის ურთიერთობა ერთნაირად მისაღებია პიროვნებისთვის, იქნება ეს შედარებით ახლო ურთიერთობა,

როგორიცაა მეგობრობა, თუ დისტანციური ურთიერთობა, როგორიცაა ქვეყანაში სტუმრად მიღება. რაც შეეხება ისეთ ჯგუფებს, რომელთა მიმართაც სოციალური დისტანცია შედარებით მაღალია, აქ უკვე ხდება კონტაქტის მისაღები დონის დივერსიფიკაცია. პიროვნება თავს არიდებს შედარებით ახლო კონტაქტს, თუმცა მისთვის უფრო მისაღებია შორი, დოსტანციური კონტაქტი ასეთი ჯგუფის წევრებთან.

5.1.2. წინარწმენა „რა სახის“?

ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სოციალური დისტანციის სკალაზე არა მხოლოდ ისაა მნიშვნელოვანი, თუ ვის მიმართ წინარწმენა იზომება, არამედ ისიც, თუ რა სახის წინარწმენა იზომება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცალკეული დებულებები, გაზომილი განსხვავებული ჯგუფების მიმართ, ცალკე ლატენტურ ფატორებად ერთიანდებიან. ეს ნიშნავს იმას, რომ დებულება „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“ ყველა გაზომილ ჯგუფში მეტ-ნაკლებად ერთნაირი ტენდენციით ხასიათდება. იგივე შიძლება ითქვას სხვა დებულებებზე. როგორც შედეგების ნაწილში უკვე აღვნიშნე, მსგავსი შედეგი მიიღეს ჰინდრიკსმა, ვერკაუტენმა და კოენდერსმა 2014 წლის კვლევაში. მათ შემთხვევაში, სოციალური დისტანცია სამი ჯგუფის მიმართ იზომებოდა სამი დებულებით - მივიღებდი ოჯახის წევრად, მივიღებდი სამსახურში უფროსად, მივიღებდი მეზობლად. მათთან, ისევე, როგორც წინამდებარე კვლევაში, სოციალური დისტანციების სკალაზე ორმაგი ფაქტორული სტრუქტურა დაფიქსირდა. 1. „ვის მიმართ“, სადაც ერთიანდებოდა ერთი ჯგუფის მიმართ გაზომილი ყველა დებულება და 2. „რა სახის“, სადაც ერთიანდებოდა თითოეული დებულება გაზომილი ყველა ჯგუფის მიმართ (Hindriks, Verkuyten, Coenders, 2014; Tseung-Wong, Verkuyten, 2015).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როდესაც სოციალური დისტანცია ორი ან მეტი ჯგუფის მიმართ ერთდროულად იზომება, ასეთ შემთხვევაში სკალას ორმაგი ფაქტორული სტრუქტურა ახასიათებს და შეგვიძლია ორივე დონის კითხვას გავცეთ პასუხი: წინარწმენა „ვის მიმართ“ და წინარწმენა „რა სახის“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინამდებარე კვლევაში გამოყენებულ სოციალური დისტანციების საზომ სკალას ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი სტრუქტურა აქვს. შესაბამისად, ის ახერხებს გამოავლინოს წინარწმენის რთული ბუნება და გვაძლევს მრავალ ქულას, ნაცვლად ერთისა. ვერკაუტენის და კოლეგების რამდენიმე კვლევის გარდა, ამ საკლისადმი მსგავსი დახვეწილი მიდგომა არ შემიმჩნევია. წინამდებარე კვლევა ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ეს შედეგი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელობა აქვს როგორც იმას, ვის მიმართ არსებობს წინარწმენა, ასევე იმას, ვის აქვს ეს წინარწმენა. რადგან ეს არ იყო ჩემი საკვლევი კითხვა, აღარ გავგარძელებ ამ მსჯელობას, თუმცა, ეს საკითხი უფრო ჩაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ შეიძლება ერთნაირი მიდგომით ვიხელმძღვანელოთ განსხვავებული ჯგუფების მიმართ სოციალური დისტანციების გაზომვის დროს, რადგან სკალის სტრუქტურა არ არის ყველა ჯგუფისთვის უნივერსალური. შესაბამისად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სკალის გამოყენება ხდება ჯერ გამოუკვლეველ ჯგუფზე, საჭირო იქნება დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის თავიდან ჩატარება, რათა დადგინდეს სკალის სტრუქტურა კონკრეტულ საკვლევ ჯგუფთან მიმართებაში.

5.2. კვლევის შედეგების ანალიზი

5.2.1. რელიგიურობის როლი წინარწმენის არსებობაში

შედეგებიდან გამოჩნდა, რომ ის ფაქტი, რომ პიროვნება არის რელიგიური, ანუ თავს მიაკუთვნებს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას, ზრდის იმის ალბათობას, რომ მას ექნება უფრო მეტი წინარწმენა, ვიდრე იმ პირს, რომელიც არც ერთ რელიგიას არ მიაკუთვნებს თავს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ვრცელდება წინარწმენაზე ნებისმიერი ნაკვლევი ჯგუფის მიმართ. მათზეც კი, ვის მიმართაც ეკლესიას ძალიან შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს და პირიქით, მოუწოდებს

მრევლს, იყვნენ კეთილგანწყობილი ასეთი ადამიანების მიმართ. ასეთ ჯგუფს განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და განსაკუთრებით, ეტლით მოსარგებლეები.

ამისი ერთ-ერთი ახსნა შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ თუ პიროვნება მიდრეკილია ჰქონდეს წინარწმენა, მას ეს გაძლიერებული წინარწმენა ექნება ნებისმიერი გარე ჯგუფის მიმართ. ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ ეს სწორედ ასეა. წინარწმენის ქონისკენ მიდრეკილი ადამიანები ამას ავლენენ ზოგადად, ყველა ჯგუფის, რომელიც მათთვის გარე ჯგუფად განიხილება და არა ცალკეული გამორჩეული ჯგუფების მიმართ. ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას „წინარწმენის თანავარსკვლავედს“ უწოდებს (Stephen, 2008).

გამოდის, რომ მიუხედავად იმისა, თუ რას ქადაგებს ეკლესია, რელიგიური პირები უფრო მეტად არიან მიდრეკილი წინარწმენისკენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს გარკვეული პიროვნული ნიშანი, რომელიც უბიძგებს ადამიანს ერთდროულად იყოს რელიგიურიც და წინარწმენით დატვირთულიც. შესაძლოა, ეს პიროვნული ნიშანი იყოს მემარჯვენე ავტორიტარობა. არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ მემარჯვენე ავტორიტარობა დადებითადაა დაკავშირებული პიროვნების რელიგიურობასთან. ლაითეც აღნიშნავს, რომ, უამრავი კვლევა არსებობს იმაზე, თუ რამდენად მაღალია კავშირი მემარჯვენე ავტორიტარობასა და წინარწმენას შორის (Laythe et al, 2001).

მართალია, რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირი უმცირესობათა ყველა ნაკვლევი ჯგუფის მიმართ დაფიქსირდა, მაგრამ ეს კავშირი ყველგან ერთი სიძლიერის არ აღმოჩნდა. კვლევის ერთ-ერთი წინასწარი დაშვება იყო ის, რომ კავშირი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის უფრო ძლიერი იქნებოდა იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომლის მიმართაც ეკლესიის დამოკიდებულება უარყოფითია, ვიდრე იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომლის მიმართაც ეკლესიის დამოკიდებულება დადებითია. ამის შესამოწმებლად ერთმანეთს შედარდა რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირი ეტლით მოსარგებლე პირებსა და ჰიმოსექსუალებს შორის. მოლოდინის

შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ ეს კავშირი მნიშვნელოვნად უფრო ძლიერია ჰომოსექსუალების შემთხვევაში, ვიდრე ეტლით მოსარგებლე პირებთან. აქედან გამომდინარეობს, რომ მართალია, რელიგიური ადამიანები, ზოგადად, უფრო არიან მიდრეკილი წინარწმენის ქონისკენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებით მიდრეკილი არიან წინარწმენის ქონისკენ ისეთი ჯგუფების მიმართ, რომელთა მიმართაც ეკლესიის დამოკიდებულება უარყოფითია.

სხვადასხვა კვლევის მიხედვით მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ რელიგიურობის კავშირი წინარწმენასთან ხანდახან უარყოფითია, თუ ეს ეხება რასობრივ წინარწმენას, ან წინარწმენას სხვა ისეთი ჯგუფების მიმართ, რომლებზეც ეკლესიას შემწყნარებლური პოზიცია აქვს (Price, Herek, 1999). წინამდებარე სადოქტორო კვლევაში კი აღმოჩნდა, რომ კავშირი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის ყველა ჯგუფის შემთხვევაში დადებითია, თუმცა ეს კავშირი ბევრად უფრო სუსტია იმ ჯგუფებთან, რომელთა მიმართაც ეკლესია დადებითადაა განწყობილი. აქედან გამომდინარე, შიძლება ითქვას, რომ სადოქტორო კვლევა ნაწილობრივ ადასტურებს სხვა კვლევების შედეგებს იმით, რომ რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მიმართ არის წინარწმენა. თუმცა, წინამდებარე კვლევა არ ადასტურებს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის უარყოფით კავშირს არც ერთი ჯგუფის მიმართ.

ის, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მიკუთვნებულობასა და წინარწმენის არსებობას შორის დადებითი კავშირია, შეიძლება წინარწმენის შესახებ განსხვავებული თეორიებით აიხსნას. რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ წინარწმენასთან კავშირი შეიძლება ეხმიანებოდეს სოციალური კატეგორიზაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც, გარე ჯგუფური ანტაგონიზმი ხშირად თან სდევს შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს (Turner, Reynolds, 2001), რამდენადაც, რელიგიური უმცირესობები მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის გარე ჯგუფს წარმოადგენენ. ასევე, რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია, რომლიც მიხედვითაც გამოდის, რომ რელიგიური უმცირესობები

მართლმადიდებელი მრევლისთვის როგორც სიმბოლურ, ისე რეალისტურ საფრთხის წყაროს წარმოადგენენ, რამდენადაც, შესაძლოა, მათ მიიღონ ის მატერიალური რესურსი, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა მოხმარებოდა - რეალისტური საფრთხე და შესაძლოა, ზოგიერთმა ქრისტიანი მათ რწმენაზე გადავიდეს - სიმბოლური საფრთხე. ასევე, გარე ჯგუფად მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის შეიძლება ჩაითვალოს სექსუალური უმცირესობები, რამდენადაც საკუთარი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეკლესია მათ არ თვლის თავის წევრებად. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, რამდენადაც „ქართველობა“ და „მართლმადიდებლობა“ ქართველი მართლმადიდებელი მრევლისთვის ხშირად ერთმანეთთანაა გაიგივებული, შეიძლება, რომ გარკვეულწილად ისინიც გარე ჯგუფად ჩაითვალონ მართლმადიდებელი მრევლისთვის. თუმცა, ეს ახსნა არ გამოდგება შშმ პირების შემთხვევაში. შშმ პირები ნაკლებად შეიძლება განიხილებოდნენ ეკლესიის მხრიდან გარე ჯგუფის წარმომადგენლებად, ვიდრე სხვა ნაკვლევი ჯგუფების წევრები და ჩემი აზრით, მხოლოდ სოციალური კატეგორიზაციის თეორიით ვერ აიხსნება მათ მიმართ განსხვავებული წინარწმენის არსებობა რელიგიური და არარელიგიური პირების მხრიდან. აქ შეიძლება აქცენტი გავაკეთოთ წინარწმენის შინაგან განმაპირობებლებზეც, მაგალითად, როგორიცაა მემარჯვენე ავტორიტარობა. კვლევები აჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, მემარჯვენე ავტორიტარობა დადებით კავშირშია რელიგიურობასთან (Leak, Randall, 1995), ხოლო მემარჯვენე ავტორიტარები ზოგადად მიდრეკილი არიან წინარწმენის ქონისკენ ნებისმიერი გარე ჯგუფის მიმართ (Altemeyer, 1988; Laythe et al, 2001; Mavor, Louis, Laythe, 2011). თუმცა, ამგვარი ახსნის დასაბუთებას ცალკე კვლევა ესაჭიროება.

კვლევაში გამოთქმუული ვარაუდის შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის რელიგიურობას და წინარწმენას ვიკვლევთ.

როგორც ზემოთ ვისაუბრე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო რელიგიურობის ოთხმა კომპონენტმა. ესენია რელიგიური პრაქტიკა, რელიგიურობის შედეგები,

რელიგიური პარტიკულარიზმი და რელიგიური გამოცდილება. რელიგიური პტაქტიკა გულისხმობს რელიგიურობის რიტუალურ კომპონენტს; რელიგიურობის შედეგები მოიცავს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიას ადამიანის ცხოვრებაში; რელიგიური პარტიკულარიზმი გამოხატავს ადამიანის რწმენას, რომ მხოლოდ მის საკუთარ რელიგიაშია ჭეშმარიტება; ხოლო რელიგიური გამოცდილება რელიგიურობის მისტიკური, ტრანსცენდენტური კომპონენტია, ანუ რამდენად გრძნობს ადამიანი ზებუნებრივ ძალასთან შინაგან კავშირს.აღმოჩნდა, რომ რელიგიურობის ოთხივე კომპონენტს შეაქვს წვლილი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის არსებობაში. მათგან, პირველი სამი კომპონენტი - რელიგიური პრაქტიკა, რელიგიურობის შედეგები და რელიგიური პარტიკულარიზმი - დადებით კავშირში აღმოჩნდა განსხვავებული ჯგუფების მიმართ წინარწმენასთან, ხოლო მეოთხე - რელიგიური გამოცდილება - უარყოფითში. კვლევამ გამოავლინა, რომ უმცირესობათა განსხვავებული ჯგუფების მიმართ წინარწმენაში რელიგიურობის განსხვავებულ კომპონენტებს შეაქვთ წვლილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, დადებით პრედიქტორად რელიგიურობის შედეგები გვევლინება. ანუ, რაც უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს რელიგია ადამიანის ცხოვრებაში, მის მიერ ყოველდღიური და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებაში, მით უფრო მეტად არის ის მიდრეკილი, იყოს წინარწმენით დატვირთული.

რამდენადაც *რელიგიურობის შედეგების* მაღალი მაჩვენებელი ოლპორტის და როსის შინაგან რელიგიურ ორიენტაციას მოგვაგონებს იმით, რომ თუ რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, ეს, სავარაუდოდ, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ამ ადამიანის რელიგიურობა უფრო ინტერნალიზებულია, ვიდრე გარემოზე მიმართული, არსებობდა სამეცნიერო კვლევებით გამყარებული მოლოდინი (Scheepers et al, 2002), რომ რელიგიურობის შედეგები წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი იქნებოდა. რაც შეეხება რეალურად მიღებულ მონაცემს, რომ ეს განზომილება ქართულ რეალობაში წინარწმენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორია, ამის ახსნა ალბათ სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ. საქმე იმაშია, რომ შესაძლოა, ის ფაქტი, რომ ადამიანი რელიგიას ითვალისწინებს

ყოველდღიური და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, სულაც არ მიუთითებს მის შინაგან რელიგიურ ორიენტაციაზე. შესაძლოა მისი ეს მიდრეკილება სხვა ფაქტორებით, გარკვეული პიროვნული მახასიათებლით იყოს გამოწვეული. მაგალითად, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე არ აღებისკენ მიდრეკილება, რაც მემარჯვენე ავტორიტარებისთვის არის დამახასიათებელი. (Mavor, Louis, Laythe, 2011), თუმცა, ეს ინტერპრეტაცია შემდგომი კვლევებით უნდა იქნას შემოწმებული.

წინამდებარე კვლევის კიდევ ერთი საინტერესო შედეგი იყო ის, რომ *რელიგიური გამოცდილების* განზომილება ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდა წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი. რელიგიურობის ამ განზომილებასა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ ლიტერატურაში ბევრი მასალა არ არის. შეპერსის და სხვების მიერ 2002 წელს ჩატარებულ კვლევაში აღმოჩნდა, რომ გამოცდილების განზომილება ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორია. ისინი ამას ხსნიან იმით, რომ ის ადამიანები, ვისაც აქვს ზებუნებრივ ძალებთან კავშირის განცდა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს უფრო შემწყნარებლურად მოეკიდებიან, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემებით ვერ ამყარებენ ამ არგუმენტს (Scheepers et al, 2002). მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ წინამდებარე კვლევაშიც მსგავსი მონაცემები მივიღე. *რელიგიური გამოცდილების* განზომილება რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ასევე სექსუალური უმცირესობების მიმართ ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გამოცდილების განზომილება შეიძლება დაკავშირებული იყოს რელიგიურობის უფრო ინტერნალიზებულ, მომწიფებულ ფორმასთან. ამ შემთხვევაში ნაკლებადაა მნიშვნელოვანი საზოგადოების, მათ შორის ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის შეხედულებები და ადამიანი უფრო იმაზე აკეთებს აქცენტს, თუ რა არის მისი რელიგიის საფუძველი. რამდენადაც ქრისტიანობა შემწყნარებლური რელიგიაა, რელიგიური გამოცდილების განზომილება, შესაძლოა, ამიტომ იყოს გარკვეული ჯგუფების მიმართ წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი.

რაც შეეხება *რელიგიურ პარტიკულარიზმს,* ანუ იმის რწმენას, რომ მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაშია ჭეშმარიტება, ის სექსუალური უმცირესობის, რელიგიური უმცირესობის მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის და შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში აღმოჩნდა წინარწმენის დადებითი პრედიქტორი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეპერსის და სხვების მიერ 2002 წელს ჩატარებულ კვლევაში რელიგიური პარტიკულარიზმი ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენის დადებითი პრედიქტორი გამოვიდა (Scheepers et al, 2002). მაშინ, როცა წინამდებარე სადოქტორო კვლევაში, ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენაში ამ განზომილებას წვლილი არ შეაქვს. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ რელიგიურ პარტიკულარიზმს წინარწმენის უფრო სენსიტიურ ფორმებთან აღმოაჩნდა დადებითი პრედიქტორის როლი, ხოლო ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინარწმენა ჩვენს რეალობაში არ აღმოჩნდა ისე სენსიტიური, როგორც სხვა ჯგუფების მიმართ წინარწმენა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიური პრაქტიკის გამოცდილება აღმოჩნდა მხოლოდ ერთინაკვლევი ჯგუფის მიმართ წინარწმენის პრედიქტორი (კერძოდ, ჰომოსექსუალების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში). გამოდის, რომ სხვა განზომილებების როლი ამ კავშირში ბევრად უფრ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რამდენად ხშირად ესწრება რელიგიურ რიტუალებს ადამიანი და რამდენად ხშირად ლოცულობს. ეს, შესაძლოა, კავშირში იყოს იმასთანაც, რომ რიტუალებზე დასწრება და ლოცვა, შესაძლოა, ახასიათებდეს მათაც, ვისაც რელიგიურობის უფრო ჩამოყალიბებული, გულწრფელი ფორმა ახასიათებთ და მათაც, ვისთვისაც რელიგიას განსხვავებული, სხვა მიზნებზე ორიენტირებული დატვირთვა აქვს. შესაბამისად, გამოკვეთილი პრედიქტორული დამოკიდებულება რელიგიურობის ამ განზომილებას და წინარწმენას შორის არ გამოვლინდა. აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯავახიშვილის და მამამთავრიშვილის მიერ ადრე ჩატარებულ კვლევაში ეკლესიური მართლმადიდებლები უფრო ნაკლები ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე არაეკლესიური მართლმადიდებლები (ჯავახიშვილი, მამამთავრიშვილი, 2001). ეს, ერთი შეხედვით, გასაკვირი მონაცემები შეიძლება აიხსნას იმით, რომ ხსენებულ

კვლევაში არ იყო ნაკვლევი რელიგიურობის სხვა განზომილებები. რაც შეეხება კავშირს რელიგიურ პრაქტიკასა და წინარწმენას შორის, კორელაციური კავშირი ამ ორ ცვლადს შორის წინამდებარე სადოქტორო კვლევამაც დაადასტურა. მხოლოდ მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შემდეგ, სადაც რელიგიურობის სხვა განზომილებებიც იღებდნენ მონაწილეობას, გამოჩნდა, რომ ეს განზომილება, ძირითად შემთხვევებში, არ არის თავისთავად წინარწმენის დადებითი პრედიქტორი და კორელაციური კავშირი ამ განზომილების სხვა განზომილებებთან დადებითი კორელაციით შეიძლება აიხსნას. ეს შედეგი ასევე ეხმიანება ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ეკლესიაში სიარულის სიხშირე არ უნდა იყოს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის კვლევისას აქცენტირებული, რამდენადაც, ეკლესიაში სიარულს სხვადასხვა ადამიანის შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული მოტივები შეიძლება ჰქონდეს (Denney, 2008).

ამგვარად, წინამდებარე კვლევამ გამოავლინა, რომ რელიგიურობის განსხვავებული კომპონენტები განსხვავებულ დამოკიდებულებაშია წინარწმენასთან. რელიგიური გამოცდილება წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორია, ხოლო რელიგიურობის შედეგები, რელიგიური პრაქტიკა და რელიგიური პარტიკულარიზმი - დადებითი. ამასთან, ეს კავშირები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ უმცირესობის რომელი ჯგუფის მიმართ იზომება წინარწმენა. შესაძლოა, ნაწილობრივ, სწორედ ამით იხსნებოდეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კვლევების განსხვავებული შედეგები. იმის მიხედვით, თუ რელიგიურობის რომელ განზომილებაზე აკეთებს აქცენტს რელიგიურობის საზომი ინსტრუმენტი, შესაძლოა, განსხვავებული დამოკიდებულება მივიღოთ რელიგიურობასა და წინარწმენას შორის. ამასთან, რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, თუ ვის მიმართ იზომება წინარწმენა. საინტერესო იქნებოდა ჩატარებულიყო მეტაანალიზი, რომელიც მოახდენდა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის კლასიფიკაციას, განსაზღვრავდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა საზომით გაიზომა რელიგიურობა, შესაბამისად, რელიგიურობის რომელ ასპექტზე აკეთებდა აქცენტს საზომი და ასევე, რა სახის დამოკიდებულება აჩვენა თითოეულმა მათგანმა

რელიგიურობასა და წინარწმენებს შორის. ეს საკითხი წინამდებარე ნაშრომში არ არის შესწავლილი, თუმცა წინამდებარე კვლევა ამ მიმართულებით შემდგომი კვლევებისთვის მნიშვნელოვან და მდიდარ საბაზისო მასალას იძლევა.

რაც შეეხება სოციალური დისტანციის სკალის მეორე დონის ფაქტორების (ანუ წინარწმენა „რა სახის“) ანალიზს, აქ ყველა დებულება მეტ-ნაკლებად მსგავსი პატერნით ხასიათდება, გარდა ყველაზე სენსიტიური დებულებისა „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“, სადაც რელიგიური პრაქტიკის განზომილება არის წინარწმენის დადებითი პრედიქტორი ყველა დანარჩენ შემთხვევაში, წინარწმენის დადებითი პრედიქტორია *რელიგიურობის შედეგების* განზომილება, შედარებით მეტად სენსიტიური დებულებების შემთხვევაში - *რელიგიური პარტიკულარიზმის* განზომილებასთან კომბინაციაში, ხოლო წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორია *რელიგიური გამოცდილების* განზომილება.

დებულების „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“ შემთხვევაში, დადებითი პრედიქტორებია *რელიგიური პრაქტიკის* და *რელიგიური პარტიკულარიზმის* განზომილებები, ხოლო უარყოფითი პრედიქტორი ამ სახის წინარწმენას არ გააჩნია. საფიქრებელია, რომ ეს დებულება იმდენად სენსიტიურია, რომ ეკლესიაში ხშირად მოსიარულე მრევლისთვის მიუღებელია უმცირესობების ნებისმიერი წარმომადგენელი ამ როლში იხილონ.

ამრიგად, რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები განსხვავებულად აღმოჩნდა დაკავშირებული უმცირესობათა მიმართ წინარწმენასთან. ეს განსხვავებები გამოვლინდა სოციალური დისტანციის სკალის ორივე დონეზე - „წინარწმენა ვის მიმართ?“ და „წინარწმენა რა სახის?“. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევამ მოიცვა უმცირესობათა ოთხი განსხვავებული კატეგორია, თითოეული ორ-ორი წარმომადგენელი ჯგუფის სახით და ზოგიერთ შემთხვევაში თითოეული ამ ჯგუფის მიმართ წინარწმენაც ორ განსხვავებულ ფაქტორად გაიყო, რთულია სრული სიზუსტით აღიწეროს და გაანალიზდეს ყველა ის კომბინაცია, რომელიც მივიღე რელიგიურობის განსხვავებულ კომპონენტებსა და წინარწმენას შორის კავშირის ანალიზისას. თუმცა,

საერთო სურათი მაინც ნათელია: რელიგიურობის შედეგების განზომილება წინარწმენის ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორია, ხოლო რელიგიური გამოცდილება - უარყოფითი. რაც შეხება რელიგიურ პარტიკულარიზმს და რელიგიური პრაქტიკის გამოცდილებას, მათ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეაქვთ წვლილი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის არსებობაში.

ამრიგად, წინამდებარე კვლევამ გარკვეული წვლილი შეიტანა რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არათანმიმდევრული მონაცემების ახსნაში. კვლევამ გამოავლინა, რომ რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები განსხვავებულად არიან დაკავშირებული წინარწმენასთან და, შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რელიგიურობის რომელ ასპექტზე კეთდება აქცენტი კვლევაში, შესაძლოა, რელიგიურობასა და წინარწმენებს შორის კავშირის სრულიად განსხვავებული სურათები მივიღოთ.

5.2.2. ემპათია, როგორც წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი

შედეგებმა აჩვენა, რომ ემპათიის ორი - კოგნიტური (სხვისი პოზიციის მიღება) და ემოციური კომპონენტიდან (ემპათიური შფოთვა) - რომელიმე ერთ-ერთი კომპონენტი, ან ორივე ერთად წინარწმენის უმრავლეს ფორმებთან მიმართებაში უარყოფითი პრედიქტორის როლს ასრულებს. ტენდენციის დონეზე ჩანს, რომ სხვისი პოზიციის მიღების უნარი უფრო ძლიერად მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხევაში ასრულებს უარყოფითი პრედიქტორის როლს, ხოლო ემპათიური ზრუნვა - უფრო ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში. თუმცა, არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ბერძნების შემთხვევაში, რომელთა მიმართ წინარწმენაც ნაკლებად სენსიტიურია თავისი არსით და ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, სხვისი პოზიციის მიღების უნარი თამაშობს უარყოფითი პრედიქტორის როლს და არა ემპათიური ზრუნვა. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სომხების შემთხვევაში ორივე

კომპონენტი უარყოფით პრედიქტორის როლს თამაშობს, ხოლო შიზოფრენიით დაავადებულების შემთხვევაში - არც ერთი.

შესაძლოა, ეს მეტ-ნაკლებად არათანმიმდევრული მონაცემები იმით იყოს ახსნილი, რომ გარდა წინარწმენის სენსიტიურობისა, მნიშვნელოვანია ასევე წინარწმენის ობიექტთან კონტაქტის ფაქტორი. მაგალითად, ეტლზე მიჯაჭვული პირების მიმართ წინარწმენაში, რომლებთან შეხება ყველას მეტ-ნაკლებად აქვს, ამასთან მათ მიმართ წინარწმენა ნაკლებად სესნიტიურია, ემპათიური ზრუნვა ცალსახად ასრულებს უარყოფითი პრედიქტორის როლს. სხვა შემთხვევებშიც, ასეთი ინტერპრეტაცია მეტ-ნაკლებად ლოგიკურია. სექსუალურ უმცირესობებთან კონტაქტი არ არის ხშირი, ასევე მათ მიმართ წინარწმენა არის მაღალი. მათ შემთხვევაში სხვისი პოზიციის მიღებაა გადამწყვეტი. რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში, წინარწმენის სენსიტიურობა ასრულებს გადამწყვეტ როლს, რამდენადაც მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში სხვისი პოზიციის მიღებაა უარყოფითი პრედიქტორი, ხოლო ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში - ემპათიური ზრუნვა. სომხების მიმართ წინარწმენის შემთხვევაში, მეტად სენსიტიური წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი ემპათიის ორივე კომპონენტია, ხოლო ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის - მხოლოდ ემპათიური ზრუნვა. ბერძნების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ წინარწმენის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მხოლოდ სხვისი პოზიციის მიღების უნარია უარყოფითი პრედიქტორი, შესაძლოა, ამის ერთ-ერთი ამხსნელი ფაქტორი ბერძნებთან ნაკლები კონტაქტი იყოს, თუმცა, ამის დადასტურებას დამატებითი კვლევა ჭირდება. რაც შეხება შიზოფრენიას, სხვა კვლევაც (Javakhishvili et al, 2017) მიუთითებს, რომ მენტალური დაავადებები ქართულ საზოგადოებში ძალიან განსხვავებულად და უარყოფითად აღიქმება. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ შიზოფრენიით დაავადებულების მიმართ წინარწმენა არ იმეორებს სხვა ჯგუფების მიმართ წინარწმენის პატერნს და არ არის კავშირში ემპათიასთან.

მეტად და ნაკლებად სენსიტიური წინარწმენის პატერნს იმეორებს სოციალური დისტანციის მეორე დონის ფაქტორებიც. იმ დებულებების შემთხვევაში, რომლებიც

მეტ-ნაკლებად სენსიტიურია, უარყოფითი პრედიქტორის როლს ასრულებს სხვისი პოზიციის მიღების უნარი, ხოლო ნაკლებად სენსიტიური დებულებების შემთხვევაში - ემპათიური ზრუნვა.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, რომ ემპათია ასრულებს უარყოფითი პრედიქტორის როლს თითქმის ყველა ჯგუფის მიმართ წინარწმენის შემთხვევაში. თუმცა, იმის მიხედვით, თუ რამდენად სენსიტიურია წინარწმენა, ან კოგნიტურ, რაციონალურ კომპონენტს აქვს ეს როლი (სხვისი პოზიციის მიღება), ან ემოციურს (ემპათიური ზრუნვა). (გამონაკლისია ბერძნების შემთხვევა, სადაც წინარწმენის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა უარყოფითი პრედიქტორი მაინც ემპათიის რაციონალური კომპონენტია).

გამოდის, რომ ემოციური თანაგრძნობა ვერ ასუსტებს წინარწმენას მაშინ, როცა საქმე მის მეტად სენსიტიურ ფორმას/სახეს ეხება. სამაგიეროდ, აქ საქმეში ერთვება რაციონალური კომპონენტი. თუ ადამიანი ახერხებს, გაითავისოს სხვისი პოზიცია და სხვისი პოზიციიდან შეხედოს მოვლენებს, მიდრეკილია, რომ ნაკლები წინარწმენით იყოს განწყობილი ამ „სხვების“ მიმართ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მონაცემებს შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკული იმპლიკაცია. არონსონმა და მისმა კოლეგებმა სწავლებაში შეიმუშავეს ე.წ. „ფაზლის მეთოდი“, რომელიც მოსწავლეებს აიძულებდა თანამშრომლობის გზით მიეღწიათ საერთო მიზნამდე - ანუ შეესრულებინათ ჯგუფისთვის მიცემული დავალება. აღმოჩნდა, რომ ამ მეთოდმა მოსწავლეებს უბიძგა სხვანაირად შეეხედათ და პატივი ეცათ მათ შორის არსებული განსხვავებებისთვის, გაჩენილიყო ემპათია და მათ შორის ბევრად უკეთესი ურთიერთობები ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე მანამდე არსებობდა (Aronsosn, 2012). გამოდის, რომ, თუ გვინდა უმცირესობის კონკრეტული ჯგუფის მიმართ წინარწმენის შემცირება საზოგადოებაში, უნდა მივმართოთ ისეთ საშუალებებს, რაც საზოგადოებაში ამ ჯგუფის მიმართ ემპათიას გაზრდის, ხოლო ეს, თავისთავად, სავარაუდოდ, გამოიწვევს ამ ჯგუფის მიმართ არსებული წინარწმენის შემცირებას.

5.2.3. ემპათია, როგორც მოდერატორი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში

კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი ჰიპოთეზა და, შეიძლება ითქვას, მისი ერთ-ერთი მთავარი შესამოწმებელი მოდელი იყო ის, აქვს თუ არა ემპათიას მოდერატორის როლი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში. იყო ვარაუდი, რომ, შესაძლოა, რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის არათანმიმდევრული მონაცემები ემპათიის მოდერაციული გავლენით ყოფილიყო ახსნილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ჰიპოთეზა დადასტურდა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში არის სხვისი პოზიციის მიღების უნარი მოდერატორი რელიგიურ მიკუთვნებულობასა და წინარწმენას შორის. ემპათიურ შფოთვას არ აღმოაჩნდა მოდერატორის ფუნქცია არც ერთ შემთხვევაში.

კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურობა და ემპათია ორივე არის წინარწმენის პრედიქტორი - ერთი დადებითი, ხოლო მეორე - უარყოფითი. თუმცა, ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ წინარწმენაზე და არ შედიან ერთმანეთთან ინტერაქციაში გარდა ერთი შემთხვევისა: რელიგიურობასა და რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიურ წინარწმენას შორის კავშირი გაშუალებულია ემპათიის კოგნიტური კომპონენტით - სხვისი პოზიციის მიღების უნარით.

ის, თუ რატომ აქვს ადგილი მოდერაციას მხოლოდ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, რთული ასახსნელია. ის, რომ პიროვნების რელიგიურობა რელიგიური უმცირესობების მიმართ წინარწმენის დადებითი პრედიქტორია, შეიძლება აიხსნას როგორც სოციალური იდენტობის თეორიით, ასევე ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიით. მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული უამრავი მასალა ამტკიცებს იმას, რომ ემპათია (სხვისი პოზიციის მიღება და ემპათიური ზრუნვა) წინარწმენის უარყოფითი

პრედიქტორია, რაც წინამდებარე კვლევაშიც დადასტურდა. თუმცა, მსჯელობას იმაზე, თუ რატომ შედის ეს ორი ცვლადი ინტერაქციაში მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური და არა სომხების, ბერძნების და სექსუალური უმცირესობების მიმართ წინარწმენების შემთხვევაში, ამ ეტაპზე მხოლოდ სპეკულაციური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. სავარაუდოდ, აქ რელიგიის ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება: რელიგიურობა, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ინტერაქციაში შედის სხვისი პერსპექტივის მიღებასთან, ანუ, ემპათიის რაციონალურ კომპონენტთან მხოლოდ რელიგიური უმცირესობებისადმი დამოკიდებულების დროს, ხოლო სხვა უმცირესობების შემთხვევაში, რელიგიურობა და ემპათია (მისი რეციონალური ნაწილი) დამოუკიდებლად მოქმედებს წინარწმენაზე.

5.2.4. კვლევის ძირითადი მიგნებები

წინამდებარე სადოქორო კვლევაში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიგნება.

- დადასტურდა რელიგიურ მიკუთვნებულობასა და წინარწმენას შორის დადებითი კავშირი. რელიგიურობა, გაზომილი ერთი კითხვით - თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებს თავს რესპონდენტი, წინარწმენის დადებითი პრედიქტორია ყველა შემთხვევაში, მიუხედავად საკვლევი ჯგუფისა. ეს შედეგი ეხმიანება სამეცნიერო კვლევების იმ ნაწილს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რელიგიურობა წინარწმენის დადებითი პრედიქტორია.
- დადასტურდა ის, რომ კავშირი რელიგიურობასა და წინარწმენას შორის უფრო ძლიერია იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც ეკლესია უარყოფითადაა განწყობილი, ვიდრე იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც ეკლესია შემწყნარებელია. ამ შედეგით კვლევამ აჩვენა, რომ მართალია, რელგიურობა წინარწმენის დადებითი პრედიქტორია ყველა შემთხვევაში, ეს კავშირი განსხვავებულია საკვლევი ჯგუფების მიხედვით და დამოკიდებულია კონტექსტზე.

ეს გარკვეულწილად ხსნის არათანმიმდევრული მონაცემების არსებობას რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის კვლევებში.

- დადასტურდა ის, რომ რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები (პტაქტიკა, შედეგები, პარტიკულარიზმი და გამოცდილება) განსხვავებულად წინასწარმეტყველებენ წინარწმენას. პრაქტიკა, შედეგები და პარტიკულარიზმი წინარწმენის დადებითი პრედიქტორია, ხოლო გამოცდილება - უარყოფითი. ამ მიგნებასაც წვლილი შეაქვს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ არათანმიმდევრული მონაცემების ახსნაში. შესაბამისად, გააჩნია, რელიგიურობის რომელ ასპექტს იკვლევს ესა თუ ის მკვლევარი, ის ან დადებით, ან უარყოფით კავშირს აღმოაჩენს წინარწმენასთან.
- დადასტურდა ის, რომ ემპათია წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა აღმოჩნდა, რომ წინარწმენის სენსიტიურობის და საკვლევი ჯგუფის მიხედვით, ეს როლი ხან კოგნიტურ კომპონენტს აქვს (სხვისი პოზიციის მიღება), ხან - ემოციურს. ეს მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ემპათიასა და წინარწმენას შორის კავშირის კვლევებში. სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად, ამ მიგნებას აქვს გამოკვეთული პრაქტიკული იმპლიკაცია. როდესაც იგეგმება გარკვეული მოწყვლადი ჯგუფის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ჯგუფის მიმართ სენსიტიურობის მიხედვით, ემპათიის ან ემოციურ, ან რაციონალურ განზომილებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.
- ნაწილობრივ დადასტურდა ის, რომ ემპათია თამაშობს მოდერატორის როლს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირში. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ხდება მხოლოდ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, ემპათიის კოგნიტური კომპონენტის ხარჯზე (სხვისი პოზიციის მიღების უნარი). ეს შედეგი დამატებით ჩაღრმავებას საჭიროებს იმის გამოსავლენად, თუ რატომ ხდება მოდერაცია მხოლოდ ერთი ჯგუფის მიმართ ერთი კონკრეტული წინარწმენის ტიპის შემთხვევაში.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე სადოქტორო კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურობა, კერძოდ, მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისთვის საკუთარი თავის მიკუთვნება, პრაქტიკულად, ყველა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ წინარწმენის დადებითი პრედიქტორია. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი გარე ჯგუფის მიმართ იზომება სოციალური დისტანცია, ისინი, ვინც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის, ყოველთვის უფრო მაღალ სოციალურ დისტანციას აჩვენებენ, ვიდრე ისინი, ვინც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს თავს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს განსხვავება გაცილებით უფრო დიდია ისეთი ჯგუფების შემტხვევაში, რომელთა მიმართაც ეკლესიას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს (სექსუალური უმცირესობები), ვიდრე ისეთი ჯგუფების მიმართ, რომელთა მიმართაც ეკლესიას დადებითი დამოკიდებულება აქვს (ეტლით მოსარგებლე პირები), ანუ, მკაფიოდ გამოვლინდა კონტექსტის როლი რელიგიასა და წინარწმენას შორის მიმართებაში.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურობის განსხვავებული კომპონენტები (პრაქტიკა, პარტიკულარიზმი, გამოცდილება და შედეგები) განსხვავებულ კავშირს აჩვენებენ წინარწმენასთან. ამ მიმართულებით, სასურველია გაგრძელდეს კვლევები, რათა უფრო საფუძვლიანად იქნას შესწავლილი რელიგიურობის სხვა ასპექტების მიმართება წინარწმენასთან.

წინამდებარე კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ემპათია წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა იმის მიხედვით, თუ ვის მიმართ იზომება წინარწმენა, ემპათიის ან ემოციური კომპონენტია უარყოფითი პრედიქტორი, ან - რაციონალური. ძირითადად, ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, ვისთანაც სოციალური დისტანცია სხვებთან შედარებით უფრო მაღალია, ემპათიის რაციონალური კომპონენტი ასრულებს უარყოფითი პრედიქტორის როლს, ხოლო ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, ვისთანაც სოციალური დისტანცია სხვებთან შედარებით უფრო დაბალია, ემოციური კომპონენტია გადამწყვეტი.

ასევე, კვლევის მნიშვნელოვანი მიგნება არის ის, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ მეტად სენსიტიურ წინარწმენასა და მართლმადიდებლობას შორის კავშირი გაშუალებულია სხვისი პოზიციის მიღების უნარით. ანუ, რაც უფრო მაღალი აქვს სხვისი პოზიციის მიღების უნარი რელიგიურ პირს, მით უფრო ნაკლებად მოქმედებს მისი რელიგიურობა მის წინარწმენაზე რელიგიური უმცირესობის მიმართ.

7. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

უნდა აღინიშნოს სინამდებარე სადოქტორო კვლევის შეზღუდვები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ სტუდენტებმა, შესაბამისად, მასში არ იყო წარმოდგენილი უფროსი ასაკის მოსახლეობა. ამის გამო, არ მომეცა საშუალება შემეფასებინა, რამდენად მოქმედებს ასაკობრივი განსხვავება ჩემი საკვლევი ცვლადების კავშირზე. შეიძლება, საბჭოთა გამოცდილების მქონე ადამიანებთან რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირს განსხვავებული ხასიათი ჰქონდეს,

შეიძლება გამოვკვეთო სამომავლო კვლევის მიზნებიც. აღმოჩნდა, რომ სოციალური დისტანციის სკალას აქვს რთული ფაქტორული ბუნება და განსხვავებული ფაქტორული სტრუქტურა იმის მიხედვით, თუ ვის მიმართ იზომება სოციალური დისტანცია. შესაბამისად, საინტერესო იქნება სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სოციალური დისტანციების გაზომვაც, რათა დადგინდეს ამ ჯგუფების მიმართ სოციალური დისტანციის ფაქტორული სტრუქტურა. ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ყოველ ახალ ჯგუფზე ჩატარებისას სკალამ თავიდან უნდა გაიაროს ვალიდაცია, რამდენადაც მისი ფაქტორული სტრუქტურის პროგნოზირება სხვანაირად შეუძლებელია.

წინამდებარე კვლევის შედეგად გამყარდა მოსაზრება, რომ შესაძლოა, რელიგიურობასა და წინარწმენას შორის კავშირის შესახებ არსებული არათანმიმდევრული მონაცემები სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაწილობრივ აიხსნას იმით, რომ სხვადასხვა კვლევაში რელიგიურობის განსხვავებულ კომპონენტებზე კეთდება აქცენტი. შესაბამისად, საინტერესო იქნება მეტა ანალიზის ჩატარება იმის შესახებ, თუ რომელ კვლევაში რელიგიურობის რომელი საზომი იქნა გამოყენებული და იმის დადგენა, არის თუ არა კავშირში საზომის ტიპი წინარწმენასთან რელიგიურობის კავშირის ბუნებასთან.

8. ბიბლიოგრაფია

ასლანიშვილი, თ., ბოჭორმელი ი. ჯავახიშვილი, ნ. სოციალური იერარქიის თეორიები. მაცნე. ფსიქოლოგიის სერია. 2006

არონსონი, ელიოტ. სოციალური ცხოველი. რედ. ნინო ჯავახიშვილი. მთარგმნ. ქეთევან თოდაძე, ანა მაყაშვილი და ესმა ბერიკიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.

აღდგომელაშვილი, ეკა. სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში, 2011. (თბილისი: MDF, 2011).

აღდგომელაშვილი, ეკა. წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე. საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. (თბილისი: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2016).

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2391-Iის. საქართველოს კანონი (2014).

ვარდანაშვილი, ირინა და ნინო ჯავახიშვილი. „რელიგიურობა და წინარწმენები." დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციის შრომებში, რედ. ნინო ჯავახიშვილი, ირაკლი ქავთარაძე და ნინო ბუწაშვილი, 85–104. თბილისი: ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ილია მეორის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე. გადმოწერილია ვებ გვერდიდან http://patriarchate.ge/geo/2014-2/ (წვდომის თარიღი: 8 ოქტომბერი, 2017)

კეკელია, თათია, ელენე გავაშელიშვილი, კონსტანტინე ლადარია და ირინა სულხანიშვილი. მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.

ჩიტაშვილი მ. (1998). რელიგიურობის ფსიქოლოგია, ემპირიული გამოკვლევები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჯავახიშვილი, ნ., მამამთავრიშვილი, ნ. (2001). მორწმუნეთა სოცალურ-ფსქიოლოგიური მახასიათებლები. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, ტ. 5 (2001): 53-75

ჯავახიშვილი, ნინო, ნინო ბერუაშვილი და ლელა კლდიაშვილი. ,,სოციალური დომინანტობის თეორია.'' ფსიქოლოგია 20 (2006): 179–184.

ჯავახიშვილი, ნ., ქევხიშვილი, თ. (2006). ქცევითი ასიმეტრიის ჰიპოთეზა სოციალური დომინანტობის თეორიაში. მეცნიერება და ტექნოლოგიები, №4-6.

ჯავახიშვილი, ნინო, ნინო სხირტლაძე, ნინო ბუწაშვილი, მაკა ლორთქიფანიძე, ანა მაყაშვილი, ირინა ვარდანაშვილი და ია შეყრილაძე. ,,კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია.'' დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციის შრომებში, რედ. ნინო ჯავახიშვილი, ირაკლი ქავთარაძე და ნინო ბუწაშვილი, 85–104. თბილისი: ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ხარშილაძე მაკა. „სოციალური განწყობის და სოციალური დისტანციის ხასიათი ეროვნული უმცირესობების მიმართ.“ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, კრებული „ფსიქოლოგია“, ტომი 20, 2007.

EPN. ,,ევროკომისია: საქართველოში რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ თემის დისკრიმინაციული დამოკიდებულება გაიზარდა.'' 1 მარტი, 2016. http://epn.ge/?id=19203 (წვდომის თარიღი: 1 ნოემბერი, 2017).

Adewuya, O. Abiodun, and Roger O.A. Makanjoula. “Social Distance towards People with Mental Illness amongst Nigerian University Students.” Social Psychiatry and Psychiatric Epidemology 40, no. 11 (2005): 865–868.

Adorno, W. Theodor, Else Frenkel-Brunswik, Daniel J. Levinson, and Robert Nevitt Sanford. The Authoritarian Personality. New York: Harper, 1950.

Allport, Gordon W. The Nature of Prejudice. 1954. Reprint, New York: Basic Books, 1979.

Allport, Gordon W., and J. Michael Ross. 1967. "Personal Religious Orientation And Prejudice.". *Journal Of Personality And Social Psychology* 5 (4): 432-443. doi:10.1037/h0021212.

Altemeyer, Bob. Right-Wing Authoritarianism. Winnipeg, Canada: University of Manitoba Press, 1981.

Altemeyer, Bob. Enemies of Freedom. San Francisco: Jossey-Bass, 1988.

Altemeyer, Bob. “The Other ‘Authoritarian Personality’.” In Advances in Experimental Social Psychology. Vol. 30, edited by Mark P. Zanna, 85–107. New York: Academic Press, 1998.

Aronson, Elliot. The Social Animal. Edited by Elliot Aronson, and Joshua Aronson. 11th ed. New York: Worth Publishers, 2012.

Arkes, H. and Tetlock, P. (2004). TARGET ARTICLE: Attributions of Implicit Prejudice, or "Would Jesse Jackson 'Fail' the Implicit Association Test?." *Psychological Inquiry*, 15(4), pp.257-278.

Berkowitz, Leonard. 1989. "Frustration-Aggression Hypothesis: Examination And Reformulation.". Psychological Bulletin 106 (1): 59-73. doi:10.1037/0033-2909.106.1.59.

Bogardus, S. Emory. “Measuring Social Distance.” Journal of Applied Sociology 9 (1925): 929– 308.

Bogardus, S. Emory. “A Social Distance Scale.” Sociology and Social Research 17 (1933): 265–271.

Bogardus, S. Emory. “Social Distance and Its Practical Applications.” Sociology and Social Research 22 (1938): 462–476.

Bogardus, S. Emory. “Scales in Social Research.” Sociology and Social Research 24 (1940): 69–75.

Bond, Rod, and Peter B. Smith. “Culture and Conformity: A Meta-Analysis of Studies Using Asch’s (1952b, 1956) Line Judgment Task.” Psychological Bulletin 119, no. 1 (1996): 111–137.

Brambilla, Maria, Claudia Manzi, Camillo Regalia, and Maykel Verkuyten. 2013. "Religiosity And Prejudice: Different Patterns For Two Types Of Religious Internalization". The Journal Of Social Psychology 153 (4): 486-498. doi:10.1080/00224545.2013.768592.

Brewer, B. Marilynn. “The Importance of Being We: Human Nature and Intergroup Relations.” American Psychologist 62, no. 8 (2007): 728–738.

Campbell, T. Donald (1965). *Ethnocentric and Other Altruistic Motives*. Lincoln, NE: University of Nebraska Press. pp. 283–311.

Clayton, Richard R., and James W. Gladden. 1974. "The Five Dimensions Of Religiosity: Toward Demythologizing A Sacred Artifact". Journal For The Scientific Study Of Religion 13 (2): 135. doi:10.2307/1384375.

CRRC. Caucasus Barometer 2012 Georgia Dataset (Caucasus Research Resource Centers, 2015). http://caucasusbarometer.org/en/cb2012ge/codebook/ (accessed: October 10, 2017).

CRRC. Caucasus Barometer 2013 Georgia Dataset (Caucasus Research Resource Centers, 2015). http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/codebook/ (accessed: October 10, 2017).

CRRC. Caucasus Barometer 2014 Georgia Dataset (Caucasus Research Resource Centers, 2015). http://caucasusbarometer.org/en/cb2014ge/codebook/ (accessed: October 10, 2017).

CRRC. Caucasus Barometer 2015 Georgia Dataset (Caucasus Research Resource Centers, 2015). http://caucasusbarometer.org/en/cb2015ge/codebook/ (accessed: October 10, 2017).

Davis, H. Mark. “Measuring Individual Differences in Empathy: Evidence for a Multidimensional Approach.” Journal of Personality and Social Psychology 44, no. 1 (1983): 113–126.

Denney, Horace Ted, "Relationships between Religion and Prejudice: Implicit and Explicit Measures.." Thesis, Georgia State University, 2008.

Dovidio, F. John. “On the Nature of Contemporary Prejudice: The Third Wave.” Journal of Social Issues 57, no. 4 (2001): 829–849.

Dovidio, J., Kawakami, K. and Gaertner, S. (2002). Implicit and explicit prejudice and interracial interaction. *Journal of Personality and Social Psychology*, 82(1), pp.62-68.

Dovidio, John F., Samuel L. Gaertner, and Kerry Kawakami. 2003. "Intergroup Contact: The Past, Present, And The Future". Group Processes & Intergroup Relations 6 (1): 5-21. doi:10.1177/1368430203006001009.

Dovidio, F. John, and Samuel L. Gaertner. “Aversive Racism.” In Advances in Experimental Social Psychology. Vol 36, edited by Mark P. Zanna, 1–51. New York: Academic Press, 2004.

Dovidio, John F, Peter Glick, and Laurie A Rudman. 2005. On The Nature Of Prejudice. Malden, MA: Blackwell.

Dovidio, John F. 2009. On The Nature Of Prejudice. Malden, MA [u.a.]: Blackwell.

Dovidio, John F., Anja Eller, and Miles Hewstone. 2011. "Improving Intergroup Relations Through Direct, Extended And Other Forms Of Indirect Contact". Group Processes & Intergroup Relations 14 (2): 147-160. doi:10.1177/1368430210390555.

Fulton, Aubyn S., Richard L. Gorsuch, and Elizabeth A. Maynard. 1999. "Religious Orientation, Antihomosexual Sentiment, And Fundamentalism Among Christians". Journal For The Scientific Study Of Religion 38 (1): 14. doi:10.2307/1387580.

Galinsky, Adam D., and Gordon B. Moskowitz. 2000. "Perspective-Taking: Decreasing Stereotype Expression, Stereotype Accessibility, And In-Group Favoritism.". Journal Of Personality And Social Psychology 78 (4): 708-724. doi:10.1037//0022-3514.78.4.708.

Glick, P. (2005). Choice of scapegoats. In J. F. Dovidio, P. Glick, & L. A. Rudman (Eds), On the Nature of Prejudice: Fifty Years After Allport (pp. 244–261). Malden, MA: Blackwell.

Glock, Charles Y, and Rodney Stark. 1966. Religion And Society In Tension [By] Charles Y. Glock [And] Rodney Stark. 2Nd Printing. Chicago: Rand McNally.

Herek G. M. (1987) Religious Orientation and Prejudice: A Comparison of Racial and Sexual Attitudes. Personality and Social Psychology Bulletin, 13(1), 34-44

Hindriks, Paul, Maykel Verkuyten, and Marcel Coenders. “Interminority Attitudes: The Roles of Ethnic and National Identification, Contact, and Multiculturalism.” Social Psychology Quarterly 77, no. 1 (2014): 54–74.

Hood, Ralph W., Peter C. Hill, and Bernard Spilka. 2009. *The psychology of religion: an empirical approach*. New York: Guilford Press.

Huber, Stefan, and Odilo W. Huber. 2012. "The Centrality Of Religiosity Scale (CRS)". Religions 3 (4): 710-724. doi:10.3390/rel3030710.

Jaume, Luis, Hugo Simkin, and Edgardo Etchezahar. 2013. "Religious As Quest And Its Relationship With Intrinsic And Extrinsic Orientation". International Journal Of Psychological Research 6 (2): 71. doi:10.21500/20112084.688.

Javakhishvili, N. (2005). Attitudes of Georgian students towards various ethnic groups and nationalities. Sociological studies, pp. 107-112, Moscow (in Russian).

Javakhishvili, Nino. “Japanese Students Feel Closer to West Europeans and Americans, than to Asians (Social Distances of Japanese Students to Ethnic and Religious Groups).” Journal of Islamic Studies (2011): 43–60.

Javakhishvili, Nino, Johann Schneider, Ana Makashvili, and Natia Kochlashvili. “Ethnic Social Distance: A Comparison of Georgian, German and Japanese Students. Journal of Social Management 10, no. 2 (2012): 55–64.

Javakhishvili, Nino, Natia Kochlashvili, Ana Makashvili, and Johann Schneider. “Measuring Ethnic Attitudes: Tolerance and Social Distance from Cross-Cultural Perspective.” In An Anthology of Social themes, edited by Gregory T. Papanikos, 193–205. Athens: ATINER, 2016.

Javakhishvili, N., Skhirtladze, N., Vardanashvili, I., & Butsashvili, N. Baseline Study of Attitudes and Knowledge of the Children with Disability Issue. Research Report. D. Uznadze Institute of Psychology, Save the Children, Tbilisi, 2017, 1-24.

Kirkpatrick, Lee A., and Ralph W. Hood. 1990. "Intrinsic-Extrinsic Religious Orientation: The Boon Or Bane Of Contemporary Psychology Of Religion?". *Journal For The Scientific Study Of Religion* 29 (4): 442. doi:10.2307/1387311.

Laythe, Brian, Deborah Finkel, and Lee A. Kirkpatrick. 2001. "Predicting Prejudice From Religious Fundamentalism And Right-Wing Authoritarianism: A Multiple-Regression Approach". Journal For The Scientific Study Of Religion 40 (1): 1-10. doi:10.1111/0021-8294.00033.

Leak, Gary K., and Brandy A. Randall. 1995. "Clarification Of The Link Between Right-Wing Authoritarianism And Religiousness: The Role Of Religious Maturity". Journal For The Scientific Study Of Religion 34 (2): 245. doi:10.2307/1386769.

Mavor, Kenneth I., Winnifred R. Louis, and Brian Laythe. 2011. "Religion, Prejudice, And Authoritarianism: Is RWA A Boon Or Bane To The Psychology Of Religion?". Journal For The Scientific Study Of Religion 50 (1): 22-43. doi:10.1111/j.1468-5906.2010.01550.x.

McFarland, Sam. “Authoritarianism, Social Dominance, and Other Roots of Generalized Prejudice.” Political Psychology 31, no. 3 (2010): 453–477.

Muthén, O. Bengt, and Linda K. Muthén. MPlus User’s Guide: Statistical Analysis with Latent Variables. Los Angeles: Muthén and Muthén, 2010.

Oskamp, Stuart, and P. Wesley Schultz. *Attitudes and Opinions.* 3rd ed. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates, 2005.

Quillian, Lincoln. “Does Unconscious Racism Exist?” *Social Psychology Quarterly* 71, no. 1 (2008): 6–11.

Pettigrew, Thomas F., and Linda R. Tropp. 2008. "How Does Intergroup Contact Reduce Prejudice? Meta-Analytic Tests Of Three Mediators". European Journal Of Social Psychology 38 (6): 922-934. doi:10.1002/ejsp.504.

Pratto, Felicia, Jim Sidanius, Lisa M. Stallworth, and Bertram F. Malle. 1994. "Social Dominance Orientation: A Personality Variable Predicting Social And Political Attitudes.". Journal Of Personality And Social Psychology 67 (4): 741-763. doi:10.1037//0022-3514.67.4.741.

Pratto, F., Sidanius, J., & Levin, S.. Social Dominance Theory and the Dynamics of Intergroup Relations: Taking Stock and Looking Forward. European Review of Social Psychology, 17, 2006: 271-320.

Price, Jammie, and Gregory M. Herek. 1999. "Stigma And Sexual Orientation: Understanding Prejudice Against Lesbians, Gay Men And Bisexuals". *Contemporary Sociology* 28 (2): 172.

Reicher, Stephen, Russell Spears and S. Alexander Haslam. "The Social Identity Approach in Social Psychology." In *The SAGE Handbook of Identities*, 45-62. London: SAGE Publications Ltd, 2010. doi: 10.4135/9781446200889.n4.

Scheepers, Peer, Mèrove Gijsberts, Evelyn Hello, and Merove Gijsberts. 2002. "Religiosity And Prejudice Against Ethnic Minorities In Europe: Cross-National Tests On A Controversial Relationship". Review Of Religious Research 43 (3): 242. doi:10.2307/3512331.

Sherif, Muzafer, O.J. Harvey, B. Jack White, William R. Hood, and Carolyn W. Sherif. Intergroup Conflict and Cooperation: The Robbers Cave Experiment. 1954. Norman, OK: University of Oklahoma Institute of Intergroup Relations, 1961.

Sherif, Muzafer. “Experiments in Group Conflict.” Scientific American 195, no. 5 (1956): 54– 58.

Sherif, Muzafer, and Carolyn Sherif. 1961. "Psychological Harmony And Conflict In Minority Group Ties". The American Catholic Sociological Review 22 (3): 207. doi:10.2307/3709118.

Sherif, Muzafer. In Common Predicament: Social Psychology of Intergroup Conflict and Cooperation. Boston: Houghton Mifflin Company, 1966.

Shih, Margaret, Elsie Wang, Amy Trahan Bucher, and Rebecca Stotzer. 2009. "Perspective Taking: Reducing Prejudice Towards General Outgroups And Specific Individuals". Group Processes & Intergroup Relations 12 (5): 565-577. doi:10.1177/1368430209337463.

Sidanius, Jim, and Felicia Pratto. Social Dominance. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

Sidanius, Jim, Felicia Pratto, Colette van Laar, and Shana Levin. 2004. "Social Dominance Theory: Its Agenda And Method". Political Psychology 25 (6): 845-880. doi:10.1111/j.1467-9221.2004.00401.x.

Spilka, Bernard, and Kevin L Ladd. 2013. The Psychology Of Prayer. New York: Guilford Press.

Stephan, White Cookie, Katherine M. Demitrakis, Ann Marie Yamada, and Dennis L. Clason. “Women’s Attitudes toward Men.” Psychology of Women Quarterly 24 (2000): 63–73.

Stephen, G. Walter, Kurt A. Boniecki, Oscar Ybarra, Ann Bettencourt, Kelly S. Ervin, Linda A. Jackson, Penny S. McNatt, and C. Lausanne Renfro. “The Role of Threats in Racial Attitudes.” Personality and Social Psychology Bulletin 28, no. 9 (2002): 1242–1254.

Stephen, G. Walter, and C. Lausanne Renfro. “The Role of Threat in Intergroup Relations.” In From Prejudice to Intergroup Emotions: Differentiated Reactions to Social Groups,

edited by Diane M. Mackie, and Eliot R. Smith, 191–207. New York: Psychology Press, 2002.

Stephen, G. Walter, C. Lausanne Renfro, Victoria M. Esses, Cookie White Stephen, and Tim Martin. “The Effects of Feeling Threatened on Attitudes toward Immigrants.” International Journal of Intercultural Relations 29 (2005): 1–19.

Stephen, G. Walter. “Viewing Intergroup Relations in Europe through Allport’s Lens Model of Prejudice.” Journal of Social Issues 64, 2 (June 2008): 417–429.

Stephen, Walter G., Oscar Ybarra, and Kimberly Rios Morrison. “Intergroup Threat Theory.” In Handbook of Prejudice, Stereotyping, and Discrimination, edited by Todd D. Nelson, 43–59. New York: Psychology Press, 2009.

Stephen, G. Walter. “Intergroup Anxiety: Theory, Research, and Practice.” Personality and Social Psychology Review 18, no. 3 (2014): 239–255.

Tajfel, Henri. “Experiments in Intergroup Discrimination.” Scientific American 223 (1970): 96–102.

Tajfel, Henri, M. G. Billig, R.P. Bundy, Claude Flament. “Social Categorization and Intergroup Behavior.” European Journal of Social Psychology 1, no. 2 (1971): 149–178.

Tajfel, Henry, and John C. Turner. “An Integrative Theory of Intergroup Conflict.” In The Social Psychology of Intergroup Relations, edited by William G. Austin, and Stephen Worchel, 33–48. Monterey, CA: Brooks/Cole, 1979.

Tajfel, Henri. Human Groups and Social Categories. Cambridge, England: Cambridge University Press, 1981.

Tseung-Wong, Ng Caroline, and Verkuyten Maykel. “ ‘I’d rather We Be Neighbours than Lovers’: The Two-Sidedness of Multiculturalism.” Group Processes and Intergroup Relations 18, no. 4 (2015): 437–453.

Turner, C. John, Penelope J. Oakes, S. Alexander Haslam, and Craig McGarty. “Self and Collective: Cognition and Social Context.” Personality and Social Psychology Bulletin 20 (1994): 454–463.

Turner, C. John. “Some Current Issues in Research on Social Identity and Self-Categorization Theories.” In Social Identity: Context, Commitment, Content, edited by Naomi Ellemers, Russel Spears, and Bertjan Doosje, 6–34. Oxford, England: Blackwell, 1999.

Turner, C. John, and Katherine Reynolds. “The Social Identity Perspective in Intergroup Relations: Theories, Themes, and Controversies.” In Blackwell Handbook of Social Psychology. Intergroup Processes, edited by Rupert Brown, and Sam Gaertner, 133–152. Oxford, England: Blackwell, 2001.

Vescio, Theresa K., Gretchen B. Sechrist, and Matthew P. Paolucci. 2003. "Perspective Taking And Prejudice Reduction: The Mediational Role Of Empathy Arousal And Situational Attributions". European Journal Of Social Psychology 33 (4): 455-472. doi:10.1002/ejsp.163.

Walborn, Frederick. 2014. Religion In Personality Theory. Burlington: Elsevier, Inc.

Wulff, David M. 1997. Psychology Of Religion. New York: J. Wiley.

9. დანართი

პიროვნების რეაქტიულობის ინდექსის ორი ქვესკალა - ემპათიური ზრუნვა და სხვისი პოზიციის მიღება.

ქვემოთ მოყვანილი დებულებები ეხება თქვენს მოსაზრებებს და გრძნობებს სხვადასხვა სიტუაციაში. გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად გახასიათებთ ან არ გახასიათებთ თითოეული დებულება 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ მახასიათებს“ და 5 – „ძალიან ზუსტად მახასიათებს“. გთხოვთ, პასუხის მონიშვნამდე თითოეული დებულება ყურადღებით წაიკითხოთ. გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულწრფელი. გმადლობთ!

1. ხშირად მიჩნდება თანაგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩემზე ნაკლებ იღბლიანია. * EC1

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

2. ხანდახან მიჭირს სხვა ადამიანის პოზიციიდან შევხედო მოვლენებს. * (-) PT1

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

3. ხანდახან ძალიან არ თანავუგრძნობ სხვა ადამიანებს, როდესაც მათ პრობლემები აქვთ. * (-) EC2

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

4. ვცდილობ, რომ ყველა მონაწილის პოზიიციდან შევხედო უთანხმოებას და შემდეგ მივიღო გადაწყვეტილება. * PT2

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

5. როდესაც ვხედავ, რომ ვიღაცას სხვა ადამიანები იყენებენ, მისი დაცვის სურვილი მიჩნდება * EC3

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

6. ხანდახან, იმისთვის, რომ უკეთესად გავუგო ჩემს მეგობრებს, წარმოვიდგენ, როგორ გამოიყურება მოვლენები მათი პოზიციიდან. * PT3

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

7. სხვა ადამიანების უბედურება, ჩვეულებრივ, დიდად არ მაწუხებს. * (-) EC4

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

8. თუ დარწმუნებული ვარ, რომ რაღაცაში მართალი ვარ, არ ვფლანგავ დროს სხვა ადამიანების არგუმენტების მოსმენაში. * (-) PT4

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

9. მაინცდამაინც არ მეცოდება ადამიანი რომელსაც უსამართლოდ ექცევიან. * (-) EC5

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

10. ხშირად ძალიან გულთან ახლოს მიმაქვს ყველაფერი, რაც ხდება. * EC6

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

11. მჯერა, რომ ყველა საკითხს ორი მხარე აქვს და ვცდილობ, ორივე მხრიდან დავინახო. * PT5

1 საერთოდ არ მახასიათებს

2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

12. ჩემს თავს აღვწერდი, როგორც საკმაოდ გულჩვილ პიროვნებას. * EC7

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

13. როდესაც ვინმეზე გაბრაზებული ვარ, ჩვეულებრივ, ვცდილობ ცოტა ხნით მის ადგილას წარმოვიდგინო თავი. * PT6

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

14. სანამ ვინმეს გავაკრიტიკებდე, ვდილობ წარმოვიდგინო, რას ვიგრძნობდი, მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი. * PT7

1 საერთოდ არ მახასიათებს
2
3
4
5 ძალიან ზუსტად მახასიათებს

- რევერსული სკალა

PT - სხვისი პოზიციის მიღების უნარი

EC - ემპათიური ზრუნვა

რელიგიურობის საკვლევი კითხვარი

ქვემოთ მოყვანილი კითხვები ეხება თქვენს დამოკიდებულებებს რელიგიის მიმართ და თქვენი რელიგიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს.

1. რომელ ეკლესიას მიაკუთვნებთ თავს? *

1 მართლმადიდებლური

2 კათოლიკური

3 პროტესტანტული

4 იუდაისტური

5 ისლამური

6 არცერთი

2. ბავშვის ნათლობის, ქორწილისა თუ პანაშვიდების გარდა, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ ცერემონიალს? *

1 ყოველ დღე

2 უფრო ხშირად, ვიდრე კვირაში ერთხელ, მაგრამ არა ყოველდღე

3 კვირაში ერთხელ

4 თვეში ერთხელ

5 წელიწადში რამდენჯერმე

6 წელიწადში ერთხელ

7 უფრო იშვიათად

8 არასდროს

3. რამდენად ხშირად ლოცულობთ? *

1 ყოველ დღე

2 უფრო ხშირად, ვიდრე კვირაში ერთხელ, მაგრამ არა ყოველდღე

3 კვირაში ერთხელ

4 თვეში ერთხელ

5 წელიწადში რამდენჯერმე

6 წელიწადში ერთხელ

7 უფრო იშვიათად

8 არასდროს

გთხოვთ, შეაფასოთ შემდეგი დებულებები შვიდქულიან სკალაზე

4. ჩემი რელიგიური რწმენა დიდ გავლენას ახდენს ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაზე *

1 არავითარ გავლენას არ ახდენს

2

3

4

5

6

7 ძალიან დიდ გავლენას ახდენს

5. ჩემი რელიგიური რწმენა დიდ გავლენას ახდენს ჩემ მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე *

1 არავითარ გავლენას არ ახდენს

2

3

4

5

6

6. ძალიან დიდ გავლენას ახდენს

7. იესო არის ღმერთიც და ადამიანიც *

1 ცალსახად არასწორია

2

3

4

5

6

7 უეჭველად სწორია

7. იესო იყო წინასწარმეტყველი/მქადაგებელი *

1 ცალსახად არასწორია

2

3

4

5

6

7 უეჭველად სწორია

8. იესო იყო რელიგიური ლიდერი *

1 ცალსახად არასწორია

2

3

4

5

6

7 უეჭველად სწორია

9. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია

1 ცალსახად არასწორია

2

3

4

5

6

7 უეჭველად სწორია

10. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ სხვა რელიგიებშიც შესაძლოა მოინახოს მნიშვნელოვანი სიბრძნე.

1 ცალსახად არასწორია

2

3

4

5

6

7 უეჭველად სწორია

11. იტყოდით, რომ გაქვთ სულიერი ცხოვრებაც - ის, რაც სცილდება ინელექტუალურ, ემოციურ თუ მატერიალურ ცხოვრებას ? *

1 ნამდვილად არა

2

3

4

5

6

7 ნამდვილად კი

სოციალური დისტანციის საკვლევი კითხვარი

კათოლიკე

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

მუსლიმი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

გეი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

ლესბოსელი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

სომეხი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

ბერძენი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

ეტლით მოსარგებლე პირი

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5

შიზოფრენიით დაავადებული

მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეგობრად	1	2	3	4	5
მივიღებდი სამსახურში უფროსად	1	2	3	4	5
მივიღებდი მეზობლად	1	2	3	4	5
საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი	1	2	3	4	5
მივიღებდი ნაცნობად	1	2	3	4	5
მივიღებდი ქვეყანაში სტუმრად	1	2	3	4	5